10

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

2017

ელექტრონული ჟურნალი მიზნად ისახავს ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და მათ მიერ განხორციელებული სამუშაოების ელექტრონული სახით გამოქვეყნებას.

ახალგაზრდა მკვლევრების მიერ გამოყენებული და დამუშავებულია სახვადასხვა სახის მასალები როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ენებზე. მათ სამეცნიერო საქმიანობას წარმართავენ ინსტიტუტის უფროსი თაობის წარმომადგენლები.

ჟურნალში ქვეყნდება ანალიტიკური მიმოხილვები და სამეცნიერო სტატიები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების, ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ურთიერთობების შესახებ.

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე
	ნოდარ ხონელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

მირანდა გაშელეიშვილი

ირანი , თურქეთი, რუსეთი - თანამშრომლობა და კონკურენცია
სამხრეთ კავკასიაში 5

მირანდა გაშელეიშვილი

ქურთების გააქტიურება ირანში 10

თინათინ კუპატაძე

აბდოლქარიმ სორუში – თანამედროვე ირანელი ინტელექტუალი
და დასავლეთის მისეული აღქმა 14

თამთა ბოკუჩავა

სირიის სამოქალაქო ომი: თურქეთის ინტერესები და პოლიტიკა 20

ინგა ინასარიძე

ლიბანის საშინაო და საგარეო პოლიტიკური გამოწვევები 25

სიმონ გურეშიძე

ახლო აღმოსავლეთი, ნარკოტრეფიკი და მთავარი აქტორები 30

მარიამ გურეშიძე

ლიბიის ბირთვული პროგრამა და მუამარ კადაფის რეჟიმი 35

ჯაბა მესხიშვილი

რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905) 39

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები 46

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანი, თურქეთი, რუსეთი - თანამშრომლობა და კონკურენცია სამხრეთ კავკასიაში

შესავალი

სამხრეთ კავკასია, თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა რეგიონული და რეგიონსგარეთა ძალების დაპირისპირების ადგილს. ვითარება არც თანამედროვე ეტაპზე შეცვლილა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის შემდეგ ირანის, თურქეთისა და რუსეთისთვის რეგიონში გავლენის მოპოვების მიზნით კონკურენციის ახალი ეტაპი დაიწყო. სტატიის მიზანია სამხრეთ კავკასიაში ირანის რეგიონული პოლიტიკის გატარების კონტექსტში რუსეთთან და თურქეთთან თანამშრომლობისა და კონკურენციის საკითხების განხილვა.

ირანი- თურქეთი

ორივე რეგიონული ძალა ცდილობდა და ცდილობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავების საშუალებით საკუთარი გავლენის გაძლიერებასა და გამყარებას. უნდა ითქვას, ამ მხრივ თურქეთი ირანთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა: მე-20 საუკუნეში ირანსა და თურქეთში განვითარებული მნიშვნელოვანი სოციალ-პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების შედეგად ირანი ისლამური რეჟიმის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ხოლო თურქეთმა აჩვენა სეკულარული, დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მისწრაფება. თურქეთი ნატოს წევრია 1952 წლიდან. 1949 წელს კი თურქეთი ევროპის საბჭოს წევრად მიიღეს. შესაბამისად, თურქეთის პოზიციის გაძლიერებას რეგიონში მხარს უჭერდა დასავლეთი. (1998 წელს აშშ-ს ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ანკარას სჭირდება დასავლეთის მხარდაჭერა, რადგანაც თურქეთმა დაამტკიცა რომ ის არის რეგიონში სტაბილურობის მნიშვნელოვანი რგოლი.[1]) თურქეთისთვის მნიშვნელოვანი იყო რომ სამხრეთ კავკასიის პრობლემატურ რეგიონში ყოფილიყო არამარტო საკუთარი ინტერესების დამცველი, არამედ ძლიერი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მოკავშირე.

განსხვავებით თურქეთისგან, 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ირანში ჩამოყალიბდა ისლამური რესპუბლიკა, რომელიც დასავლეთთან იდეოლოგიურად იყო დაპირისპირებული და თეირანის წინააღმდეგ მოქმედებდა და მოქმედებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს და აშშ-ს სანქციები. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა, რომ თურქეთმა უფრო ინტენსიურად განავითარა პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, ვიდრე საერთაშორისო იზოლაციაში მყოფმა ირანმა. რეალურად, ირანი არის თურქეთის მეტოქე რეგიონში, თუმცა მას პრაქტიკულად არ შეუძლია დაემუქროს ანკარას ინტერესებს კავკასიაში, რადგან შეზღუდული ბერკეტები გააჩნია საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. აღნიშნული ვითარება შეიძლება შეცვალოს ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დარეგულირებამ, რაც მიმდინარე პროცესია, თუმცა მიღწეული შეთანხმებების პრაქტიკაში განხორციელება საკმაოდ ნელა მიმდინარეობს.

რეგიონში ირანისა და თურქეთს შორის კონკურენციის მაგალითი ნათლად ჩანს რელიგიურად ირანთან, ხოლო ეთნიკურად და ლინგვისტურად თურქეთთან ახლოს მდგომი **აზერბაიჯანის** მაგალითზე. პანთურქიზმის იდეის მიხედვით, თურქეთი უნდა აკონტროლებდეს მთელს თურქულ სამყაროს. ამ შემთხვევაში კი შესაძლოა საფრთხის ქვეშ

[1] غلام رضا هاشمی: امنیت در قفقاز جنوبی 118

დადგეს არა მხოლოდ ირანის გავლენა რეგიონში, არამედ მისი ტერიტორიული მთლიანობა. ირანის ტერიტორიაზე, ე.წ. სამხრეთ აზერბაიჯანში 20 მილიონზე მეტი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, ხოლო აზერბაიჯანის პოლიტიკურ წრეებში კვლავ პოპულარულია „ჩრდილოეთ“ და „სამხრეთ აზერბაიჯანის“ გაერთიანების შედეგად ერთიანი აზერბაიჯანის შექმნის იდეა. აქედან გამომდინარე, პანთურქიზმის იდეის გააქტიურება შესაძლოა ირანსა და თურქეთს შორის დაპირისპირების საგანი გახდეს.

თურქეთის პანთურქიზმის იდეას ირანმა რეგიონში შიიტური რელიგიური ცენტრებისთვის ფინანსური და საგანმანათლებლო მხარდაჭერა დაუპირისპირა. ამას თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანში სკოლების და სტუდენტებისთვის სასწავლო სტიპენდიების მიცემა მოჰყვა.[2] მიუხედავად ირანის მცდელობისა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანში ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეამ მარცხი განიცადა და ის დღეს ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სეკულარულ მუსლიმურ ქვეყნად.

თურქეთისა და აზერბაიჯანის მჭიდრო კავშირების დაბალანსებას ირანი სომხეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების განვითარებით ცდილობს. სომხეთსა და თურქეთს შორის არსებული დაძაბულობა (1991 წელს თურქეთმა ცნო სომხეთის დამოუკიდებლობა, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ვერ მოხერხდა, 1994 წლის შედეგ საზღვარი დაკეტილია. 2015 წელს გენოციდის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებამდე შეინიშნებოდა დათბობა) თეირანს აძლევს საშუალებას შეინარჩუნოს ანკარასთვის სტრატეგიული მნიშვნელობა და ნაწილობრივ დააბალანსოს თურქეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში. ამდენად, ამ კუთხით თეირანისთვის ერევანთან ურთიერთობების გაღრმავებასა და შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

სამხრეთ კავკასიაში ირანისა და თურქეთის კონკურენციაში **ეკონომიკურ** ფაქტორს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, სადაც თურქეთის პოზიციები მნიშვნელოვნად უსწრებს ირანისას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა გააგზავნა პოლიტიკოსთა, კულტურისა და ეკონომიკის სპეციალისტთა ჯგუფი რეგიონის ქვეყნებში ბაზრის შესასწავლად და კავშირების გაღრმავებისთვის. შედეგად, რეგიონის ბაზარი მალე გაივსო სხვადასხვა თურქული პროდუქციით. სტატისტიკური მონაცემებით, 2000-დან 2006 წლებში თურქეთის ექსპორტი აზერბაიჯანში გასამმაგდა.[3] **რეგიონის ქვეყნებთან სავაჭრო პარტნიორების სიაში თურქეთისა და ირანის ადგილი მნიშვნელოვნად განსხვავდება.** 2015 წელს თურქეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის 1.51[4] მილიარდის სავაჭრო ბრუნვის ღირებულებით **პირველ ადგილზე იყო**, მაშინ როცა ირან-საქართველოს წლიური სავაჭრო ბრუნვიდან მიღებული შემოსავალი დაახლოებით 200 მილიონი დოლარია(იგეგმება გაათმაგება - 2 მლრდ. დოლარამდე) და 10 ძირითად სავაჭრო პარტნიორშიც არ შედის.[5]

2016 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, **აზერბაიჯანის** 5 ძირითადი სავაჭრო პარტნიორებში **პირველი ადგილი თურქეთმა** დაიკავა (1.67 მლრდ. იმპორტი აზერბაიჯანიდან 842 მილიონი, ექსპორტი თურქეთიდან 831 მილიონი); ირანი კი ათეულშიც არ შედის;[6] (2015 წელს ორი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვიდან მიღებული შემოსავალი 123,786 მილიონი დოლარია, რომლის გაზრდაც იგეგმება.[7]) რეგიონის ქვეყნებიდან მხოლოდ სომხეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებში აქვს ირანს სომხეთთან შედარებით უკეთესი პოზიცია, რაც ანკარასა და ერევანს შორის არსებული დაძაბულობით აიხსნება. **სომხეთის** სავაჭრო პარტნიორების ათეულში შედის ირანი (ექსპორტი ირანში დაახლ. 78 მილიონი დოლარი, იმპორტი მე-3 ადგილზე, დაახლოებით 199 მილიონი დოლარი). თურქეთი წარმოდგენილია სომხეთში

[2] http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.671.5551&rep=rep1&type=pdf
[3] http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.671.5551&rep=rep1&type=pdf
[4] http://www.civil.ge/eng/article.php?id=28924
[5] http://www.ipress.ge/new/11001-irans-saqartvelostan-savachro-brunvis-gaatmageba-surs
[6] http://abc.az/eng/news/99570.html
[7] http://www.azernews.az/business/94845.html

იმპორტიორი ქვეყნების ათეულში მე-6 ადგილზე, დაახლოებით 137 მილიონი დოლარით(2015 წლის მონაცემები).[8]

თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობების უპირატესობა რეგიონის ქვეყნებთან(სომხეთის გამოკლებით) მნიშვნელოვნად უკავშირდება დასავლეთის ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას. რეგიონის ენერგორესურსების დასავლეთში ტრანსპორტირების საკითხშიც, ნაცვლად ირანი-თურქეთისა, აშშ-მ უპირატესობა მიანიჭა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს. მომავალში ირანის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინტეგრაციას დასავლეთთან, დიდი ალბათობით შედეგად მოყვება თეირანის გააქტიურება სამხრეთ კავკასიაში. ამ შემთხვევაში კი ირანს მოუწევს „დაპირისპირება“ არა მხოლოდ თურქეთთან, არამედ რეგიონში გავლენის მქონე მნიშვნელოვან ძალასთან -რუსეთთან.

ირანი- რუსეთი

ირანისა და რუსეთის კომპლექსურ ურთიერთობებში კავკასიის რეგიონს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, სადაც თეირანი და მოსკოვი როგორც მოკავშირეების ისე კონკურენტების როლში გვევლინებიან. ზოგადად, ირანისა და რუსეთის კავშირები კი ორმხრივი დაინტერესების ნათელი მაგალითია, რომელსაც სტრატეგიული ნაკლებად შეიძლება ვუწოდოთ.

რუსეთსა და ირანს პირველ რიგში აერთიანებთ დასავლეთის გავლენის ზრდის შეჩერება რეგიონში. ირანისთვის, საერთაშორისო სანქციების პირობებში, რუსეთი ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია შეიარაღების შესყიდვის საქმეში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ირანი, პოლიტიკურ-ეკონომიკური იზოლაციის შემსუბუქების ფონზე, ცდილობს გააქტიუროს საკუთარი ურთიერთობები რეგიონის ქვეყნებთან, რაც ხელს შეუწყობს თეირანის ევროპასთან კავშირების დამყარებას. ასეთ ვითარებაში კი რუსეთი ირანის „მოწინააღმდეგედ“ გამოდის რეგიონში. თეირანისა და მოსკოვის ე.წ. სტრატეგიული თანამშრომლობის ხასიათი კარგად გამოჩნდა 2016 წლის აპრილში „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტის გამწვავების დროს. კონფლიქტის დარეგულირების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში რუსეთმა ირანი აქტიურად ჩართო. ირანის, აზერბაიჯანის და რუსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. 2016 წლის აგვისტოში სამი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა შედგა. მიუხედავად ირანის აქტიური მონაწილეობისა აღნიშნულ მოვლენებში, თეირანისთვის კონფლიქტში საშუამავლო როლის დაბრუნება არ მოხდა. ირანისთვის ნათელია, რომ კონფლიქტის მხარეებს შორის რეალური შუამავლის და ზოგადად, სამხრეთ კავკასიაში რეალური გავლენის მფლობელი აქტორი სწორედ რუსეთია, რომელიც მნიშვნელოვანი სამხედრო ძალითაა წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიაში: სამხედრო ბაზა სომხეთში(ყოფნის ვადა გახანგრძლივდა 2044 წლამდე), და მნიშვნელოვანი სამხედრო კონტიგენტი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აღნიშნული სამხედრო კონტიგენტის ინტეგრაციას და შეიარაღებას რუსეთი ინტენსიურად ახორციელებს ბოლო წლების მანძილზე, საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად არა მხოლო რეგიონულ, არამედ უფრო გლობალურ დონეზე.

თავის მხრივ, ირანისთვის მნიშვნელოვანია მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. თეირანისთვის რეგიონის კონფლიქტების და კერძოდ, „მთიანი ყარაბაღის“ გააქტიურება საკუთარი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე საფრთხის შემცველია. შესაბამისად ირანისთვის მისაღებია რეგიონში არსებული სტატუს კვო, რომლის მთავარი გარანტორი რუსეთია. არსებულ ვითარებასთან შემრიგებლური პოზიციით კი თეირანი ფაქტობრივად აღიარებს მოსკოვის დიდ გავლენას და მყარ პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში. რუსეთის პოზიციები რეგიონში ირანისთვის გულისხმობს სტაბილურობას და რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების შექმნის შესაძლებლობას, უშუალოდ ირანის მონაწილეობით. განიხილება სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ირან-სომხეთის ალიანსი თურქეთ-აზერბაიჯან-საქართველოს კავშირის დასაბალანსებლად.

[8] http://globaledge.msu.edu/countries/armenia/tradestats

აღსანიშნავია ისიც, რომ ძლიერი რუსეთი თვითონ ხდება საფრთხე ირანისთვის, თეირანს აქვს არათანაბარ ძალასთან - საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გამოცდილება და მისი მხრიდან ისეთი პრობლემების შექმნა, როგორიც იყო **მეორე მსოფლიო ომის დროს ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიაზე სეპარატისტული მიდგომების წახალისება და ირანის ქურთისტანში „მეჰაბადის რესპუბლიკის“ შექმნისთვის მხარდაჭერა.**

ირანისა და რუსეთის შეთანხმებული პოზიციები სამხრეთ კავკასიის საკითხებზე დიდი ალბათობით დაირღვევა თეირანისა და დასავლეთის ურთიერთობების რეალური დარეგულირების შემთხვევაში. ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ 2015 წელს მიღწეული „კომპლექსური მოქმედების გეგმაზე“ შეთანხმების შემდეგ, თეირანის მხრიდან გააქტიურდა ირანიდან ევროპაში ენერგორესურსების ექსპორტის საკითხი და ერთ-ერთ მარშრუტად სწორედ სამხრეთ კავკასია განიხილება. თავის მხრივ, დასავლეთი, რომელიც რუსეთთან კონფლიქტური ურთიერთობების ფონზე ენერგორესურსების იმპორტის დივერსიფიკაციითა დაინტერესებული განიხილავს ირანიდან ენერგორესურსების იმპორტის საკითხს. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ირანის ბუნებრივი აირის დიდი მარაგისა[9] და ორმხრივი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშიც ამ საკითხის მოგვარება ახლოვადიან ან საშუალოვადიან პერსპექტივაში ნაკლებად მოსალოდნელია. პირველ რიგში საჭიროა მრავალრიცხოვანი უცხოური ინვესტიცია ირანში საკმარისი რაოდენობის ბუნებრივი აირის წარმოებისთვის და ასევე სატრანზიტო ინფრასტუქტურის შესაქმნელად. მთავარ დამაბრკოლებლად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ირანული ბუნებრივი აირის დასავლეთში ექსპორტირება ეწინააღმდეგება რუსეთი ინტერესებს: მოსკოვი აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში ერთი მხრივ, კარგავს დასავლეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ვაჭრობის საშუალებას და მეორე მხრივ, დადგება სამხრეთ კავკასიაში ირანის პოზიციების გაძლიერების წინაშე. ამის გათვალისწინებით, რუსეთი ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ირანისა და დასავლეთის ურთიერთობების ნორმალიზაციას. 1998 წელს პრეზიდენტ მოჰამად ხათამის პერიოდში(1997-2005) დასავლეთთან ურთიერთობების დარეგულირების შესაძლებლობის დროს რუსეთი შეეცადა არ დაეშვა, ეს როგორც მისთვის მიუღებელი მოვლენა. ამიტომ სწორედ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად ჩაითვალა რუსეთ-ირანს შორის ატომურ საკითხზე თანამშრომლობა. 1998 წლის ნოემბერში ირანში გაემგზავრა რუსეთის ატომური ენერგიის მინისტრი ადამოვი და გააფორმა ხელშეკრულება ბუშეჰრის ატომური ელექტროსადგურის შესახებ, რომელიც აღიარებულ იქნა „მთავარ გეგმად“ ირან-რუსეთის ურთიერთობებში, რეაქტორის მშენებლობა დაიგეგმა 2003 წლისთვის. დაახლოებით იგივე განმეორდა პრეზიდენტ ჰასან რუჰანის დროსაც: 2015 წელს ირანსა და „ექვსეულს“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი + გერმანია), მიღწეული „ბირთვული შეთანხმების“ შემდეგ რუსეთი მნიშვნელოვნად გააქტიურდა ირანთან შეიარაღების მიწოდების მხრივ, რაც ირან-დასავლეთის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესზე უარყოფითად აისახება. 2015 წელს უშუალოდ პრეზიდენტ პუტინის განკარგულებით მოიხსნა შეზღუდვა ირანისთვის C-300-ის მიწოდებაზე. 2016 წლის შემოდგომაზე კი ირანმა რუსეთისგან აღნიშნული სარაკეტო სისტემა მიიღო[10] და სხვა შეიარაღების შესყიდვაზე შეთავაზებაც. ასევე, განსაკუთრებით, რუსეთის მხრიდან აქტიურად განიხილება ბირთვული რეაქტორების მშენებლობის საკითხი. სავარაუდოდ, ჰასან რუჰანის გუნდი, რომელიც დასავლეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების აღდგენაზეა ორიენტირებული, შიდა ოპოზიციური ძალების -კონსერვატორთა ბანაკისა და ძალოვანების ერთიანი პოზიციის გამო, რუსეთისგან შეიარაღების მიღებაზე უარს ვერ იტყვის.

---

[9] შენიშვნა: ირანი ბუნებრივი აირის მარაგით, რუსეთის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ირანში დაახლოებით 30 ტრლნ m^3 ბუნებრივი აირის მარაგია, რაც მსოფლიოს გაზის მარაგის 16%-ს შეადგენს. წელიწადში ირანი დაახლოებით 160 მლრდ m^3 აირს მოიპოვებს, თუმცა იგეგმება ამ მაჩვენებლის გაზრდა 300 მლრდ m^3-მდე, რისთვისაც ბუნებრივი აირის სექტორში წელიწადში $15 მლრდ-ის ინვესტიციის ჩადება არის საჭირო. აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნებრივი აირის საბადოს „სამხრეთ ფარსის“ ექსპლოატაციაში სრულად შეყვანა.

[10] http://www.defensetech.org/2016/10/14/russia-finishes-delivery-s-300-missile-systems-iran/

კონკურენციის გარდა, ირანსა და რუსეთს სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტებიც აერთიანებთ. ასეთი გამორჩეულია ამჯერად „ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის“ პროექტი, რომელიც ირანის, აზერბაიჯანისა დ რუსეთის ჩართულობით ტვირთების გადაზიდვას გულისხმობს. აღნიშნული პროექტის განხორციელება ფერხდება ირან-აზერბაიჯანს შორის სარკინიგზო მონაკვეთის ირანული ნაწილის დაუსრულებლობის გამო. ოფიციალური თეირანი ამის მიზეზად ფინანსების უქონლობას ასახელებს. ამ მხრივ საინტერესოა ირანის პრეზიდენტის ინიციატივა საქართველოს აღნიშნულ პროექტში ჩართვის შესახებ, რაც ამ ეტაპზე ოფიციალურ დონეზე განხილვის საგანი არ გამხდარა თბილისის მხრიდან.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ რეგიონში ირანის, თურქეთის და რუსეთის აღნიშნული პოზიციებისა და შესაბამისად, ძალთა ბალანსის დარღვევა მნიშვნელოვანი რეგიონული ან საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია. ირანის შემთხვევაში ასეთად შესაძლოა განვიხილოთ თეირანის ურთიერთობების ნორმალიზაცია დასავლეთთან, ბირთვული პროგრამის საკითხის მოგვარება და მისი ინტეგრაცია საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემასთან. ამჯერად კი თეირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოხსნა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ იურიდიულ ხასიათს ატარებს და ნაკლებად აისახება მხარეების რეალურ ქმედებაზე. თეირანსა და აშშ-ს შორის არსებული მტრული რიტორიკა და ქმედებები კი ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა.

გამოყენებული წყაროები:

http://noref.no/var/ezflow_site/storage/original/application/4b0857e9346d1c11fcfe98dc3a42c49a.pdf - Turkish and Iranian interests and policies in the South Caucasus

http://www.naturalgasworld.com/sanctions-iran-south-caucasus-cooperation-russia-azerbaijan - AFTER SANCTIONS, IRAN'S GROWING ROLE IN THE CAUCASUS

http://liia.lv/en/analysis/impact-of-the-iranian-nuclear-deal-on-geopolitics-of-the-south-caucasus-510 - *Impact of the Iranian Nuclear Deal on Geopolitics of the South Caucasus*

http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.671.5551&rep=rep1&type=pdf -Turkish Foreign Policy in South Caucasus and Its Impact in Iran-Azerbaijan Relationship

http://journal-neo.org/2015/04/11/rus-rol-rossijsko-iranskogo-sotrudnichestva-v-formirovanii-novy-h-sistem-regional-noj-bezopasnosti/ - Russian-Iranian Cooperation in the Creation of New Regional Security Systems

http://journal-neo.org/2015/04/11/rus-rol-rossijsko-iranskogo-sotrudnichestva-v-formirovanii-novy-h-sistem-regional-noj-bezopasnosti/

http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/briefing_note/join/2013/491485/EXPO-AFET_SP(2013)491485_EN.pdf -To each their own: The Southern Caucasus and Iranian influence

http://file.insightturkey.com/Files/Pdf/04_balci_3.pdf - Strengths and Constraints of Turkish Policy in the South Caucasus

მირანდა ბაშელეიშვილი

ქურთების გააქტიურება ირანში

2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ირანსა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ქურთების პოლიტიკური პარტიების მიერ ერთობლივი პოზიციის დაფიქსირება და ბოიკოტის გამოცხადება არჩევნებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა, რამდენადაც ეს დაემთხვა ერაყის მოსაზღვრე რეგიონებში მათ მიერ ირანის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული დაპირისპირების განახლებას. ეს რეგიონში არსებული ქურთული საკითხის პრობლემურობიდან გამომდინარე, ირანის ტერიტორიული მთლიანობისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემა გახდეს.

ირანში დაახლოებით 5-7 მილიონი ქურთი ცხოვრობს და ისინი ძირითადად სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან. ქურთები კომპაქტურად არიან განსახლებული ერაყისა და თურქეთის მოსაზღვრე პროვინციებში. ქვეყნის ქურთულ მოსახლეობაში გამოვლენილი სეპარატისტული განწყობების **მთავარ მიზანს ირანში ქურთების უფლებების დაცვა და ირანის ქურთისტანში ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენს.**



რუკა 1. ირანში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების რუკა.

ირანში ქურთების ერთ-ერთ მთავარ პარტიას **PJAk (partiya Jiyana Azad aKurdistane)** წარმოადგენს, რომელიც რეალურად თურქეთის ქურთთა მუშათა პარტიის ირანულ ფრთაა და 2003 წელს მასთან უშუალო კავშირით დაარსდა . აღნიშნული პარტია ირანისა და აშშ-ს მიერ ტერორისტულ დაჯგუფებათა სიაშია შეტანილი. ირანში ქურთები ასევე წარმოდგენილი არიან „ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის“ და „ქომალა“-ს სახით.

ქურთების პარტია, განსაკუთრებით Pejak გამოირჩევა ბრძოლის აგრესიული მეთოდებით, რაც ადამიანთა გატაცებასა და გამოსასყიდად დიდძალი თანხის მოთხოვნაში გამოიხატება. ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს ინტენსიური ოპერაციების ჩატარება უწევთ მათთან დასაპირისპირებლად.

რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით(სირია, ერაყი, თურქეთი), ირანში ქურთების საკითხი ნაკლები სიმწვავით დგას. ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების ფონზე ერაყსა და სირიაში (სირიელმა ქურთებმა 2014 წელს ავტონომიის ფორმირება დაასრულეს) ქურთების მიერ პოზიციების გამყარების შემდეგ, მოსალოდნელი იყო, რომ ეს გავლენას მოახდენდა ირანში მცხოვრები ქურთების ქმედებაზე. ამასთანავე, ირანში არც თუ ისე შორეულ წარსულში გარე ძალების მხარდაჭერით ქურთისტანის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამოცდილებაც არსებობს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, კერძოდ 1946 წელს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით ქურთული ავტონომიური მთავრობა შეიქმნა და მეჰაბადში ქურთულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ირანის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, აშშ-ს დიპლომატიური მხარდაჭერის ხელშეწყობით, იმავე წელს შეიყვანა ძალები და აღადგინა კონტროლი ქურთისტანზე.[1]

საბრძოლო მოქმედებების განახლება

ირანში ქურთების შეიარაღებული მოქმედების განახლება ინტენსიურად 2016 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წევრებთან შეტაკების შედეგად „პეჟაქ“-ის რეგიონული ლიდერი და პარტიის დაახლოებით 5 წევრი დაიღუპა. მსხვერპლი იყო სამართალდამცავებშიც. ზოგიერთი ინტერნეტ წყაროს ინფორმაციით, აღნიშნულ შეტაკებაში გუშაგთა კორპუსის 20 წევრი დაიღუპა.[2]

გარდა „პეჟაქ“-ისა, რომელიც ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა შეიარაღებული ბრძოლის მეთოდს, ათეული წლების შემდეგ შეიარაღებული წინააღმდეგობის განახლებაზე განცხადება გააკეთა „ირანის ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ“ (KDPI), მისმა გენერალურმა მდივანმა მუსტაფა ჰიჯრიმ კი ახალგაზრდებს მოუწოდა შეერთებოდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლას. KDPI -ის წევრებსა და „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს“ შორის დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში მომხდარ შეტაკებებს მსხვერპლი ორივე მხრიდან მოყვა.[3]

2017 წლის გაზაფხულზე ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედებების დაწყების შესახებ დაახლოებით 25 წლიანი „შესვენების“ შემდეგ განაცხადა კიდევ ერთმა ქურთულმა პარტიამ „ქომალა“ . პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, მათი დაბრუნება მთებში, ირანის სამხედრო საგუშაგოდან 3 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე, ქურთ მებრძოლებს საშუალებას მისცემს საკუთარ ხალხთან ახლო ურთიერთობა დაამყაროს.[4]

აღსანიშნავია, რომ პარტია „ქომალა“-სა და „ირანის ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას“ შორის 2012 წელს გაფორმდა შეთანხმება ალიანსის შესახებ. ეს კი კარგად ჩანს მთიან რეგიონებში მათ ერთობლივ მოქმედებებში, ამის საშუალებას მათ მოსაზღვრე რაიონებში მოქმედებებიც უწყობს ხელს.

ირანში ქურთების სხვადასხვა პარტიების მიერ ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული წინააღმდეგობის განახლებას თეირანში უკავშირებენ რეგიონული და გლობალური ძალების მცდელობას, რეჟიმისთვის პრობლემების შექმნის მიზნით. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზოგიერთი ქურთული დაჯგუფება ერაყის ქურთულ რეგიონში

[1] გ.სანიკიძე, გ.ალასანია. ნ.გელოვანი. „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან“, 2011, გვ. 273.

[2] https://www.radiofarda.com/a/f12-west-iran-5-pjak-members-killed/27794802.html

[3] http://kfcris.com/pdf/7e7e6610956eb9d08678433fdb475e2e57eb001617eba.pdf

[4] http://www.rudaw.net/english/middleeast/iran/30042017

აშშ-სგან იღებს შეიარაღებასა და გადის წვრთნებს, „ისლამურ სახალიფოსთან“ ბრძოლისთვის.[5] გავრცელებული მოსაზრებით, არ არის გამორიცხული, რომ ქურთების სხვადასხვა დაჯგუფებამ მიღებული წვრთნა და შეიარაღება ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენოს. სავარაუდოდ, ეს უფრო რეალური ერაყში „ისლამური სახალიფოს“ დამარცხების შემთხვევაში გახდება.

პოლიტიკური კოორდინაცია

2017 წელს ირანის საპრეზიდენტო არჩევნების წინ „ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ“, „ქურთისტანის მშრომელთა პარტიამ - ქომალა“, ირანის ქურთისტანის დემოკრატიულმა პარტიამ“, „ირანის ქურთისტანის ორგანიზაციამ“, ერთობლივი განცხადებით ბოიკოტი გამოუცხადეს ირანის საპრეზიდენტო არჩევნებს. მათი გაცხადებით, ირანის არჩევნები არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად და თავისუფალ არჩევნებად. მათივე თქმით, ქურთ ხალხს ირანში შეზღუდული აქვს ძირითადი უფლებებით სარგებლობა. „ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენელმა არაშ სალეჰმა აშშ-ს „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ირანის ქურთთა პარტიების პოლიტიკურ კოორდინაციას უპრეცედენტო მოვლენა უწოდა. მისივე თქმით, ათეული წლების განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობამ ცხადყო, რომ ძალაუფლების კონცენტრაცია სულიერი ლიდერისა და ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ხელში იზრდება.[6]

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ დაახლოებით 10 წელი ირანში ქურთებით დასახლებული პროვინციები ხელისუფლებასთან შეიარაღებული დაპირისპირებით იყვნენ დაკავებულები და არჩევნებში აქტიური პოლიტიკური მონაწილეობა არ მიუღიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამით არც ხელისუფლება იყო დაინტერესებული, საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამაში თითქმის არ შუქდებოდა ეთნიკური უმცირესობების პრობლემები. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია მხოლოდ რელიგიური უმცირესობებს აღიარებს და არა ეთნიკურს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ისტორიაში პირველად „ქურთისტანის დემოკრატიული პარტია“ არჩევნებში ჩაერთო 2009 წელს. ეს კი უკავშირდებოდა „მწვანე მოძრაობის“ ლიდერების მუსავისა და ქარუბის მიერ ეროვნული უმცირესობების საკითხების მოგვარების შესახებ მანიფესტის გამოცემას. „ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის“ ლიდერმა მოსახლეობას მათი მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მუსავისა და ქარუბის დამარცხებისა და არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კვლავ უშედეგოდ დატოვა ქურთების მცდელობა არჩევნების გზით მოეპოვებინათ საკუთარი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.[7]

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჰასან რუჰანიმ არა მხოლოდ ყურადღება მიაქცია ეთნიკური უმცირესობების საკითხს, არამედ გამარჯვების შემდეგ ეროვნული უმცირესობების საკითხის გადაწყვეტის კუთხით სპეციალური მრჩეველი დანიშნა. უნდა ითქვას, რომ ჰასან რუჰანის პრეზიდენტობის პირველ ვადაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არ გადადგმულა. სწორედ ამ პერიოდში ერაყისა და სირიის ქურთებით დასახლებული ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა, რამაც ამ ქვეყნებში ქურთების ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მოპოვებას შეუწყო ხელი. დიდი ალბათობით, სწორედ ამ ვითარების გათვალისწინებით, 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატებს სულიერმა ლიდერმა მოუწოდა თავი შეეკავებინათ ენობრივ, გეოგრაფიულ და ეთნიკურ პრობლემებზე საუბრისგან. შესაბამისად, წინაასარჩევნოდ ეთნიკურ საკითხებზე ყურადღება არ გამახვილებულა.

რეგიონის სხვა ქვეყნებში, ერაყსა და სირიაში ასრებული ქურთების მდგომარეობა, დიდი ალბათობით, გავლენას მოახდენს ირანის ქურთულ მოსახლეობაზე და ხელისუფლების მხრიდან ამ პრობლემებზე საუბრისგან თავის შეკავება, საკითხის მოგვარების საშუალებად

[5] http://www.foxnews.com/world/2016/09/08/iranian-faction-among-kurds-trained-by-us-against-militants.html
[6] https://www.radiofarda.com/a/o2-kuridsh-parties-boycott-election/28455974.html
[7] https://www.radiofarda.com/a/ir-iran_kurds_president_elections/28490340.html

ნაკლებად გამოდგება. ამას მოწმობს ირანში თუ ირანის გარეთ მოქმედი ქურთული პარტიების ერთობლივი პოზიციების შემუშავება საბრძოლო მოქმედებების განახლებასა და პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის კუთხით. ეს კი ისლამური რესპუბლიკისთვის, მზარდი ტერორისტული საფრთხის პირობებში, რაც 2017 წლის ივნისში თეირანში „ისლამური სახალიფოს“ მიერ ტერაქტების მოწყობითაც დადასტურდა, მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება.

გამოყენებული წყაროები:

სანიკიძე, გიორგი, ალასანია, გიული, გელოვანი, ნანი „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან, „ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011

https://www.radiofarda.com/a/f35_erdogan_trump_meets_in_white_house/28492494.html

https://www.radiofarda.com/a/o2-kuridsh-parties-boycott-election/28455974.html

https://www.radiofarda.com/a/ir-iran_kurds_president_elections/28490340.html

https://www.radiofarda.com/a/f35_erdogan_trump_meets_in_white_house/28492494.html

http://www.foxnews.com/world/2016/09/08/iranian-faction-among-kurds-trained-by-us-against-militants.html

https://www.almasdarnews.com/article/kurdish-militant-group-launches-attack-on-iranian-military-killing-two/

https://www.stratfor.com/article/iranian-kurds-return-arms

http://www.kurdistan24.net/en/news/82f8c2df-30b1-4538-8444-4d595fbcd4fd

http://kfcris.com/pdf/7e7e6610956eb9d08678433fdb475e2e57eb001617eba.pdf

http://www.rudaw.net/english/middleeast/iran/17052017

თინათინ კუპატაძე

აბდოლქარიმ სორუში – თანამედროვე ირანელი ინტელექტუალი და დასავლეთის მისეული აღქმა

1979 წ-ის ისლამურმა რევოლუციამ, როგორც მასშტაბურმა სოციალურმა ძვრამ, ქვეყნის ინტელექტუალები მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინტელექტუალებმა შეადგინეს ის ძალა, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსტრევოლუციური ირანის იდეოლოგიისა და საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტივობით რევოლუციის შემდგომი პირველი წლები გამოირჩევა. ეს გახლდათ „ფილოსოფიურად დახვეწილი, ინტელექტუალურად ჟღერადი, სოციალურად რელევანტური და მოდერნული დისკუსიით“ სავსე პერიოდი, რომლის ჰარმონიულობაც დიდხანს არ გაგრძელებულა. ინტელექტუალიზმით მდიდარ ხანას მალევე მოჰყვა უშეღავათო ბრძოლა განსხვავებული ინტელექტუალური აზრის წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებით ლიბერალი და მემარცხენე ოპონენტებისკენ იყო მიმართული[1]. სეკულარული ინტელექტუალები და სალიტერატურო წრეების წარმომადგენლები ვესტერნიზებულ, გაუცხოებულ, მიმბაძველ და ორპირ პიროვნებებად მოინათლნენ, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნიდნენ რევოლუციური მისიის აღსრულებას. ბევრი მათგანი აიძულეს დაეტოვებინა ქვეყანა, ხოლო ისინი, ვინც დარჩენა გადაწყვიტეს, იძულებული გახდნენ, საკუთარი შეხედულებები არსებული სტატუს ქვოსათვის მოერგოთ.

ისლამურმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობით მიიღო არა მხოლოდ რევოლუციამდელი პერიოდის პრობლემები და პასუხგაუცემელი კითხვები, არამედ ახალი გამოწვევების წინაშეც დადგა, დაუსახა ახალი ამოცანები ინტელექტუალებს, რაც ძირითადად კონცენტრირდებოდა იმის გარშემო, თუ როგორ მოხდებოდა ისლამის კონფიგურაცია ახალ რესპუბლიკაში; როგორ უპასუხებდა ფიკჰი (ისლამური სამართლის მეცნიერება) თანამედროვე სოციალურ და სამეცნიერო გამოწვევებს; იყო თუ არა ნაციონალიზმისა და საპარლამენტო დემოკრატიის იდეები შეთავსებადი ისლამთან; რას შესძენდა თანამედროვე ირანული ნაცია დანარჩენ მსოფლიოს; ასევე, როგორ უნდა შეეჩერებინათ, ან უკუექციათ სეკულარიზმის წინსვლა და როგორ დაპირისპირებოდნენ დასავლეთსა და მის სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლას.

რევოლუციის შემდგომი პერიოდის ინტელექტუალები სხვადასხვაგვარ მოსაზრებებს გამოთქვამენ ამ საკითხებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ცდილობდა, პასუხი გაეცა როგორც ძველი, ისე ახალი კითხვებისათვის, აბდოლქარიმ სორუში გახლდათ.

აბდოლქარიმ სორუში (ჰოსეინ ჰაχ ფარაχ დაბაღი) 1945 წელს დაიბადა თეირანში. განათლება მიიღო პრესტიჟულ ალავის სკოლაში – კერძო დაწესებულებაში, რომელიც დააარსეს რელიგიურმა ვაჭრებმა და რომელშიც ასწავლიდნენ თანამედროვე რელიგიის მეცნიერებაში განსწავლული პირები. სკოლის დამთავრების შემდეგ სორუშმა სწავლა თეირანის უნივერსიტეტში განაგრძო და მოიპოვა ხარისხი ფარმაცევტიკაში. ამავე დროს, იგი ეუფლებოდა ისლამურ ფილოსოფიას და პირველად დაინტერესდა რელიგიასა და ფილოსოფიას შორის კავშირით. უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ იგი ლონდონში გაემგზავრა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. χერ სწავლობდა ქიმიას, ხოლო შემდგომ დაინტერესება გამოიჩინა მეცნიერების ფილოსოფიისა და ისტორიის მიმართ და მოიპოვა კიდეც ხარისხი ამ დარგში. ევროპაში ყოფნის დროს იგი გაეცნო დასავლელი მოაზროვნეების: კანტის, ჰიუმის, ასევე კარლ პოპერის, ჰანს-გეორგ გადამერის და სხვ. იდეებს. ინგლისში ყოფნის დროსვე სორუშმა დაასრულა რამდენიმე წიგნზე მუშაობა – „რა არის მეცნიერება, რა არის ფილოსოფია?“ „ისტორიის ფილოსოფია“, “სამყაროს დინამიური ბუნება“ რომლებსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა ირანში და მაღალი შეფასება დაიმსახურა ისეთი სწავლულების მიერ, როგორებიც არიან თაბა’თაბაი, მოთაჰარი და ხომეინიც კი [2].

ფილოსოფიისა და ისტორიის გარდა, სორუშის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს სპარსული და ისლამური ლიტერატურა და ფილოსოფია – რუმის, ჰაფეზისა და ალ-ღაზალის

შემოქმედება წარმოადგენდა. გარდა ამისა, სორუში კარგად იცნობდა თანამედროვე ირანელი სწავლულების შემოქმედებას (თაბა'თაბაი, მოთაჰარი, შარი'ათი...), რამაც ის გარკვეულ პერიოდში მიიყვანა „ისლამური ფილოსოფიის უპირობო აღმატებულების რწმენამდე" და ერთგვარი „ფილოსოფიური ამპარტავნებაც" გამოიწვია მასში [2]. დიდი გავლენა მოახდინა სორუშზე შარი'ათის ლექციებმაც, რომლებსაც ის ჰოსეინიე ერშადში ესწრებოდა.

1970-იანი წლების მიწურულს, როდესაც შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული კამპანია პიკს აღწევდა, სორუშიც აქტიურად მონაწილეობდა იმ გამოსვლებსა და დემონსტრაციებში, რომლებიც იმართებოდა ევროპაში მოღვაწე ირანული ოპოზიციური ძალების მხარდასაჭერად. რევოლუციამდე და რევოლუციის შემდგომ პირველ ხანებშიც სორუში ხომეინის მომხრედ გვევლინება. შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ იგი ირანში დაბრუნდა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო. 1980 წ-ს ხომეინიმ სორუში კულტურული რევოლუციის მრჩეველთა კომიტეტში შეიყვანა ირანის საგანმანათლებლო დაწესებულებების მომავლის განსასაზღვრად და უნივერსიტეტების ხელახლა გახსნის ზედამხედველობისათვის. მაგრამ, ბევრი სხვა ირანელი მოაზროვნისა და ინტელექტუალის მსგავსად, სორუშიც ცოტა ხანში ხომეინის მოწინაღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა [3]. მისთვის მიუღებელი გამოდგა კომიტეტის მიერ აღებული კურსი, ასევე საბჭოს მიერ სოციალურ მეცნიერებათა აშკარა უარყოფა. თავისი პოზიციის გამოსახატად სორუშმა გამოაქვეყნა სტატიები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დასაცავად, რამაც დიდი კრიტიკა დაიმსახურა კლერიკალების მხრიდან. აქედან მოყოლებული აბდოლქარიმ სორუში სამღვდელოების საწინააღმდეგო ბანაკში გადავიდა. იგი აგრძელებდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დაცვას „ფილოსოფიის აკადემიასთან" და „ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრთან" თანამშრომლობით [2].

სორუშის მოღვაწეობა რომ შევაფასოთ რევოლუციის შემდგომ, მისივე სიტყვებით, წარმოადგენს უწყვეტ ინტელექტუალურ ბრძოლას. მისი მუშაობა მიმდინარეობდა როგორც რადიო-ლექციების, ასევე თეირანის გამომავალ ჟურნალ „ქიანში" გამოქვეყნებული სტატიების სახით. სორუშისთვის მეტად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა რელიგიის ყოვლისმომცველი ფუნქცია და ყველა კითხვაზე ყურანში პასუხის ძიების შემთხვევები. იგი ცდილობდა აღმოეჩინა რელიგიის რეალური ადგილი საზოგადოებაში. მისი აზრით, ყველა სისტემას თავისი სისუსტე აქვს, მათ შორის, რელიგიურ საზოგადოებასაც; ამ ნაკლოვანებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ პირმოთნეობა, ორპირობა და რელიგიის იდეოლოგიზაცია, რაც ნიშნავს რელიგიის ფანატიზმისა და მტრობის იარაღად ქცევას. „ფანატიზმი არის რელიგიის უბედურება და შავი ჭირი და თუ არ გავუმკლავდით მას, პანდემიად იქცევა" [2].

სორუშისთვის ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო შარიათთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა-გადაწყვეტა, თუ როგორ შეეფერებოდა და პასუხობდა ის თეოკრატიული სახელმწიფოს საჭიროებებსა და მოთხოვნებს XX ს-ის მიწურულს. ამ საკითხის აქტუალობა გამოიწვია რიგმა პასუხგაუცემელმა ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ პოლიტიკურმა კითხვებმა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა პოლიტიკური ელიტა. ეს გახლდათ: შობადობის კონტროლი, პოლიგამია, ზოგადი განათლება, სისხლის სამართლის საკითხი, გადასახადები ეკონომიკური განვითარებისათვის... მუშახელსა და მმართველებს შორის საკონტრაქტო დავის გადაწყვეტა, მიწის რეფორმა, და ბოლოს, მართვის სტრუქტურა (ისლამური რესპუბლიკის, ველაიათ-ე ფაყიჰის, არჩევნების სტრუქტურა და ფორმა). ულემთა აზრი ამ საკითხების გადაჭრის შესახებ ორად იყო გაყოფილი: ნაწილი მხარს უჭერდა ტრადიციულ იურისპრუდენციას, ხოლო დანარჩენი - დინამიურ იურისპუდენციას, მის შეთანხმებას თანამედროვე საზოგადოებრივ გამოწვევებთან. სორუშმა აღნიშნულთან დაკავშირებით 1988 წ-ის აპრილში „ქეიჰან-ე ფარჰანგში" გამოაქვეყნა სტატიების სერია, სადაც ამტკიცებდა, რომ ცოდნისა და მეცნიერების ყველა სფერო ტრანსფორმაციას განიცდის და ცვლილება სწავლების ნებისმიერ სფეროში იწვევს სხვა სფეროს ცვლილებასაც, იურისპრუდენციის ჩათვლით. იგი საუბრობდა დომინოს ეფექტზე - ცვლილებას ერთ სფეროში უნდა მოჰყოლოდა მეორე და, საზოგადოდ, საზოგადოების აზროვნების ტრანსფორმაცია. მისი აზრით, ვინაიდან ფილოსოფია და მეცნიერება მუდმივად ვითარდება, შესაბამისად უნდა მივუდგეთ შარიათსაც. ვინაიდან ფილოსოფია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ყოველთვის დაუსრულებელია და

სრულყოფის ძიებაშია, ასევეა იურისპუდენციაც. იგი მიიჩნევს, რომ რელიგიური ცოდნა თანამედროვეობის შესაბამისი უნდა იყოს და არა კონსერვატორული, ჩარჩოში მოქცეული და დოგმატური [1].

პოსტრევოლუციურ ირანში ინტელექტუალებს შორის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს დასავლეთის ადგილისა და როლის განსაზღვრა - რა არის დასავლეთი? უნდა ვისწავლოთ თუ არა რაიმე მისგან, შეგვიძლია თუ არა ჩვენც შევთავაზოთ მას საპასუხოდ რაიმე? ამ ინტელექტუალთა შორისაა აბდოლქარიმ სორუშიც, რომელიც თავისი წინამორბედების, ჯალალ ალ-ე აჰმადისა და 'ალი შარიათისაგან განსხვავებით, სრულიად სხვაგვარად უდგება აღნიშნულ საკითხს. მისთვის მიუღებელია დასავლეთთან, როგორც ერთ მთლიანობასთან დაპირისპირება. სორუში ცდილობს დაარწმუნოს ირანული საზოგადოება, რომ ყველაფერი ის, რაც დასავლეთიდან მოდის, არ აბინძურებს აღმოსავლურ სულსა და კულტურას. მისთვის მისაღები გახლდათ კულტურული კავშირის არსებობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, დასავლური კულტურის უპირობო უპირატესობისა და პროგრესის სიმბოლოდ აღიარებისა ან კიდევ მისი სრული უარყოფის ნაცვლად. იგი პატივს სცემდა სხვა კულტურას, სამყაროსა და რელიგიას: „არ მჯერა, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიზანი იყოს მთელი მსოფლიოს მოქცევა ისლამზე და ისლამური მმართველობის დამყარება. პირველ რიგში, პატივი უნდა ვცეთ მსოფლიოში რელიგიურ აზროვნებას, როგორიც არ უნდა იყოს ის" [1].

აბდოლქარიმ სორუშის აზრი დასავლეთთან დაკავშირებით ზოგ შემთხვევაში ემთხვევა ჯალალ ალ-ე აჰმადის აზრს, მაგრამ მეტწილად განსხვავდებოდა მისგან. სორუში აცნობიერებდა, ალ-ე აჰმადის მსგავსად, რომ დასავლეთი პასუხისმგებელია მესამე სამყაროს დიდი ნაწილის განადგურებაზე, რომ აუცილებელი იყო მათ ჰეგემონიასთან დაპირისპირება. „რაც მე დავინახე ჯალალ ალ-ე აჰმადის გვიანდელ შრომებში, არის იდენტობის თავისებური გამოხატვა დასავლეთთან მიმართებაში, დასავლეთთან, რომელმაც დაამცირა, გათელა და კოლონიებად აქცია ისლამური და აღმოსავლეთის ქვეყნები, წაართვა მათ საკუთარი იდენტობა და არარაობად აქცია"[4]. მაგრამ რაც შეეხება ალ-ე აჰმადის „ყარბზადეგის" („მედასავლეთეობას"), ავტორისეული მიდგომა პრობლემისადმი მიუღებელია სორუშისათვის. ალ-ე აჰმადი დასავლეთს წარმოადგენს, როგორც ერთ მთლიანობას, რომლის ბრმა იმიტაციაც დამღუპველია ქვყნისათვის და ამიტომ მოუწოდებს მკითხველს ტრადიციასთან დაბრუნებისაკენ. ტრადიცია კი, თავის მხრივ, ორ ფუნქციას ითავსებს საზოგადოებაში: „ერთის მხრივ, ის აჩვენებს ხალხს იდენტობას და უზრუნველყოფს კულტურულ განგრძობადობას, ხოლო, მეორეს მხრივ, ის გადაიქცევა ხოლმე მძიმე ტვირთად, რაც ანელებს განვითარებას. მისი არსებობა კარგიცაა და ცუდიც, ისევე, როგორც მისი არქონა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია მისი სწორად გამოყენება" [4]. სორუში დასავლეთს აღიქვამს არა როგორც ერთ მთლიანობას, არამედ სხვადასხვა ხალხის კომპილაციას სხვადასხვა იდენტობითა და კულტურით, ამიტომ წარმოუდგენელია დასავლეთის, როგორც ერთი მთლიანობის, მიბაძვა, რადგანაც არ არსებობს ასეთი. შესაძლებელია, შეარჩიო მხოლოდ ის, რაც გინდა მიიღო დასავლეთისაგან და უარი თქვა იმაზე, რაც არაა სასურველი და ზიანის მომტანია [5]. მეტიც, სორუში ირანელებს სამი კულტურის მემკვიდრედ მიიჩნევს: წინაისლამურის, ისლამურისა და დასავლურის. და იმის ნაცვლად, რომ ირანალებმა ერთს მეორეზე მეტად მიანიჭონ უპირატესობა, უნდა მოახერხონ მათი შერწყმა და ურთიერთშეხამება.

სორუშისთვის სელექციის მეთოდი მისაღებია მოდერნიზმთან დაკავშირებითაც. მისი აზრით, დასავლეთის მსგავსად, არც მოდერნულობა უნდა იქნას მიჩნეული ერთ მთლიანობად. მისი მტკიცებით, მოდერნულობის სხვადასხვა ასპექტი სხვადასხვა კულტურისთვისაა შესაბამისი და განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ მისი მიღება და მორგება თავიანთი საჭიროების მიხედვით - ისე, რომ არ იქცნენ ვესტერნიზაციის მსხვერპლად. იგი მიიჩნევს, რომ განვითარებადი ქვეყნების პროგრესისათვის აუცილებელია უცხო კულტურისა და მისი კონცეპტების რაციონალური, გააზრებული და სელექციის გზით მიღება.

მოდერნიზაცია, როგორც ვესტერნიზაციის თანმდევი მოვლენა, ალ-ე აჰმადის დროსაც და სორუშის თანამდეროვე ირანშიც მავნე ზეგავლენის მქონე მოვლენად ითვლებოდა, რაც, სორუშის აზრით, გამოწვეულია მძაფრი ეფექტების მქონე მოდერნული იდეებით. ეს

განსაკუთრებით ცხადი ხდება მაშინ, როდესაც საუბარია სეკულარიზმის, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების შესახებ. სეკულარიზმის საფუძველს წარმოადგენს ინდივიდის - ლაპარაკის, მუშაობის, მოქმედების, სწავლის - უფლებების დაცვა. ეს თავისთავად მისაღებია სორუშისათვის, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფიკჰში ვალდებულებების შესახებაა საუბარი და არა _ უფლებების. ამიტომ მუსლიმური საზოგადოებისათვის ძნელად მისაღებია თანამედროვე ეპოქა თავისი ცვლილებებით. მართალია, ულემებმა მნიშვმნელოვანი როლი შეასრულეს ისლამის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი დარტყმებისაგან დასაცავად და შეინარჩუნეს მისი ფუნქცია, როგორც ხალხის შემაკავშირებლისა და ქვეყნის ძლიერებისა, მაგრამ მათ საგრძნობლად გაზარდეს თავიანთი უფლებამოსილება და დღესაც კი საუკუნის წინანდელი ენით ლაპარაკობენ რელიგიური ვალდებულებებისა და მოვალეობების შესახებ, რაც მეტყველებს მათი მსოფლმხედველობის კონსერვატულობაზე. ამიტომ გასაკვირი არაა მათი უარყოფითი დამოკიდებულება მოდერნიზაციისა და მისი თანმდევი მოვლენებისადმი. მათ არ შეუძლიათ თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს პასუხი გასცენ, რაც, სორუშის აზრით, თანამედროვე მუსლიმ ინტელექტუალს შეუძლია, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს „ისლამურ სწვალულებსა და მოდერნიზმში კარგად გარკვეულ პიროვნებას. მას კარგად უნდა ესმოდეს განსხვავება ისლამსა და მოდერნულობას შორის და, ამასთანავე, შეეძლოს იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც მათ შორისაა გაჩენილი. ამისათვის, მან ზუსტად უნდა იცოდეს, თუ სად გადის ძირითადი განმასხვავებელი ხაზი მოდერნიზმსა და ისლამს შორის... ისინი არ არიან ტრადიციული რელიგიური თუ აღმზრდელობითი ნორმებით შებოჭილი და არ წარმოადგენენ კონკრეტულად რომელიმე ვიწრო ტრადიციის ნაწილს. განსხვავებით ულემებისაგან, რომლებსაც იმ ტექსტის რეალური აზრიც არ ესმით, რასაც კითხულობენ. თანამედროვე მუსლიმი ინტელექტუალი კი შეძლებს მის სიღრმეებში ჩაწვდომას და კრიტიკულად მიდგომასაც“[6]. სორუში აუცილებლად მიიჩნევს რელიგიის სწორ ინტერპრეტაციას, რელიგიურ საკითხებთან რაციონალურ მიდგომას. მუსლიმმა ინტელექტუალებმა ყველა სიახლე უნდა აღიარონ სამეცნიერო აღმოჩენებისა თუ მიღწევების ჩათვლით, რაც შემდგომში მოამზადებს საფუძველს რელიგიური ცოდნის ცვლილებისა და გარდაქმნისათვის.

თანამედროვე მუსლიმი სწავლულები თუ ინტელექტუალები ხშირად მსჯელობენ ისლამის რეკონსტრუქციის თაობაზე. სორუში მათგან განსხვავებით რელიგიის განახლებისა და აღორძინების იდეას არ იზიარებს. მისი აზრით, რელიგია უცვლელია, უბრალოდ იცვლება ადამიანთა დამოკიდებულება, რელიგიური ასპექტების აღქმა ეპოქის მიხედვით. იცვლება რა სამყარო გამუდმებით, მას მოჰყვება ადამიანის აღქმის ცვლილებაც [5].

რაც შეეხება ისლამის იდეოლოგიად ქცევას, ამასთან დაკავშირებითაც სორუშს სუბიექტური აზრი და დამოკიდებულება აქვს. მართალია, ის აღიარებს მუსლიმურ სამყაროში ისლამური პოლიტიკური იდეოლოგიის გაბატონებას, მაგრამ დაუშვებლად მიიჩნევს რელიგიის იდეოლოგიზაციას, რასაც ირანში ჰქონდა ადგილი მკვეთრად გამოხატული ფორმით 1978-79 წწ. მოვლენების დროს. განსაკუთრებული წვლილი ამ პროცესში ‘ალი შარი’ათის მიუძღვის, რომელსაც ისლამური იდეოლოგია ესახებოდა დასავლეთისაგან ქვეყნის ხსნის უმთავრეს იარაღად. შედეგმაც არ დააყოვნა, რელიგიურმა იდეოლოგიამ გააძლიერა რევოლუციური მუხტი და მთავარი მიზანი, შაჰის ჩამოგდება, მიღწეულ იქნა, მაგრამ მიუხედავად იდეოლოგიის ასეთი ეფექტურობისა, სორუშისთვის მაინც მიუღებელია ის, რადგან იდეოლოგიად ქცევის შემთხვევაში რელიგია განსაზღვრულ და დოგმატურ სახეს იღებს. ეს კი ეწინააღმდეგება დროის მსვლელობასთან ერთად რელიგიური საკითხების აღქმის ცვლილების არსებობას. შარი’ათისაგან განსხვავებით, რომელსაც სურდა ისლამისა და რევოლუციური სულისკვეთების შეხამება, სორუში თანამედროვე ეპოქაში ცდილობს დემოკრატიისა და ისლამის ურთიერთშეთანხმებას. სურს იცხოვროს დემოკრატიულ ქვეყანაში როგორც მუსლიმმა და ახსნას მისი თეოლოგიური საფუძვლები [7]. მისთვის მისაღები სახელმწიფოს მართვის ერთადერთი ფორმა დემოკრატიული გახლავთ, რასაც ის თავისი თანამოაზრეებისაგან განსხვავებით არ აიგივებს დასავლურ კულტურასთან. იგი დემოკრატიას მმართველობის იმ ფორმას მიაწერს, რომელიც ისლამური ქვეყნებისათვისაც მისაღებია.

დემოკრატიული მმართველობა სორუშისთვის წარმოადგენს როგორც ღირებულებათა სისტემას, ისე მმართველობის მეთოდს. პირველი გულისხმობს ადამიანთა უფლებების, სამართლიანობის და ა.შ. დაცვას, ხოლო მეორე _ მმართველობის, სიტყვის, გამოხატვის, პოლიტიკური პარტიების თავისუფლებასა და აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვას, რაც არც თუ ისე იოლი მისაღწევია ირანის ტიპის ქვეყანაში, სადაც თავისუფლება ესმით, როგორც უზნეობა, მედასავლეთეობა (მაგ., ქვეყნის სულიერ ლიდერს ალი ხამენეის). სორუშის დემოკრატიის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა როგორც ულემთა, ისე რელიგიური ინტელექტუალების მხრიდან.

შარი'ათის მსგავსად, სორუშიც დიდი კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა სამღვდელოების მიმართ. ბრალს სდებდა მათ ისეთი სიახლეების უარყოფაში, რომელიც პოზიტიურ გავლენას მოახდენდა ისლამური სამყაროს შემეცნებით განვითარებაში. დაუფარავად აცხადებდა, რომ ზოგიერთი კლერიკალი – ფაკიჰი, რომელიც რელიგიური ინტელექტუალიზმისა და მოდერნიზმის პირობებში თავისი სურვილისამებრ ვერ ახდენს ფიკჰთან დაკავშირებული საკითხების ბოლომდე დემონსტრირებას, თავისი არსით არაფრით ჩამოუვარდება თალიბებს [8]. სორუშის ასეთი დამოკიდებულება კლერიკალებისადმი, რა თქმა უნდა, დაძაბულობას მატებდა მათ ურთიერთობას, რამაც განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი 1990-იან წლებში მიიღო. შედეგად, მას აუკრძალეს ლექციების კითხვა, დახურეს ქიანის გამომცემლობაც. იგი ქვეყნის რეჟიმისთვის საკმაოდ რადიკალური აღმოჩნდა, ამიტომ მან დატოვა ქვეყანა და საცხოვრებლად დასავლეთს მიაშურა.

აბდოლქარიმ სორუში ის მოაზროვნე გახლავთ, რომელიც შეეცადა საზღვრების და ისლამური რესპუბლიკის ინტელექტუალური აზროვნების შესახებ განსხვავებული აზრის წამოჭრას. ის არის ისლამური ჩარჩოებისაგან თავისუფალი რადიკალი იდეოლოგი, რომლის აზროვნებაც ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ტრადიციასა და ისტორიულ ჭრილში. მან დამაჯერებლად უარყო „ყარბზადეგის“ იდეები და წინ წამოწია კულტურული ურთიერთობის მნიშვნელობა დასავლეთთან. ახლა ჯერი უკვე ირანულ საზოგადებასა და ინტელიგენციაზეა, რამდენად არიან მზად ისინი ამგვარი ცვლილებისთვის.

ამრიგად, აბდოლქარიმ სორუში ინტელექტუალთა იმ რიგებს მიეკუთვნება, რომლებისთვისაც მიუღებელია რელიგიის იდეოლოგიზაცია და მისი დახმარებით ხალხის მობილიზება რაიმე მიზნის მისაღწევად. იგი რელიგიის დეიდეოლოგიზაციის პროპაგანდას ეწეოდა. ვინაიდან იდეოლოგიური საზოგადოებები, მისი მტკიცებით, საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა ტოტალიტარიზმის აღმოსაცენებლად. მაშინ, როცა შარიათი ამტკიცებდა, რომ ისლამურ იდეოლოგიას ხალხი შაჰის ბნელი ეპოქიდან უნდა გამოეყვანა, სორუშს სურდა ისლამი გამხდარიყო საზოგადო, მომხდარიყო მისი დემისტიფიცირება, რეარტიკულაცია და ჯანსაღი კრიტიკა [9].

სორუში, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, არ უარყოფს ყველაფერს, რაც დასავლურია და მოდერნული, რადგან დასავლური არ ნიშნავს ცუდს და ზიანის მომტანს. მეტიც, მან ირანელები ნაწილობრივ დასავლური კულტურის მემკვიდრეებადაც კი მიიჩნია. მას ქვეყნის მართვის სასურველ ფორმადაც დასავლური წაროშობის დემოკრატია ესახება ისლამური ჩარჩოთი. მთავარია, სორუშმა, შარი'ათის მსგავსად, შეძლოს საზოგადოებრივი აზრის იმგვარად მობილიზება, რომ უბიძგოს მათ მოძრაობისა და ცვლილებებისთვის ბრძოლისაკენ, რაც მომავლის საქმეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. M. Boroujerdi, Iranian Intellectuals and the West, Syracus University Press, 1996;
2. A. Soroush,Reason, Freedom & democracy in Islam, OXFORD University Press, 2000;
3. N.R. Keddie, Modern Iran, Yale University Press, 2003;

4. A. Seyyedabadi, *The* Muddled Dream of Returning to Tradition: An Interview with AbdolkarimSoroush; http://www.drsoroush.com
5. V. Vekil, Debating religion and Politics In Iran: The Political Thought of AbdokarimSoroush; i.cfr.org/content/publications/attachments/Religion_Politics_in_Iran.pdf
6. The Responsibilities of the Muslim Intellectual in the 21st Century; an Interview with AbdolkarimSoroush by Farish A. Noor 08.12.03; www.drsoroush.com
7. We Should Pursue Shariati's Path but We Shouldn't be Mere Followers, an Interview with AbdolkarimSoroush by Reza KhojastehRahimi; www. drsoroush.com
8. Some of our clerics are no better than Taliban, an interview with Abdlkarimsoroush by Nooshabeh Amiri, 2009; www. drsoroush.com
9. Behrooz Ghamari- Tabrizi, Islam and Dissent in Postrevolutionary Iran: Abdlokarim Soroush, Religious Politrics and Democratic Reform, IB Tauris, 2008.

თამთა ბოკუჩავა

სირიის სამოქალაქო ომი: თურქეთის ინტერესები და პოლიტიკა

თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი დიდ გავლენას ახდენს სირიაში მიმდინარე პროცესებზე. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სირიაში შეიარაღებული ოპოზიციის ჩამოყალიბებაში, მაგრამ არასწორმა პოზიციამ რეგიონული და საერთაშორისო გარემოს მიმართ, ცალმხრივმა მიდგომამ ამავე შეიარაღებული ოპოზიციის მიმართ და დასავლელ თუ რეგიონულ პარტნიორებთან პრიორიტეტებზე შეუთანხმებლობამ ზიანი მიაყენა თურქეთის ინტერესებს. ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე თურქეთ-ქურთული კონფლიქტიც. ვითარება ამ ორ მხარეს შორის განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ რაც თურქეთის მოსაზღვრე სირიის ტერიტორიების დიდ ნაწილზე ქურთული დემოკრატიული ერთობის პარტიამ (PYD – Partiya Yekîtiya Demokrat) დაამყარა კონტროლი. 2012 წ. ასადის არმიის უკან დახევის შემდეგ ამ უკანასკნელის ხელში აღმოჩნდა როჟავას რეგიონი.

სირიის რეჟიმის ფართომასშტაბიანმა ძალადობრივმა ქმედებებმა, ისევე როგორც დასავლური კოალიციის მხრიდან ზომიერი ოპოზიციისათვის მხარდაჭერის არარსებობამ, მეამბოხეების რადიკალიზაცია, სუსტად კონტროლირებადმა საზღვარმა კი - რადიკალური დაჯგუფებების ინტერნაციონალიზაცია გამოიწვია.

თურქეთი უშუალოდაა დაინტერესებული სირიის სამოქალაქო ომის შედეგებით, თუმცა რუსეთის სამხედრო ჩარევამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში და შეასუსტა ოფიციალური ანკარის პოზიციები.

აჰმედ დავუთოღლუს განცხადებით, რომელიც სამართლიანობისა და განვითარების პარტიის საგარეო პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი ავტორია, უნიკალური ისტორია და გეოგრაფიული მდებარეობა თურქეთს საშუალებას აძლევს იყოს „ცენტრალური სახელმწიფო“ ახლო აღმოსავლეთში. დაძაბული ურთიერთობა არაბულ ქვეყნებთან ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და რეგიონში დასავლური კოლონიალიზმის შედეგია. საბოლოოდ ახლო აღმოსავლეთში ბაასისტური და მონარქისტული მთავრობები მუსლიმური მასებიდან გამოსულმა მთავრობებმა უნდა ჩაანაცვლონ, ხოლო თურქეთი, რომელიც ამის ნათელი მაგალითია, შეძლებს ცენტრალური როლი ითამაშოს რეგიონში და ჰქონდეს „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“.

სწორედ ეს ხედვა დაედო საფუძვლად თურქეთ-სირიის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესს XXI ს.-ის დასაწყისში. ამავდროულად ეს პროცესი ეკონომიკურად მომგებიანი იყო სირიისთვისაც და ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევდა გამოსულიყო იზოლაციიდან და აღარ ყოფილიყო დამოკიდებული მხოლოდ ირანზე. „არაბული გაზაფხულის“ პირველ ეტაპზე თურქეთი არ იყო მზად ურთიერთობები გაეწყვიტასირიასთან და ურჩევდა ასადის მთავრობას დათმობაზე წასულიყო და მინიმალური რეფორმები გაეტარებინა, ამასთან იგი აქტიურ კონსულტაციებს მართავდა სირიის ოპოზიციურ პარტიებთანაც. 2011 წ. სექტემბერში, ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ სირიის მთავრობის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებამ და აშშ-ს მოწოდებამ აიძულა თურქეთი არჩევანი გაეკეთებინა კონფლიქტის მხარეებს შორის და მაშინ პრემიერმინისტრმა ერდოღანმა ასადის მთავრობას გადადგომისკენ მოუწოდა. ამავე წლის ბოლოდან თურქეთმა და ყურის რიგმა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს ოპოზიციური ძალების დაფინანსება და კონსოლიდაცია. თურქეთი საერთაშორისო საზოგადოებისაგან და განსაკუთრებით აშშ-სგან სამხედრო ინტერვენციას ითხოვდა, თუმცა მას შემდეგ რაც ნათელი გახდა, რომ აშშ არ იყო დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთში ახალი კონფლიქტის მონაწილე მხარე გამხდარიყო, ოფიციალურმა ანკარამ აქტიურად დაიწყო „ჰუმანიტარული კორიდორის“ შესახებ საუბარი.

აშშ-ს სირიაში მიმდინარე მოვლენებთან საკმაოდ განდგომილი დამოკიდებულება ჰქონდა. 2011წ. ობამას მიერ გაკეთებული განცხადება, იმის თაობაზე რომ ასადის მთავრობა ხალხის მოთხოვნებს უნდა დაემორჩილოს და დატოვოს პრეზიდენტის პოსტი, საერთაშორისო

საზოგადოებამ და განსაკუთრებით სირიის ოპოზიციამ კონფლიქტში ჩარევისათვის აშშ-ის მზადყოფნის სიგნალად აღიქვა, რაც როგორც აღმოჩნდა სიმართლისაგან შორს იდგა. შეერთებული შტატების პოზიცია 2014 წლისათვის შეიცვალა და მასზე გავლენა ისლამური სახელმწიფოს გაძლიერებამ და განსაკუთრებით მის მიერ მოსულის აღებამ იქონია. ასეთ შემთხვევაშიც აშშ-ს უმთავრესი პრიორიტეტი ისლამური სახელმწიფო გახდა და არა სირიის სამოქალაქო ომი. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ს საჰაერო ოპერაციები და მჭიდრო კავშირები PYD-სთან მნიშვნელოვანწილად დაეხმარა ერთის მხრივ სირიის ოპოზიციას ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში და მეორეს მხრივ ქურთებს პოზიციების გამყარებასა და ტერიტორიულ ექსპანსიაში (ჯაზირა, ქობანი, ეფრინი).

ქობანისათვის ბრძოლამ ნათელი გახადა, რომ თურქეთისა და აშშ-ს პოზიციები სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აშშ-სათვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად ტერორიზმთან ბრძოლა იქცა. ამასთან PYD და YPG (სირიის სახალხო თავდაცვის რაზმები - Yekîneyên Parastina Gel) ხმელეთზე მისი დასაყრდენი გახდა. 2012 წლიდან 2016 წლამდე PYD-ს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები 9%-იდან 14%-მდე გაიზარდა. ქურთული ძალების ამგვარი აქტიურობა და თურქეთის საზღვრის გასწვრივ კონსოლიდაცია ოფიციალური ანკარის შეშფოთებას და ხშირ შემთხვევაში გაღიზიანებს იწვევდა დასავლელი პარტნიორების მიმართ. აშშ-ს დახმარებით YPG აკონტროლებს მდ. ევფრატის სამხრეთით თურქეთ-სირიის საზღვარს და სტრატეგიული პოზიციები უკავია ისლამური სახელმწიფოს მანბიჟის რეგიონიდან განსადევნად. თურქეთმა PYD და YPG ტერორისტულ ორგანიზაციებად გამოაცხადა და მათ PKK-ს განშტოებად მიიჩნევს. მათმა ამგვარმა გაძლიერებამ PKK-ს მანევრირების შესაძლებლობა მისცა, რომელმაც ბოლო პერიოდში ჩრდილოეთ სირიის ქურთულ ტერიტორიებში 33 ახალი ბანაკი ჩამოაყალიბა.

2013-2015წწ. ქურთებსა და ისლამურ სახელმწიფოს შორის მიმდინარე დაპირისპირების ფონზე, თურქეთის მთავრობა ინერტული რჩებოდა მიმდინარე მოვლენების მიმართ. მმართველი ძალის ასეთი დამოკიდებულება უკმაყოფილებას იწვევდა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში. თუმცა განსაკუთრებული აღშფოთება აღნიშნულ რეგიონებში საზღვრის ჩაკეტვას მოჰყვა. ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა სირიის ქურთული ქალაქების დაცვაში, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა თურქეთის ხელისუფლებისათვის. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრძოლებში მეჯლისში არჩეული ქურთული სახალხო-დემოკრატიული პარტიის (HDP) წარმომადგენლების შვილებიც დაიღუპნენ.

თურქეთი, ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს თავიდანვე ხელსაყრელ მოკავშირეებად აღიქვამდა, ამასთან ამ დაჯგუფებებიდან წამოსულ საფრთხეს იგი მეორეხარისხოვნად განიხილავდა. სირიის სამოქალაქო ომში თურქეთის პრიორიტეტები ამგვარად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: 1. ასადის რეჟიმის გადადგომა, 2. ბრძოლა ქურთების წინააღმდეგ და მათი ტერიტორიული ექსპანსიის შეკავება, 3. ბრძოლა ისლამური სახელმწიფოს და ტერორიზმის წინააღმდეგ. შედეგად თურქეთი არ ჩქარობდა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ კოალიციაში ჩაბმას. თურქეთის მთავრობამ სტრატეგია რეგიონში ისლამური ფრონტის გარშემო ააგო, რომელშიც მნიშვნელოვან ნაწილს სალაფიტური დაჯგუფება აჰრარ ალ-შამი წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი ისტორიულად და იდეოლოგიურად ალ-კაიდასთან იყო დაკავშირებული. იგი ნაკლებად რადიკალურია ვიდრე ალ-ნუსრას ფრონტი, თუმცა მან ძალიან მარტივად მოახერხა სხვა შედარებით სუსტი დაჯგუფებების რადიკალიზაცია და მათზე კონტროლის დამყარება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სტრატეგია თურქეთისათვის მცდარი აღმოჩნდა. ჩრდილოეთ სირიაში რადიკალური დაჯგუფებების მომრავლებამ PYD-ს საშუალება მისცა ექსტრემიზმთან ბრძოლის ეგიდით თავისი ტერიტორიები გაეფართოებინა.

სირიის ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის რადიკალიზაცია სხვადასხვა ფაქტორებით არის გამოწვეული: რეჟიმის ძალადობრივი ქმედებები ამბოხებულების წინააღმდეგ, ქურთული ექსპანსიონიზმის საფრთხე, ზომიერი ოპოზიციის მოკავშირე საერთაშორისო ძალის არ არსებობა. თავისი როლი ითამაშა აგრეთვე თურქეთის სტრატეგიამ რომელიც ასადის რეჟიმის შეცვლასა და ქურთული ძალების შეკავებაზე აკეთებდა კონცენტრირებას.

2015წ. შემოდგომაზე, ოფიციალური დამასკოს თხოვნის საფუძველზე რუსეთმა დაიწყო საჰაერო შეტევების განხორციელება სირიის ტერიტორიაზე. იგი შეტევებს ახორციელებდა ორი ძირითადი მიმართულებით: ისლამისტური დაჯგუფებები (ისლამური სახელმწიფო, ჯაბჰატ ალ-ნუსრას ფრონტი, აჰრარ ალ-შამი, და ჯაიშ ალ-ისლამი) და ნავთობის კონტრაბანდის მარშრუტები. სამხედრო ინტერვენცია ერთის მხრივ გამართლებული იყო რეგიონის არასტაბილურობისა და ტერორიზმის საფრთხეებიდან გამომდინარე. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა იმ საკითხს წარმოადგენს, რომელზედაც აშშ-სა და რუსეთის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა. მეორეს მხრივ კონფლიქტში ჩართვით რუსეთი შეეცადა საკუთარი მნიშვნელობა გაეზარდა და პოზიციები გაემყარებინა როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე და უსაფრთხოების საკითხებში დასავლეთთან საერთო პრიორიტეტების განსაზღვრით უკანა პლანზე გადაეწია უკრაინის კრიზისი და აქედან გამომდინარე შეზღუდვები.

რუსეთმა მნიშვნელოვნად შეასუსტა თურქეთის პოზიციები სირიაში. მისი სამხედრო დახმარების შედეგად ასადის რეჟიმმა სიცოცხლე შეინარჩუნა და უფრო მეტიც, ჩრდილოეთ რეგიონში, თურქეთის მოკავშირე ოპოზიციური ძალების შევიწროვება მოახერხა. თურქეთის მხრიდან რუსული SU-24-ის ჩამოგდების შემდეგ კი რუსეთმა სრული კონტროლი დაამყარა ჩრდილოეთ სირიის საჰაერო სივრცეზე.

თურქეთისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სირიელი ლტოლვილების უზარმაზარი ტალღა. დღეს თურქეთის ტერიტორიაზე ლტოლვილთა რაოდენობა 3 მილიონს აღემატება, აქედან უდიდესი ნაწილი ბანაკებს გარეთ ცხოვრობს, რაც განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. ამასთან ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ლტოლვილთა 53% არასრულწლოვანია, რაც მათი რადიკალიზაციის და სხვადასხვა ისლამისტურ დაჯგუფებებში გაერთიანების საფრთხეს კიდევ უფრო ზრდის.

სირიის სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე თურქეთის მთავრობა თანმიმდევრული რჩებოდა თავისი პოზიციისა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ, იმის მიუხედავად რომ კონფლიქტმა რამდენიმე ფაზა გაიარა და ძალთა ბალანსი როგორც სირიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეს მოკავშირეებთან ურთიერთობების დაძაბვის ერთ-ერთი მიზეზი გახდა და თურქეთი გარკვეულწილად იზოლაციაში აღმოჩნდა.

2015-2016წწ. მიმდინარე მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ თურქეთისათვის აუცილებელია ახალი პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება. 2016წ. მაისში პრემიერმინისტრ დავუთოღლუს თანამდებობიდან გადადგომას საშუალება უნდა მიეცა მთავრობისათვის ცვლილებები განეხორციელებინა საგარეო პოლიტიკაში. ამის დამადასტურებელი იყო ბინალი ილდირიმის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ასადი უდავოდ იყო კონფლიქტის ერთ-ერთი აქტორი და თურქეთიც ვალდებულია ამ ჭრილში განიხილოს მიმდინარე მოვლენები.

თურქეთმა აქტიურად დაიწყო ურთიერთობების ნორმალიზება რუსეთთან და ირანთან. 2016წ. 9 აგვისტოს პეტერბურგში გამართული შეხვედრები თურქეთისათვის იზოლაციიდან გამოსვლის საშუალება იყო. მომდევნო ორი თვის განმავლობაში თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტები კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მოლაპარაკებების ძირითად თემას სირიის კრიზისთან ერთად ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენდა. 2016წ. 2 დეკემბერს მეჯლისმა დაამტკიცა „თურქული დინების“ პროექტი. ყურადღება დაეთმო აგრეთვე აქქუიუს ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობასაც. აქტიურად განიხილებოდა აგრეთვე რუსეთისაგან S-400ტიპის სარაკეტო სისტემის შესყიდვის საკითხიც.

რუსეთთან მოლაპარაკებების ფონზე თურქეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაცია ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიაზე. ოფიციალურად თურქეთი ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა, თუმცა რეალურად ოპერაცია „ევფრატის ფარის“ მიზანი PYD-ს შეკავება და სასაზღვრო ზოლის მდ. ევფრატზე გავლება წარმოადგენდა.

2016წ. დასაწყისიდან რუსეთის საჰაერო ძალების დახმარებით სირიის მთავრობამ მოახერხა წარმატებული შეტევების განხორციელება ალეპოსა და მის გარშემო გამაგრებული მეამბოხეებზე, ხოლო წლის ბოლოსთვის 6 თვიანი ალყის შემდეგ სირიისა და რუსეთის

გაერთიანებულმა ძალებმა აიღეს ალეპო. ამან ეფრინში გამაგრებულ ქურთებს საშუალება მისცა ჩრდილოეთ სირიაში ისლამური სახელმწიფოსა და თურქეთის მოკავშირე ძალების წინააღმდეგ შეტევაზე გადასულიყვნენ.

2016წ. დეკემბერში ალეპოში განვითარებული მოვლენები გარკვეული ვარაუდების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. თურქეთისათვის არადამახასიათებელი განყენებულობა ალეპოს ძველ ქალაქში მიმდინარე ბრძოლების მიმართ და პარალელურად ოპერაცია „ევფრატის ფარის“ წარმოება იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ რუსეთმა და თურქეთმა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. ოფიციალურმა ანკარამთვალიდახუჭა ალეპოში მიმდინარე მოვლენებზე და არ დაეხმარა აქ განლაგებულ შეიარაღებულ ოპოზიციას, ხოლო რუსეთმა თავის მხრივ თურქეთს სირია-თურქეთის სასაზღვრო ზოლზე კონტროლის დაწესების საშუალებამისცა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეთანხმება არ უნდა იყოს სათანადოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. ამის ნათელი მაგალითია ალ-ბაბის მახლობლად თურქულ პოზიციებზე განხორციელებული შეტევა. სავარაუდოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსეთ-თურქეთის შეთანხმების წითელი ხაზი სწორედ ამ ტერიტორიაზე გაივლის.

თურქეთი რუსეთთა აქტიურად თანამშრომლობდა ალეპოს ევაკუაციისას. ეს პროცესი მთლიანად აშშ-ს გარეშე მიმდინარეობდა, რაც ერთის მხრივ თურქეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დაძაბვაზე, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთთან თანამშრომლობაზე და კომპრომისების მიღწევაზე მეტყველებს.

ალეპოს დაცემა და ცეცხლის შეწყვეტა ერთის მხრივ დიდ გამარჯვებაა რუსეთისათვის. იგი მაქსიმალურად შეეცდება გამოიყენოს ეს შესაძლებლობა რათა შეასუსტოს დასავლეთის გავლენა რეგიონზე. მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევაა ასადის რეჟიმისათვის, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებების მაგიდასთან აღმოჩნდა. ამასთან თურქეთი შეძლებს მედიატორის როლი შეასრულოს ამ მოლაპარაკებებზე და შეეცადოს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები სირიაში.

თურქეთი და რუსეთი ვერ თანხმდებიან ქურთულ საკითხთან დაკავშირებით. იგი განსაკუთრებთ მწვავედ აღიქვამს რუსეთის და სირიის ქურთების ახლო ურთიერთობებს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალური მოსკოვი გააკრიტიკა აფრინში რუსი ჯარისკაცების მიერ YPG-ს ნიშნების ტარებისათვის და მოითხოვა PYD-ს ოფისის დახურვა მოსკოვში. ოფიციალური ანკარა სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან მათ გამოთიშვას მოითხოვს, მაშინ როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით ქურთული მხარის არსებობა მოლაპარაკებების მაგიდასთან აუცილებელია.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. არც ერთი ომი პრინციპში წარმოუდგენელია ასეთი მსხვერპლის გარეშე, თუმცა სირიის ფრაგმენტულობიდან და გამოკვეთილი სამიზნეების სიმცირიდან გამომდინარე ეს საკითხი მწვავედ გამოიკვეთა მიმდინარე ბრძოლების და განსაკუთრებით ალეპოს ალყის ფონზე.

რუსეთი და დასავლეთი პრინციპში იზიარებენ სირიის ერთიანობის შენარჩუნების სურვილს, თუმცა მათ განსხვავებული შეხედულებები აქვთ იმის შესახებ, თუ რა ტიპის სახელმწიფო უნდა იყოს ომის შემდგომი სირია. დასავლეთის ხედვა ახლო აღმოსავლეთში ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების დანერგვის შესახებ მნიშვნელოვან დაბრკოლებას აწყდება. რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კონსერვატორი და ტრადიციონალისტია, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებში ხმას ისლამისტურ პარტიას აძლევენ. შესაბამისად დემოკრატიული რევოლუცია სირიაში აუცილებლად გადაიზრდება ისლამისტურში. რუსეთი მხარს უჭერს სირიის დეცენტრალიზაციასა და პლურალური სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა რეგიონი და საზოგადოებრივი ფენა. იგი რა თქმა უნდა სირიის შეიარაღებულ ძალებს ყველაზე უკეთ მოქმედ სახელმწიფო ინსტიტუტად მიიჩნევს და სავარაუდოდ პოლიტიკურ სისტემაში არმიის როლის გაზრდის მომხრე იქნება.

იმის მიუხედავად, რომ ურთიერთობები რუსეთსა და თურქეთს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მყარი კავშირების დამყარება ამ ორ სახელმწიფოს შორის ნაკლებ სავარაუდოა. თურქეთი დასავლეთთან დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად არ იმოქმედებს თავისი

სტრატეგიული მოკავშირეების წინააღმდეგ რეგიონში. არასტაბილური მდგომარეობა ქვეყნის შიგნით, ეკონომიკური სირთულეები და ტერორისტული აქტების საფრთხე კი საშუალებას არ მისცემს რადიკალური ნაბიჯები გადადგას რუსეთთან დაახლოების პროცესში. ამასთან ოფიციალური მოსკოვის რბილი პოლიტიკა ქურთების მიმართ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების მუდმივი საგანი იქნება.

„არაბული გაზაფხულის" დასაწყისისათვის თურქეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა, შესაბამისად მისი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები აქედან გამოწვეული თავდაჯერებულობით იყო ნაკარნახევი. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ მაშინ პრემიერმინისტრ ერდოღანის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც იგი მოკლე დროში დამასკოს მეჩეთში ლოცვის აღვლენის პირობას დებდა.

სირიის სამოქალაქო ომმა ნათელი გახადა რამდენად შეზღუდული თურქული პოლიტიკა, მისი სამხედრო, ეკონომიკური თუ დემოგრაფიული წონის მიუხედავად. მან ვერ მოახერხა საკუთარი პოზიციები გაემყარებინა კონფლიქტში რუსეთის ჩართვამდე. ამ უკანასკნელის აქტიური სამხედრო ოპერაციებისა და არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ კი თურქეთის პოზიციები რეგიონში კიდევ უფრო დასუსტდა. რადიკალურ დაჯგუფებების მიერ თურქეთის საზღვრის გადმოლახვის გახშირებასთან ერთად და რუსული არმიის წარმატებული წინსვლის ფონზე თურქეთის პოზიციები სავარაუდოდ კიდევ უფრო დასუსტდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Altunışık, Meliha Benli, "*The Inflexibility of Turkey's Policy in Syria",* Turkey at a crossroad, IEMed. Mediterranean Yearbook (2016), 39-44

Itani, Faysal; Stein, Aaron, "Turkey's Syria Predicament", Rafik Hariri Center for the Middle East, Atlantic Council, 2016

Kudors, Andis; Pabriks, Artis, edit., "*The War in Syria: Lessons for the West",* University of Latvia Press, 2016

Stepanova, Ekaterina, "*Russia's Policy on Syria after the Start of Military Engagement",* PONARS Eurasia Policy Memo No. 421 (2016)

Ataman, Muhittin, "Turkey and Russia: from Frozen Relations to Cooperation", accessed June 23, 2017, http://www.setav.org/en/turkey-and-russia-from-frozen-relations-to-cooperation/

Dolan, David, "*Turkey at 'final stage' with Russia over S-400 missile system: Defense minister*", accessed June 23, 2017, http://www.reuters.com/article/us-turkey-defence-russia-idUSKBN17N0RE

Duran, Burhanettin, "*Turkey's Syria Policy after Aleppo",* accessed June 25, 2017, http://www.setav.org/en/turkeys-syria-policy-after-aleppo/

Gilsinan, Kathy, "*What Are Turkey and Russia Doing in Syria?",*accessed June 23, 2017, https://www.theatlantic.com/international/archive/2016/12/whats-turkey-doing-in-syria/511148/

Jones, Dorian, "*Russian, Turkish Tensions Reopen Over Syria",* accessed June 23, 2017, https://www.voanews.com/a/tensions-between-russia-turkey-return-over-syria/3779295.html

Ozalp, Mehmet, "*Syria, Russia and Turkey – the uneasy alliance reshaping world politic*", accessed June 25, 2017, http://theconversation.com/syria-russia-and-turkey-the-uneasy-alliance-reshaping-world-politics-71079

Ozdemir, Volkan, "*Syria and energy complicate Russia-Turkey relations"*, accessed June 23, 2017, http://www.russia-direct.org/opinion/syria-and-energy-complicate-russia-turkey-relations

ინგა ინასარიძე

ლიბანის საშინაო და საგარეო პოლიტიკური გამოწვევები

სირიაში მიმდინარე ომი და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენისთვის ბრძოლა მკაფიოდ აისახება ლიბანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ლიბანის რთული პოლიტიკური ცხოვრების, სამოქალაქო ომის, „კედრების რევოლუციის“ თუ ისრაელთან ომის მიუხედავად,დასავლეთის მიერ ლიბანი ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოდ მიიჩნევს არაბულ სამყაროში.

ქვეყნის შიგნით და მის გარშემოგანვითარებული მოვლენები და რიგი ფაქტორები, ლიბანს სხვადასხვა გამოწვევების წინაშე აყენებს:

❖ ლტოლვილები

ლტოლვილების პრობლემა ლიბანში ჯერ კიდევ 1948 წლიდან დადგა, როდესაც ის პალესტინელი ლტოლვილის თავშესაფრად იქცა. ოფიციალურად დარეგისტრირებული 449957 პალესტინელი ლტოლვილი 12 ბანაკშია გადანაწილებული და მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში უწევთ ცხოვრება. პალესტინელი ლტოლვილების (ფათაჰ ალ-ისლამი) დაპირისპირება ლიბანის არმიასთან არაერთხელ გამხდარა უსაფრთხოების პრობლემის საგანი. 2011 წლიდან მათ დაემატა ერაყელი და სირიელი ლტოლვილების პრობლემაც. ერაყელების რაოდენობა 8000 ადამიანს აღწევს. თუმცა, ლტოლვილთა ყველაზე დიდი ნაკადი მეზობელი სირიიდან იქნა მიღებული. ჯერ კიდევ 2014 წელს გაეროს ანგარიშში ხაზგასმული იყო ლიბანის წვლილი ლტოლვილთა მიღების კუთხით. ერთ სულ მოსახლეზე ლტოლვილთა რაოდენობის მხრივ ლიბანი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. UNHCR–ის 2017 წლის მონაცემებით, ლიბანში მცხოვრები სირიელი ლტოლვილების რაოდენობა 1.1 მილიონს აღწევს. ამ მაჩვენებლით, ისინი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის მეოთხედს შეადგენენ. არაოფიციალური მონაცემებით, სირიელი ლტოლვილების რაოდენობა გაცილებით მეტია.

ლიბანის პრემიერ–მინისტრის, საად ჰარირის განცხადებით, შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო დახმარება, რათა თავიდან იქნას აცილებული ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირების ესკალაცია.

ლტოლვილების მზარდი ნაკადი ქვეყანში პირდაპირ არის დაკავშირებული სხვა გამოწვევებთან, რაც ძირითადად ეხება სოციალურ პრობლემებსა და დემოგრაფიულ ცვლილებებს.

❖ სოციალური პრობლემები

სირიელი ლტოლვილების საკითხმა ქვეყანაში მოსახლეობის უკმაყოფილება და შიდა დაძაბულობა წარმოშვა. მათი სახით გაჩნდა იაფი მუშახელი, რამაც ლიბანელებს შეუქმნა



უმუშევრობის მაჩვენებელი ლიბანში



დასაქმების პრობლემა. ეკონომიკური ზრდა შემცირდა 1-2%-ით.

სხვადასხვა ხასიათის სოციალური პრობლემები, რაც დღეს ლიბანს აწუხებს, არაერთხელ გამხდარა მოსახლეობის ქუჩაში გამოსვლის მიზეზი. ლიბანელების მთავარ პრობლემას, განსაკუთრებით ახალ-გაზრდა თაობაში, წარმოადგენს უმუშევრობა. ბოლო წლების განმა-ვლობაში ფიქსირდება უმუშევრობის დონის მუდმივი ზრდა. ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდება მომდევნო წლების განმავლობაშიც.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც სოციალურ სფეროს უკავშირდება, არის საყოფაცხოვრებო ნარჩენები. 2015 წელს ქუჩებში დაგროვილი ნარჩენები გახდა მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი. ბეირუთის ქუჩებში დაწყებული აქციები მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში გადაიზარდა. კამპანია, რომელსაც უწოდეს „შენ ყარხარ“, კონკრეტული სოციალური პრობლემის მოგვარებიდან, მთავრობის გადაყენების გადადგომის მოთხოვნით გაგრძელდა. ნარჩენების გატანისა და ერთჯერადი ზომების მიღების მიუხედავად, პრობლემა კვლავ დგას დღის წესრიგში.

დედაქალაქში პერმანენტული საპროტესო გამოსვლების კიდევ ერთ მიზეზს ელექტროენეგია წარმოადგენს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის დედაქალაქის პრესტიჟულ უბნებს, ელექტროენერგიის მიწოდება დღემდე დადგენილი გრაფიკით ხდება.

❖ **დემოგრაფია**



ლტოლვილთა მზარდი ნაკადი ლიბანში საშიშროებას ქმნის სხვა კუთხითაც, კერძოდ, დემოგრაფიული ცვლილებების მხრივ. ოფიციალური მონაცემებით, ლიბანის მოსახლეობის თითქმის 56% მუსლიმია (თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილნი სუნიტები და შიიტები). ქრისტიანები შეადგენენ 38.22%–ს (მათგან დომინანტია მარონიტი კათოლიკეები, რომელთაც დაახლოებით 10%–ით მოსდევს ბერძნული ეკლესიის მიმდევარი მართლმადიდებლები, ასევე არიან ბერძნული კათოლიკური ეკლესიის და სხვა ქრისტიანული მიმდინარეობის წევრები), მესამე ჯგუფს შეადგენენ დრუზები 5.74%–ით, ძალიან მცირე ჯგუფს წარმოადგნენ ებრაელები, ბუდისტები, ინდუსები, მორმონები. რეალური სურათით კი, სირია–ერაყიდან ლტოლვილების შემოდინების შედეგად, მუსლიმთა წილი გაცილებით მეტია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ლიბანის პოლიტიკური სისტემა კვლავ კონფესიური მოწყობის პრინციპზე რჩება, რომლის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს მარონიტი ქრისტიანი, პრემიერ–მინისტრი - სუნიტი, პარლამენტის თავმჯდომარე - შიიტი, პრემიერისა და და პარლამენტის

თავმχდომარის მოადგილე კი, მართლმადიდებელი. მუსლიმი ლტოლვილების შემოდინებამ სამომავლოდ შესაძლოა იმოქმედოს დემოგრაფიულ სურათზე, რაც შემდგომ აისახება სწორედ პოლიტიკურ სისტემაზე, ეს საკითხი განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ქვეყნის ქრისტიანი მოსახლეობაში.

❖ პოლიტიკური ვაკუუმი

ლიბანში ორ წელიწადზე მეტ ხანს, მას შემდეგ, რაც 2014 წლის მაისში ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს, მიშელ სულეიმანს მოქმედების ვადა გაუვიდა, ვერ ხერხდებოდა პრეზიდენტის კანდიდატურაზე კონსესუსის მიღწევა, რამაც შიდა სახელისუფლებო ვაკუუმი შექმნა. პრეზიდენტი აირჩევა არაპირდაპირი გზით, ეროვნული ასამბლეის 2/3-ის თანხმობით პირველ ეტაპზე, ხოლო, მეორე ეტაპზე, აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობით. ორი წლის განმავლობაში პრეზიდენტის ფუნქციას ასრულებდა პრემიერი ტამამ საიდ სალამი. მხოლოდ 46–ე მცდელობაზე, 2016 წლის 31 ოქტომბერს, ქვეყნის პრეზიდენტად ლიბანის არმიის ყოფილი ხელმძღვანელი, მარონიტი ქრისტიანი მიშელ ოუნი იქნა დანიშნული. ოუნის დანიშვნას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქვეყნის გარეთ, რადგან მის კანდიდატურას მხარს უჭერდა ჰეზბოლა, რაც კიდევ უფრო ხაზგასმით მიანიშნებს ქვეყანაში ჰეზბოლას გავლენას.

❖ სირიის კონფლიქტი

მიუხედავად იმისა, რომ ლიბანს სირიის ომთან მიმართებაში ოფიციალურად გამოცხადებული აქვს ნეიტრალური პოზიცია, საბრძოლო მოქმედებებში აქტიურადაა ჩართული ჰეზბოლა. ლიბანის პოლიტიკურ სისტემაზე გავლენის ქონის გარდა, აღსანიშნავია ჰეზბოლას სამხედრო პოტენციალიც, რომელიც ლიბანის არმიასთან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზეა. ამიტომ, ჰეზბოლა, როგორც უსაფრთხოების დამცველი, პოპულარობით სარგებლობს ლიბანის არამხოლოდ შიიტ, არამედ სუნიტ და ქრისტიან თემებშიც.

სირიის კონფლიქტში ჰეზბოლას ჩართულობას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა ლიბანის მოსახლეობაში. ნაწილი თვლის, რომ მეზობელი/მოკავშირე ქვეყნის დაცვა მათი მოვალეობაა, მაშინ როცა საზოგადოების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ არ უნდა მოხდეს უმთავრესი იდეიდან (ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლა) რესურსის და ყურადღების გაფანტვა სხვა საკითხებზე, მათ შორის სირიის კონფლიქტზე. მოსახლეობის უკმაყოფილებამ კიდევ უფრო იმატა მას შემდეგ, რაც მკვეთრად გაიზარდა სირიის ომში გარდაცვლილი ლიბანელების რაოდენობა.

სირიაში მიმდინარე კონფლიქტი ლიბანზე აისახება ასევე უსაფრთხოების კუთხითაც. ბოლო წლების განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით და განსაკუთრებით, აღმოსავლეთით, სირიის მოსაზღვრე რაიონებში გახშირებულია ტერორისტული თავდასხმები. უსაფრთხოების მიზეზით 2015 და 2016 წლებში აშშ–მა ოფიციალურად მოუწოდა მის მოქალაქეებს, თავი შეიკავონ ლიბანში გამგზავრებისგან.

❖ საგარეო პოლიტიკა

ჰეზბოლას კავშირი ირანთან და ასადის რეჟიმის მხარდაჭერა სირიაში გახდა ლიბანსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობის გაფუჭების მიზეზი, რასაც შედეგად სპარსეთის ყურის ქვეყნების მხრიდან მსხვილი ფინანსური დახმარების შეწყვეტა მოჰყვა.

2016 წლის დასაწყისში ოფიციალურმა ბეირუთმა უარი განაცხადა სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების მიერ მომზადებული რეზოლუციების მხარდაჭერაზე, სადაც დაგმობილი იყო ირანისა და ჰეზბოლას მოქმედებები. საუდის არაბეთის მტკიცებით, ჰეზბოლა, ირანთან შეთანხებით, ახდენდა იემენში ამბოხებული ჰუთიების სამხედრო მომზადებას და მხარდაჭერას. იემენში მიმდინარე მოვლენები და ჰუთიები კი, სამეფოსთვის ერთ–ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს უსაფრთხოების კუთხით. შედეგად, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭომ იმავე წლის 2 მარტს ჰეზბოლა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა. ხოლო საუდის არაბეთმა შეაჩერა ლიბანისთვის სამხედრო და ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, შეწყვიტა სხვადასხვა გრანტების გაცემა, დახურა Al-Arabiya–ისა და AlHadath–ის

ტელევიზიების ლიბანური ფილიალები. ხოლო მის მოქალაქეებს, „უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით“, ლიბანის დატოვება ურჩია. მალევე საუდის არაბეთს მხარი დაუჭირეს ბაჰრეინმა, კატარმა, ქუვეითმა და არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმა. ერთ–ერთი ვერსიით, საუდის არაბეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს წინ უძღოდა სამეფოს ოფიციალური დელეგაციის (საგარეო საქმეთა მინისტრისა და დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის) ფარული ვიზიტი ისრაელში, სადაც სავარაუდოდ, სირიის საკითხთან ერთად, განხილულ იქნა ირანის საკითხიც.

საუდის არაბეთმა ურთიერთობის ნორმალიზების წინაპირობად ლიბანს 10 პუნქტიანი ულტიმატუმი წაუყენა. ერ–რიადის გათვლით, მის მიერ მიღებულ ზომებს უნდა გამოეწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და ნეგატიური განწყობა ჰეზბოლას მიმართ, რაც:

- აიძულებდა ლიბანს დათანხმებოდა მათ მოთხოვნებს;
- გამოიწვევდა ყურადღების სირიიდან შიდა პოლიტიკაზე გადმოტანას;
- პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყნის შიგნით დაასუსტებდა ჰეზბოლას;
- დასუსტებული ჰეზბოლა ვერ მოახერხებდა ორ ფრონტზე ბრძოლას. შესაბამისად, აღარ ექნებოდა ასადის დახმარების რესურსის სირიაში;
- ირანს დააკარგვინებდა პოზიციებს ლევანტში და შეასუსტებდა მისი გავლენის საზღვრებს.

საუდის არაბეთთან გაფუჭებულმა ურთიერთობამ ლიბანს სერიოზული ფინანსური დანაკარგი მოუტანა, მაგრამ მიზანი, რომ მომხდარიყო ხელისუფლების დისტანცირება ჰეზბოლასგან და შესუსტებულიყო ირანის გავლენა, ვერ იქნა მიღწეული.

საუდის არაბეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიზნით, პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაინიშნა საად ჰარირი - ყოფილი პრემიერის, რაფიკ ჰარირის ვაჟი, რომელსაც ბიზნეს საქმიანობა აკავშირებს საუდის არაბეთთან და ჰყავს საახლობლო წრე სამეფოში. ასევე, ახლად დანიშნულმა პრეზიდენტმა, მიშელ ოუნიმ მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი სწორედ საუდის არაბეთში განახორციელა, რაც სამეფოსთან დაძაბული ურთიერთობის ნორმალიზებისთვის გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა.

❖ ისრაელი

ჰეზბოლასა და ისრაელის დაპირისიპირების გათვალისწინებით, ორ ქვეყანას შორის ურთიერობის დაძაბვისა და ესკალაციის საშიშროება მუდმივად დგას.

არსებული ვითარებით, ორი ქვეყნის ურთიერთობა ძირითადად დაკავშირებულია ისრაელის ჰეზბოლასთან დაპირისპირებასთან. ჰეზბოლა, რომელიც 1985 წელს[1] ისრაელის მიერ ოკუპირებული ლიბანის სამხრეთის გათავისუფლების მიზნით შეიქმნა, დღეს კარგად სტრუქტურირებული სამხედრო–პოლიტიკური გაერთიანებაა. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წელს ისრაელმა ლიბანიდან ჯარი გაიყვანა და გაერო-ს მიერ ორ ქვეყანას შორის გავლებულ იქნა საზღვარი (ე.წ. „ცისფერი ხაზი“) ჰეზბოლა თვლის, რომ ისრაელს დღემდე ოკუპირებული აქვს ლიბანური მიწა, კერძოდ, მცირე ფართობის ტერიტორია – „შებაას ფერმები“. ებრაული მხარის მტკიცებით, მათ ეს ტერიტორია 1967 წელს სირიასთან ომის შედეგად დაიკავეს, ჰეზბოლას პოზიციის თანახმად კი, ტერიტორია სირიამ გადასცა ლიბანს, და შესაბამისად ,ისრაელს ლიბანის მიწა აქვს დაკავებული.

[1] სხვა მონაცემებით, ჩამოყალიბდა 1982 წელს.

წლების განმავლობაში სასაზღვრო რაიონებში პერიოდული თავდასხმების გარდა, ჰეზბოლასა და ისრაელის დაპირისპირებამ ესკალაციას 2006 წელს მიაღწია. „ივლისის ომის“ შემდეგ ლიბანს სერიოზული ზიანი მიადგა ეკონომიკური და ადამიანური მსხვერპლის მხრივ. ისრაელისთვის განსაკურებულ საფრთხეს წარმოადგენს ჰეზბოლას მიერ სირიის ომში მიღებული სამხედრო გამოცდილებისა და შეიარაღების ლიბანში გადატანის შესაძლებლობა. ოფიციალური თელ–ავივი მუდმივად აკეთებს გამაფრთხილებელ განცხადებებს. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ღია კონფლიქტი მხარეებს შორის არ მომხდარა, მუდმივად არსებობს დაძაბულობის ესკალაციის საშიშროება.

გამოყენებული მასალები:

https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/le.html

http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=48232#.WVOfYoSGOM8

https://www.unrwa.org/where-we-work/lebanon

http://www.aljazeera.com/news/2017/04/saad-al-hariri-lebanon-big-refugee-camp-170401045951087.html

http://www.welfareassociation.org.uk/what-we-do/emergency-humanitarian-relief/aid-syria-crisis-refugees/?gclid=EAIaIQobChMI4OWwzN_g1AIVZirTCh2xDQ39EAAYASAAEgLjLvD_BwE

http://www.bbc.com/news/uk-northern-ireland-34386102

https://tradingeconomics.com/lebanon/unemployment-rate

https://www.theatlantic.com/photo/2015/08/lebanons-youstink-anti-government-protests/402163/

https://www.pri.org/stories/2015-08-24/lebanons-got-99-problems-and-trash-just-one

http://www.aljazeera.com/news/middleeast/2014/04/lebanon-refugee-influx-alarms-christians-201441913659149837.html

https://us.boell.org/2016/10/31/lebanon-light-syria-conflict-resilience-despite-polarization-and-tensions

https://travel.state.gov/content/passports/en/alertswarnings/lebanon-travel-warning.html

https://www.wsj.com/articles/hezbollah-bombs-israeli-military-in-disputed-shebaa-farms-area-1451926660

სიმონ გურეშიძე

ახლო აღმოსავლეთი, ნარკოტრეფიკი და მთავარი აქტორები

უკანასკნელ ხანებში ეგვიპტესა დადიდ ბრიტანეთში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილმა ტერაქტებმა კვლავ შეახსენა სამყაროს ტერორიზმის, როგორც გლობალური გამოწვევის უკიდურესი სიმძიმე. 2016 წლის დეკემბერში კაიროს ეკლესიაში თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი - ამ ტერაქტს 25 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.2017 წლის აპრილის დასაწყისში ორ კოპტურ ეკლესიაში განხორციელებულ აფეთქებას 28 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. 27 მაისს კი კოპტი მომლოცველების ავტობუსზე ათამდე შეიარაღებულმა პირმა მიიტანა იერიში, რომლის შედეგადაც 32 ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც, დაიღუპნენ. მომხდარი ოთხი შემთხვევიდან სამზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო. მოგვიანებით 22 მაისს, ინგლისის ქალაქ მანჩესტერში ლიბიური წარმომავლობის თვითმკვლელმა ტერორისტმა, 22 წლის სალმან აბიდიმ ამერიკელი მომღერალ არიანა გრანდეს კონცერტზე ააფეთქა კუსტარულად დამზადებული ბომბი, რომელმაც 22 ადამიანი იმსხვერპლა. 6 ივნისს ტერაქტების სერია ლონდონის ხიდზე განხორციელებული შეტევით გაგრძელდა რომელიც პაკისტანში დაბადებულმა, ინგლისის მოქალაქემ ხურამ ბუთიმ ჩაიდინა. ცოტა ხნით ადრე ინტერნეტით გავრცელებულ ერთ-ერთ ვიდეოში იგი დაუფარავად ლოცულობდა „ისლამური სახელმწიფოს“დროშის ფონზე ლონდონის პარკში. ეგვიპტესა და მანჩესტერში განხორციელებულ აქტებთან დაკავშირებით აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპი მწვავე განცხადებით გამოეხმაურა.[1]

„ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ არაერთი წიგნი, კვლევა, ნაშრომი, სტატია და ანგარიშია გამოქვეყნებული. წინამდებარე მიმოხილვაში ყურადღება ეთმობა ბოლო პერიოდში სინას ნახევარკუნძულზე გააქტიურებულ „ის“-ს ერთ-ერთ განშტოებას. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულნახევარკუნძულზე ბუფერული ზონის უსაფრთხოებას 1981 წლიდან ინტერნაციონალური ძალები და დამკვირვებლები უზრუნველჰყოფენ,[2] ამ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც იქცა ჯიჰადისტური და რადიკალური დაჯგუფებების თავშესაფრად. ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნული „ისლამური სახელმწიფო“ სწორედ ჩრდილოეთ სინაზე 1999 წელს ჩამოყალიბებული დაჯგუფება “ჯამაათ ალ-თავჰიდ ვა ალ-ჯიჰადის“ ბაზაზე წარმოიშვა.[3] ეს მოძრაობა იყენებდა ადგილობრივი ბედუინებისა და პალესტინელი ახალგაზრდების სოციალური პრობლემებით გამოწვეულ უკმაყოფილებას, რაც შემდგომში მათი თავიანთ რიგებში რეკრუტირებისთვის. უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე და შემოსავლის სხვა წყაროების უქონლობა სინაის ბედუინებს აიძულებდა კონტრაბანდისტულ საქმიანობაში ჩართვას, რასაც 2007 წელს ისრაელის მიერ ღაზას სექტორის ბლოკადამაც შეუწყო ხელი. 2008 წელს ღაზას სექტორში უმუშევართა რიცხვი 50-დან 20%-მდე შემცირდა, პალესტინის ქალაქ რაფაჰთან (ეგვიპტე-პალესტინის საზღვარი) გვირაბების ინტენსიური მშენებლობების ფონზე. სწორედ ეს ტერიტორია იქცა მოგვიანებით კონტრაბანდის ერთ-ერთ მთავარ არტერიად, რომლის მეშვეობითაც ეგვიპტიდან ღაზას სექტორში გაედინებოდა პროდუქტები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, იარაღი და ნარკოტიკები. 2012 წლის აგვისტოს დასაწყისში რაფაჰის საგუშაგოზე კონტრაბანდისტების მიერ მოწყობილ თავდასხმას სხვადასხვა მონაცემებით 16-დან 20-მდე პოლიციელი ემსხვერპლა.[4]

---

[1] http://www.independent.co.uk/news/world/americas/us-politics/trump-manchester-attack-egypt-coptic-christians-terrorists-crush-earth-a7759521.html

[2] http://www.jpost.com/Middle-East/Australia-to-take-over-UN-peacekeepers-in-Sinai-between-Israel-Egypt-474492

[3] http://iliauni.edu.ge/uploads/other/13/13226.pdf

[4] http://english.ahram.org.eg/NewsContent/1/64/49757/Egypt/Politics-/Egypt-Military-Elements-from-Gaza-involved-in-Rafa.aspx

აღნიშნულ ფაქტის შემდეგ ეგვიპტის ისლამისტი პრეზიდენტის, ორგანიზაცია „ძმები მუსლიმების“ ერთ-ერთი ლიდერის მუჰამმად მურსის ბრძანებით მასშტაბური სამხედრო ოპერაცია ჩატარდა სინას ნახევარკუნძულზე, რასაც ისრაელის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯიჰადისტების წინააღმდეგ მსუბუქად შეიარაღებული პოლიციის შენაერთები არასაკმარისი ძალა აღმოჩნდა, რის შემდეგაც აქციაში სამხედრო მძიმე ტექნიკა ჩაერთო. ეგვიპტე-ისრაელს შორის დადებული სეპარატული ზავის პირობების თანახმად კი ეგვიპტეს ეკრძალება სინას ნახევარკუნძულზე დამატებითი სამხედრო ტექნიკის შეყვანა და აღნიშნული აქტი გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხის შემცველად ჩათვალა ისრაელის მხარემ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბედუებს შორის იყვნენ ისეთების, რომელთაც უარი თქვეს ჯიჰადისტებთან თანამშრომლობაზე, ნაწილი კი პირადი სარგებლისმიღების ან უშიშროების ძალების მიერ ნაწამები და მოკლული ახლობლების გამო შურისძიების მოტივით უერთდებოდა მათ.[5]

სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტების გამო მიგვაჩნია, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ნარკოტიკების კონტრაბანდის დეტალებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებს არ გააჩნიათ რაიმე სახის სტაბილური დამსხვილი შემოსავლის წყაროები, მათთვის ნარკობიზნესი წარმოადგენს თავისებურ „ოქროს საბადოს“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი პრაქტიკა უკვე დიდი ხანია არსებობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგ. პერუს ტერორისტული ორგანიზაცია „მანათობელი გზა“, მემარცხენე ორიენტაციის, მარქსისტული იდეოლოგიის მიმდევარი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც თავის დროზე რეპრესიული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიქმნა. დროთა განმავლობაში კი მთელს ლათინურ ამერიკაში იქცა ერთ-ერთ უმსხვილეს კოკაინის მწარმოებელ და ექსპორტიორ ორგანიზაციად, რომელიც სერიოზულ კონკურენციას უწევს მსგავსი საქმიანობით ცნობილ კოლუმბიურ ნარკოკარტელებს.[6] ასევე აღსანიშნავია ლიბანის „ჰიზბალლაჰიც“: 2008 წელს გამოქვეყნებული ისრაელის სამთავრობო კომისიის ანგარიშის თანახმად, ეს ორგანიზაცია ბულგარეთში არსებული ნარკოკარტელებიდან იღებდა შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს.[7]

თავის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეგვიპტე, რადგან ეს ქვეყანა არის ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სტრატეგიულიპარტნიორი რეგიონში და ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართული სამხედროები მნიშვნელოვან ყოველწლიურ ფინანსურ დახმარებას იღებენ შტატებისგან ისრაელთან დადებული სეპარატული ზავისა და ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების სანაცვლოდ. ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, როგორც ვხედავთ, თანამედროვე პერიოდის ყველაზე საშიში ტერორისტული მოძრაობა „ისლამური სახელმწიფო“ სულ უფრო ხშირად აწყობს საერთაშორისო დონის ტერაქტებს ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში, ხოლო სინაიზე მოქმედი მისი ერთ-ერთი განშტოებაც აქტიური მოქმედებების რეჟიმზეა გადასული. ზემოთ აღწერილ პროცესებს საკმოდ ვრცელი სტატია მიუძღვნაჟურნალმა Foreign Policy-მ სათაურით: „ეძებ ჰაშიშს კაიროში? დაელაპარაკე პოლიციას“. სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კაიროში ჰაშიშის ახალი და ძლიერი სახეობა 1986 წლის მარტში გამოჩნდა, მას შემდეგ რაც ეგვიპტელმა ნარკობარონებმა თავიანთი გავლენით აიძულეს თანამდებობა დაეტოვებინა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრს აჰმად რუშდის. რუშდიმ თავისი მინისტრობის პერიოდში ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო ნარკორეალიზატორებს, არამედ ვაჭრობაში მონაწილე სამინისტროს თანამშრომლებს და ქვეყნის უსაფრთხოების ცენტრალური ძალების ხელმძღვანელებსაც, რაც თავის მხრივ მას კარიერის დასრულების ფასად დაჯდა. 1986 წლის თებერვალში, უსაფრთხოებისძალების მაღალჩინოსანმა ოფიცრებმა მოახდინეს ახალწვეულების პროვოცირება ცრუ ინფორმაციით,

[5] https://www.brookings.edu/research/de-securitizing-counterterrorism-in-the-sinai-peninsula/

[6] https://wikileaks.org/plusd/cables/09LIMA329_a.html

https://www.loc.gov/rr/frd/pdf-files/NarcsFundedTerrs_Extrems.pdf

https://www.wilsoncenter.org/sites/default/files/Otis_FARCDrugTrade2014.pdf

https://archives.fbi.gov/archives/news/testimony/international-drug-trafficking-and-terrorism

https://wikileaks.org/gifiles/docs/11/1166539_re-fw-s3-peru-military-blames-shining-path-for-ambush.html

[7] http://iliauni.edu.ge/uploads/other/13/13226.pdf

თითქოსდა მინისტრი რუშდი აპირებდა მათი ხელფასების შემცირებას და საკუთარის გაზრდას. შედეგად მათ იერიში მიიტანეს პოლიციის განყოფილებებზე გიზასა და ასიუტში მდინარე ნილოსის სანაპიროზე, რამაც თავის მხრივ სერიოზული არეულობები გამოიწვია ქუჩებში. მიმდინარე პროცესების პარალელურად, კაიროსა და ასიუტის ქუჩებში გამეფებული ქაოსის ჩასახშობად პრეზიდენტმა მუბარაქმა სამხედრო ძალების ჩართვის ბრძანება გასცა. ქუჩის ბატალიებზე კონტროლი სატანკო ქვედანაყოფებმა აიღეს და იმავე სტატიის მონაცემების თანახმად, ქუჩის შეტაკებებში 4000-დან 6000-მდე უსაფრთხოების ცენტრალური ძალების წარმომადგენელი დაიღუპა. ყოველივე ამის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს რუშდი და ის ჩაანაცვლა ბადრმა რომელიც ცნობილი იყო პრეზიდენტ მუბარაქთან მეგობრობითა და ანტიისლამისტური შეხედულებებით. იგი დაუნდობლად იცილებდა აღნიშნული სამსახურის აჯანყებულ წევრების უმრავლესობას და განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევდა მათ შორის ყველაზე კორუმპირებულებს, რათა შემდგომში ერთობლივად ეკონტროლებინათ ნარკოტიკებით ვაჭრობა.

ჯერ კიდევ 2013 წელს, „ისლამური სახელმწიფოს“ საერთაშორისო დონეზე აქტიურად გამოჩენამდე გამოქვეყნებულ აღნიშნულ სტატიაში გაშუქებულია ის დეტალები, რომელთა თანახმადაც იმ პერიოდისთვის ეგვიპტის სათავეში მოსული დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი (დღევანდელი პრეზიდენტი) გენერალი აბდ ალ-ფატაჰ ალ-სისი ხშირად ახსენებდა სინაზე ბედუინების ტომებითა და კრიმუნალური ოჯახებით, ტეორისტებითა და რადიკალებით, ასევე ალ-კაიდათი გამოწვეულ პრობლემებს, მაგრამ სხვა რაიმე დამატებითი სახის ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი იყო, რადგან არავის შეეძლო იქ შეღწევა. გამოცემის თანახმად, რომელიც აშშ-ს არმიის მაღალჩინოსნებისა და პენტაგონის დაზვერვის ოფიცრების განცხადებებს ეყრდნობა, რომელთა ვინაობაც დაკონკრეტებული არ არის, სინაზე არსებული პრობლემები არა მხოლოდ ბედუინთა ტომების, არამედ უსაფრთხოების ცენტრალური ძალების სამსახურის მიერაცაა გამოწვეული, რომლებიც რუშდის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ 30 წლის განმავლობაში მფარველობდნენ ნარკოტიკების რეალიზატორებს.

კალიფორნიის მონტერეის საზღვაო აკადემიის ექსპერტი ეგგვიპტის საკითხებში რობერტ სპრინბორგი Foreign Policy-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ მფარველობენ თუ არა ეგვიპტის უსაფრთხოების ძალები ნარკოტიკების კონტრაბანდას, ეს რიტორიკული შეკითხვაა - რადგან დიდი ხანია ცნობილია გარკვეული წრეებისთვის რომ ეს იქაური ტრადიციაა. იგივე მონაცემები გამოიკვეთა ევროკავშირის ოფიციალური პირების განცხადებებიდან, რომლებიც ამერიკული კერძო სადაზვერვო კომპანიის ანგარიშებს ეყრდნობოდა. მოხსენებაში დამატებით აღნიშნული იყოს ის გარემოებაც, რომ პასუხისმგებლობა ისრაელის მხარესაც უნდა გადანეაწილებინა, რადგან ეგვიპტის უსაფრთხოების ძალების აღნიშნული განყოფილების მფარველობით სინაზე აყვავებულ ნარკოტრაფიკში რამდენიმე ებრაული მაფიოზური ოჯახიც იყო ჩართული.

გამოცემაში აღნიშნული ფაქტების გადამოწმება არაბულენოვან ელექტრონულ პრესაში მიმდინარე წლის მარტში გამოქვეყნებული მასალების თანახმად გვიჩვენებს, რომ ისრაელის მხარემ დამატებითი სახსრები - მილიონი შეკელი (275 ათასი დოლარი) გამოყო სინადან ნარკოტიკების ტრანზიტის შეჩერებისთვის საბრძოლველად. პროგრამა ითვალისწინებდა სასაზღვრო ძალების დამხმარე საიდუმლო ქვეგანყოფილების შექმნას სათანადო თანამედროვე აღჭურვილობით, რომლის პირდაპირი ამოცანაც იქნებოდა სინას ნახევარკუნძულზე არსებული ნარკოტრეფიკიდან მიღებული შემოსავლის წყაროების გადაკეტვა „ისლამური სახელმწიფოსთვის“, - განუცხადა „ამირ ბუჰბუთს“, სამხედრო ანალიტიკურ საიტს ერთ-ერთმა სამხედრო ოფიცერმა, რომლის ვინაობაც წყაროში დაკონკრეტებული არ იყო. სტატიას ასევე თან ერთვის ვიდეომასალა, რომელზეც ნათლად ჩანს, თუ როგორ ცდილობენ კონტრაბანდისტები საზღვარზე აშენებული გამყოფი კედლის მიღმა ნარკოტიკული საშუალებების გადატანას. ასევე ფლობდნენ ღამის ხედვის მოწყობილობებს, ანხორციელებდნენ ეგვიპტური შეიარაღებული ძალების გადაადგილების მონიტორინგს და კარგად იცნობდნენ მთლიანად რეგიონსა და მის სპეციფიკას, ასევე ორივე მხარის კონტრაბანდისტები საკმაოდ კარგად იყვნენ შეიარაღებულები. „ბუჰბუთის“ ცნობების თანახმად, ნარკოტრაფიკორებმა გასულ წელს ისრაელის არმიის

კუთვნილი ჯიპი მოიპარეს და თავიანთ საქმეებზე ისრაელის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების ფორმით გადაადგილდებოდნენ. საბოლოოდ ებრაული მხარე იძულებული გახდა საზღვარზე აეშენებინა სამი მეტრის სიმაღლის დამცავი კედელი, რომელიც დამატებით მოძრაობის დამაფიქსირებლებითაღჭურვეს.[8]

ბოლოს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმავე Foreign Policy-ს თანახმად, ისრაელის მხარე, საბოლოო ჯამში, კმაყოფილი იყო ეგვიპტის ექსპრეზიდენტ მუჰამმად მურსის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებული საკანდრო წმენდით და სინაზე განხორციელებული ოპერაციით. სტატიის ავტორს მარკ პერის, აშშ-ს ოფიციალური პირები და სახედრო ოფიცრები, რომლებიც იმ პერიოდში სინაიზე მიმდინარე პროცესების მონიტორონგს ანხორციელებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ განცხადებები იმის შესახებ თითქოს მურსი ჰამასთან ერთად ცდილობდა რეგიონის დესტაბილიზაციას, აზრსმოკლებული იყო და მათი განმარტებით სწორედ ნარკორეალიზატორებთან ბრძოლის და ისრაელის მხარის კმაყოფილება იყო ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, თუ რატომ გამონახეს საერთო სამხედრო დაზვერვის მაღალი რანგის ოფიცრებმა ერთმანეთში იმის თაობაზე რომ იგი ჩაენაცვლებინად ჰატაჰ ალ-სისით.

ზემოთ აღნიშნული და ფაქტების შესწავლის და მასალების დამუშავების, განაალიზებისა და შედარების შემდეგ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ თუ კირეგიონის ორი წამყვანი სახელმწიფო, ეგვიპტე და ისრაელი, კოორდინირებულად არ იმოქმედებენ ნარკოტიკების კონტრაბანდისტთა წინააღმდეგ და არ მოხდება ტერორისტული ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით კი „ისლამური სახელმწიფოსთვის“ მნიშვნელოვანი ფინანსური არხის ბლოკირება, „ის“ მხოლოდ სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით დამარცხდება რაქასა და მოსულში, ხოლო მისი საბოლოო განეიტრალება ან დამარცხება კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ან საფრთხის შემცველ გრძელვადიან პერსპექტივად დარჩება.

დამუშავებული წყაროები:

http://foreignpolicy.com/2013/08/23/looking-for-hashish-in-cairo-talk-to-the-police/

http://www.washingtoninstitute.org/search/results/?q=Egypt+Drugs&search=Go

http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/egypts-western-security-concerns

http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/drug-trafficking-and-middle-eastern-terrorist-groups-a-growing-nexus

http://www.foxnews.com/world/2017/05/27/coptic-christian-attack-isis-claims-its-soldiers-opened-fire-on-bus-killing-29-in-egypt.html

http://www.telegraph.co.uk/news/2017/06/05/london-bridge-attack-latest-gunshots-heard-police-launch-fresh/

[8] http://www.masralarabia.com/%D8%B5%D8%AD%D8%A7%D9%81%D8%A9-%D8%A3%D8%AC%D9%86%D8%A8%D9%8A%D8%A9/1394469-%D8%A5%D8%B3%D8%B1%D8%A7%D8%A6%D9%8A%D9%84-%D8%AA%D8%AE%D8%B5%D8%B5-%D9%85%D9%8A%D8%B2%D8%A7%D9%86%D9%8A%D8%A9-%D8%AC%D8%AF%D9%8A%D8%AF%D8%A9-%D9%84%D9%85%D9%86%D8%B9-%D8%AA%D9%87%D8%B1%D9%8A%D8%A8-%D8%A7%D9%84%D9%85%D8%AE%D8%AF%D8%B1%D8%A7%D8%AA-%D9%85%D9%86-%D8%B3%D9%8A%D9%86%D8%A7%D8%A1
http://www.al-masdar.net/%D9%87%D9%83%D8%B0%D8%A7-%D9%8A%D8%AA%D9%85-%D8%AA%D9%87%D8%B1%D9%8A%D8%A8-%D8%A7%D9%84%D9%85%D8%AE%D8%AF%D8%B1%D8%A7%D8%AA-%D9%85%D9%86-%D8%B3%D9%8A%D9%86%D8%A7%D8%A1/

http://www.bbc.com/news/uk-england-manchester-40008389

http://edition.cnn.com/2017/04/10/middleeast/egypt-church-explosion/index.html

http://www.bbc.com/news/world-middle-east-39555897

https://www.nytimes.com/2017/04/09/world/middleeast/explosion-egypt-coptic-christian-church.html?mcubz=2

http://edition.cnn.com/2016/12/11/middleeast/egypt-coptic-church/index.html

მარიამ გურეშიძე

ლიბიის ბირთვული პროგრამა და მუამარ კადაფის რეჟიმი

ლიბიის რესპუბლიკას (არაბ. دولةليبيا) მსოფლიოში მე-10 უდიდესი ნავთობის დადასტურებული მარაგები აქვს, და ნავთობპროდუქტების წარმოებით მე-17 ადგილზეა. დამოუკიდებლობა 1951 წელს მოიპოვა მეფე იდრის I-ის დროს. 1969 წელს სამეფო დინასტია დაემხო სამხედრო გადატრიალების შედეგად, რომელსაც მუამარ კადაფი[1] ხელმძღვანელობდა. რევოლუციური არმიის ოფიცრებმა გააუქმეს მონარქია და შეიქმნა არაბული რესპუბლიკა. 1977 წლიდან 2011 წლამდე ქვეყანაში განსაკუთრებული პოლიტიკური რეჟიმი არსებობდა - მუამარ კადაფის მიერ შექმნილი „ჯამაჰირია“[2] (არაბ.جماهيرية). 1969 წლიდან მოყოლებული ლიბია აქტიურად ცდილობდა მიეღო ატომური იარაღი, მინიმუმ შეექმნა ატომური ინდუსტრია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1951 წელს, ლიბიას მეზობელ ქვეყნებთან არ ჰქონია ტერიტორიული დავა, არც მკვეთრი აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც გახდებოდა ატომური იარაღის შექმნის მოტივი ქვეყნის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. მუამარ კადაფი არაერთხელ გამოვიდა ისრაელის სახელმწიფოსა და ახლო აღმოსავლეთში მისი ატომური პროგრამის წინააღმდეგ. 1981 წელს მოსკოვში ვიზიტისას ლიბიის პრემიერ მინისტრმა აბდ ელ სალამ ჯელუდმა თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს ა. კოსიგინს „ხელი შეეწყო ხმელთაშუა ზღვაში არსებულ გემებზე რადარის ამოქმედებაში“.

ატომური იარაღის შექმნა საკმაოდ რთული და ძვირადღირებული პროექტია, რომელიც დიდ დროს და ფინანსებს მოითხოვს. ამიტომ თავდაპირველად კადაფის რეჟიმმა ძალისხმევა ქიმიური იარაღის შექმნისკენ მიმართა. 1980-იანი წლების შუა ხანებში სამი ქარხანა ააშენეს: პირველი - რაბტას ქარხანა, მეორე - სებჰას, მესამე - ქარხანა რაბტა II ტარჰუნას რაიონში. 80-იანი წლების ბოლოს ცნობილი გახდა, რომ დასავლეთგერმანული კომპანია Imhausen–chemie წარმოადგენდა გენერალურ კონტრაქტორს რაბტას ქარხნის მომარაგებაში. ამ პერიოდში ლიბიამ აწარმოა 100 ტონაზე მეტი მომწამვლელი გაზი, რომელიც იწვევდა დამბლას და კანის დამაზიანებელ ზემოქმედებას. 1992 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევის შედეგად რეჟიმი იძულებული გახდა მოწყობილობების დემონტაჟი მოეხდინა და მათი ნაწილი მედიკამენტების წარმოებისთვის გადააკვალიფიცირა. ძირითადად ეს შეეხო რაბტაში არსებულ ქიმიურ ქარხანას, სადაც ხდებოდა იპრიტის წარმოება. ლიბიას ასევე ჰქონდა ბიოლოგიური იარაღის შექმნის მცდელობები. ინტენსიური კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა პათოგენებისა და ტოქსინების სფეროში რათა შემდგომ გამოეყენებინათ სამხედრო მიზნით. აღსანიშნავია, რომ ამით იგი არღვევდა ბიოლოგიური იარაღის წარმოებაზე უარის თქმის ვალდებულების კონვენციას.

კადაფის რეჟიმმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ატომური იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით. ასევე შეიქმნა ბირთვული კვლევების ცენტრი ტრიპოლიში - თაჯურაში. 1981 წელს გაუშვეს კვლევითი რეაქტორი 10 მეგავატის სიმძლავრის (მსუბუქ წყალზე, აუზის ტიპის, IRt-1 , 20 კგ ურანი, გამდიდრებული 80%-ით). ურანისა და პლუტონიუმის ბომბების შექმნაზე მუშაობა ლიბიაში 1980 წელს დაიწყო. 1970 წელს იყიდეს 1200 ტონა ურანის კონცენტრანტი, ხოლო 2004 წელს მისმა რაოდენობამ 2263 ტონას მიაღწია. საბჭოთა სპეციალისტების გარდა, თაჯურაში მუშაობდნენ გერმანელი ექსპერტებიც. ახდენდნენ ურანის გამდიდრებას. 1984 წელს ქვეყანამ შეიძინა ქარხანა ურანის მადნის გადასამუშავებლად (სავარაუდოდ ბელგიაში) ხოლო 1985 წელს (დაუზუსტებელი ინფორმაციით ჩინეთში ან

---

[1] პოლკოვნიკი მუამარ კადაფი- (1942 წ. 7 ივნისი - 2011 წ. 20 ოქტომბერი) ლიბიის ლიდერი 1969-2011 წლებში.

[2] ჯამაჰირია-მესამე მსოფლიო თეორია, მარქსის კომუნიზმის და ადამ სმიტის კაპიტალიზმის საპირისპიროდ მუამარ კადაფმა წარმოადგინა თავისი შეხედულებების სისტემა, რომელიც ნაწილობრივ განხორციელდა ლიბიაში.

საბჭოთა კავშირში) ურანის ჰექსაფტორიდი. ამ პერიოდში იყო მცდელობები აეშენებინათ უფრო მძლავრი რეაქტორი, მაგრამ 1988 წელს ეკონომიკური სანქციების გამო ეს გეგმა ჩავარდა. ბირთვული იარაღის შექმნის დაჩქარება 1995 წელს გადაწყდა, 1997 წელს პაკისტანში შეიძინეს პირველი 200 ცენტრიფუგა ურანის გასამდიდრებლად. თაჯურაში არსებულ ქარხანაში, რომელიც დასავლეთ ტრიპოლიდან 12 კილომეტრში მდებარეობს, დაიწყო საკუთარი წარმოების ცენტრიფუგების შექმნა და მათი დამონტაჟება დაიწყო ალ-ჰასანში 2000 წელს. ორი ტონა ურანის ჰექსაფტორიდი (რომელიც საკმარისია ერთი ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობისთვის) პაკისტანისა და ჩრდილოეთ კორეის მეშვეობით მიიღეს 2001 წელს. ამავე პერიოდში მოიპოვეს პაკისტანიდან ჩინური ბირთვული ბომბის ტექნოლოგიის სქემაც. 2003 წლის ოქტომბერში ხმელთაშუა ზღვაში დააკავეს გემი, რომელსაც მალაიზიიდან ლიბიაში ცენტრიფუგების ნაწილები გადაჰქონდა. 2003 წლის 19 დეკემბერს ლიბიამ აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან ფარული მოლაპარაკებების შედეგად უარი განაცხადა მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების პროგრამაზე. „მაგატეს“ მიერ ჩატარებული ფართო მასშტაბიანი შემოწმების შემდეგ დადასტურდა, რომ ქვეყანაში არ ხორციელდებოდა სავარაუდო იარაღის წარმოება. ლიბიის მიერ უკვე ნაყიდი დანადგარები და მასალა ქვეყნიდან გაიტანეს.

2005 წლის 11 მაისს ლიბიამ აფრიკის კავშირს (რომელიც შეთანხმების დეპოზიტორი იყო) გადასცა რატიფიკაციის ინსტრუმენტები აფრიკაში ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონის შექმნისათვის.

2006 წლის 11 აგვისტოს ლიბიისათვის ძალაში შევიდა დამატებითი შეთანხმების ოქმი რომლის თანახმადაც წარმოდგენილი იყო, რომ გონივრულ ვადაში მას არ შეეძლო შეექმნა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა მასშტაბური უცხოური დახმარების გარეშე. ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან ერთად საინტერესო იქნება გავიხსენოთ ამ პერიოდში სირიაში განვითარებული მოვლენები. 2000 წელს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის (Center for Strategic and International Studies) შეფასებით, სირიის ქიმიური იარაღის მარაგი 500-დან 1000 ტონამდე მერყეობდა. სირიას არაერთხელ ჰქონია მცდელობა „კვლევების“ მიზნით შეეძინა ბირთვული რეაქტორები ჩინეთში, რუსეთში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობები ხორციელდებოდა „მაგატეს“ კონტროლის ქვეშ, საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგად სირიის ხელისუფლებამ შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება რეაქტორის შეძენასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 6 სექტემბერს ისრაელის საჰაერო ძალებმა სირიაში დაბომბა ობიექტი, რომელიც, სავარაუდოდ, მშენებარე ატომური რეაქტორი იყო. აშშ-ის დაზვერვის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაბომბილი ობიექტი ბირთვულ რეაქტორს წარმოადგენდა. დასავლეთის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ისრაელის თავდასხმა წარმოადგენდა რეაქციას ჩრდილოეთ კორეის მიერ სირიისათვის გადაცემული რეაქტორების გამო, რამდენადაც არსებობდა ეჭვი, რომ რეაქტორი ბირთვული იარაღის შექმნისთვის იქნა შესყიდული. აღსანიშნავია, რომ ბირთვული იარაღი და ბირთვული ენერგეტიკა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი გახდა სამხედრო და ტექნოლოგიების სფეროში. ფაქტია, რომ ბირთვული იარაღის დახვეწა ან შექმნა თანამედროვე მსოფლიოს რიგი ქვეყნების მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება. დღესდღეობით, მსოფლიოს რვა ქვეყნის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის, პაკისტანისა და ისრაელის არსენალში დაახლოებით 20,5 ათასი ერთეული ბირთვული იარაღია. ამის შესახებ იუწყება სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემების კვლევის საერთაშორისო ცენტრი.[3] ბირთვული იარაღის მარაგის შესახებ გამოქვეყნებული ეს მონაცემები მეტყველებს, რომ მსოფლიოში ამ ტიპის შეიარაღების რიცხვი მცირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ის გრძელვადიანი მოდერნიზაციის პროგრამებით კომპენსირდება.

როგორც ცნობილია, 2010 წლის აპრილში, აშშ-სა და რუსეთს შორის სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებას 2010

[3] https://www.sipri.org/research/armament-and-disarmament/arms-transfers-and-military-spending/military-expenditure. https://sipri.org/

წლის 8 აპრილს ხელი მოაწერეს აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ქალაქ პრაღაში, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 5 თებერვალს. თუმცა ექსპერტებისთვის მხოლოდ ეს საკითხი არ იყო აქტუალური, ასევე საინტერესო იყო იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, სამხედრო ხარჯები და მსოფლიოს იარაღის მწარმოებლების სამომავლო გეგმები.

1970-1980 წწ-ების განმავლობაში ლიბიამ გრძელი გზა გაიარა, რომ საგარეო კონტაქტები დაემყარებინა ბირთვული ტექნოლოგიების მიღებისათვის. მუამარ კადაფის რეჟიმის მიერ ამ სფეროში უამრავ ხელშეკრულებას და შეთანხმებას მოეწერა ხელი, თუმცა მხოლოდ მათი ნაწილი განხორციელდა. თუ კი არ გავითვალისწინებთ ბირთვული იარაღის შექმნის სურვილს, რასაც ვერ მიაღწია. ამის სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი ფაქტი: მუამარ კადაფის აბსოლუტური ძალაუფლების პირობებში ძირითად მართვის ორგანოებს შორის უფლებამოსილების მკაფიო დაყოფის არარსებობა, რამაც გაართულა უცხო ქვეყნებთან ურთიერთქმედების პროცესი. ამასთან ლიბიაში არ იყო შექმნილი ერთიანი მმართველობითი ცენტრი ბირთვული იარაღის შექმნისთვის სამუშაოების ჩასატარებლად. ლიბიის რეჟიმის მარცხი ატომურ პროგრამასთან დაკავშირებით, არა მის ფინანსურ და მეცნიერულ კომპონენტებშია, არამედ ლიბიის ხელისუფლების არაეფექტურ ქმედებაშია.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ ლიბიაში ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები არ იყო გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით, რადგან ქვეყანაში ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალი იყო. საპროტესტო გამოსვლები ლიბიაში დაიწყო 2011 წლის 15 თებერვალს ბენღაზიში მომხდარი ინცინდენტის შემდეგ. მიზეზი გახდა იურისტისა და უფლებათადამცველის ფათხი ტერბილის დაკავება, რომელიც მოგვიანებით გაათავისუფლეს. დემონსტრანტები საკუთარი ქმედებების კოორდინირებას სოციალური ქსელების მეშვეობით ახდენდნენ. ისინი შეიკრიბნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობასთან იურისტის გათავისუფლების მოთხოვნით. შემდეგ ხალხი ქალაქის ცენტრისკენ გაემართა, დემონსტრაციის მსვლელობის დროს, რომელშიც დაახლოებით 600 ადამიანი იღებდა მონაწილეობას ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნა გაჟღერდა. აღნიშნული მოვლენები კონფლიქტში გადაიზარდა და შეტაკების შედეგად 38 ადამიანი დაშავდა. ანალოგიური სურათი აღინიშნებოდა სირიაშიც, 2011 წლის 15 მარტს დამასკოში რეფორმებთან დაკავშირებული დემონსტრაცია ჩატარდა. მღელვარების მიზეზი გახდა პოლიციის მიერ დერაასში არასრულწლოვანთა დაკავება, რომლებიც შენობებზე ანტისამთავრობო ლოზუნგებს წერდნენ. 18 მარტს დერაასში ანტისამთავრობო გამოსვლები დაიწყო, რასაც მსხვერპლი მოყვა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებს წინ უძღოდა 2008 წლის 19 ნოემბერს „მაგატეს“ მიერ გამოქვეყნებული დასკვნა, რომლის თანახმადაც, ალ-ქიბარში ნაპოვნი იყო „ბუნებრივი ურანის ნაწილაკების მნიშვნელოვანი რაოდენობა“ რომელიც ქიმიური გადამუშავების შედეგად მიიღება.

ლიბიაში არსებული კონფლიქტის მსვლელობისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები კადაფის საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ, მას წასვლისკენ და ხელისუფლების ლიბიის გარდამავალი ნაციონალური საბჭოსთვის გადაცემა მოუწოდეს. მსოფლიო თანამეგობრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ლიბიის შიდა საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ და სამშვიდობო მოლაპარაკებების სწრაფად დაწყების მოთხოვნით გამოვიდა. თუმცა ნატოს ბლოკის ქვეყნებმა და ახლო აღმოსავლეთის რამოდენიმე ქვეყანამ ლიბიის კონფლიქტში ჩარევა გადაწყვიტეს და საჰაერო სივრცის დახურვისკენ მოუწოდეს. გაერო-მ მიიღო რეზოლუცია (გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1973), რომლის თანახმადაც, დაამტკიცეს „არასაფრენი ზონა“, რამაც ხელი გაუხსნა კოალიციის ქვეყნებს იერიში მიეტანათ ჰაერიდან კადაფის ჯარზე და ჩაეტარებინათ შეზღუდული სახმელეთო ოპერაციები.

2016 წლის 11 მარტს გავრცელდა აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადება. განცხადება ჟურნალ The Atlantic-ში გავრცელდა. ინტერვიუში პრეზიდენტმა ობამამ საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი გამოყო. „ჩვენ კარგად განვახორციელეთ ჩანაფიქრი. მივიღეთ გაეროს მანდატი, შევკრიბეთ კოალიცია, ჩვენი ხარჯები 1 მილიარდ დოლარს შეადგენდა - რაც

სამხედრო ოპერაციისთვის ძალიან ცოტაა. ჩვენ გვსურდა თავიდან აგვეცილებინა მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლი, მაგრამ მიუხედავად ამისა ლიბიაში კვლავ არეულობაა“ განაცხადა ობამამ.

2017 წლის 21 ივნისს გავრცელდა საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ლიბიაში მიმდინარე პროცესებში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ჩართვას შეცდომა უწოდა. ინტერვიუ გაზეთ Corriere della Sera-ში და The North Africa Post-ში[4] გამოქვეყნდა. „საფრანგეთი არ მონაწილეობდა ერაყის ომში და ამაში მართალი იყო. მაგრამ იგი შეცდა, როდესაც ლიბიის ომში ჩაერთო. როგორია ამ ორი ინტერვენციის შედეგი? სახელმწიფოს განადგურება, სადაც გაბატონებული არიან ტერორისტული დაჯგუფებები. მე არ მსურს ეს განმეორდეს სირიაში“ განაცხადა მან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (მაგ., სირია და ლიბია) მასობრივი განადგურების იარაღის (ქიმიური და ბირთვული) არსებობა დაუშვებელია არაპროგნოზირებადი დიქტატორული რეჟიმების პირობებში, რაც დაადასტურა ლიბიაში პოსტრევოლუციურ პერიოდში შექმნილმა ქაოსმა, რომელსაც მოგვიანებით დაემატა რეგიონში ძალზე საშიში დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ასპარეზზე გამოსვლა.

გამოყენებული მასალები:

http://www.bbc.com/news/world-africa-13754897

http://www.independent.co.uk/news/world/politics/libya-gives-up-nuclear-and-chemical-weapons-83350.html

http://www.nytimes.com/2011/03/02/world/middleeast/02arms.html

http://www.nti.org/learn/countries/libya/nuclear/

http://www.aljazeera.com/news/2017/06/haftar-forces-gains-libya-benghazi-170625044611900.html

https://lenta.ru/news/2017/06/21/nepravilno/

http://www.globalsecurity.org/wmd/world/libya/nuclear.htm

http://xn----jtbhwghdp7a.xn--p1ai/kosdata/page_doc/p1931_1.pdf

[4] http://northafricapost.com/18471-libya-invasion-mistake-president-macron.html

ჯაბა მესხიშვილი

რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904-1905)

1904 წლის დასაწყისში იაპონიისა და რუსეთის იმპერიას შორის ურთიერთობები უკიდურესად გამწვავდა. ამის მიზეზი გახდა რუსეთის სწრაფვა გაუყინავი პორტებისკენ, სწორედ ამ მიზნით დაიწყო მანჯურიისკენ სწრაფვა და კორეაში იაპონიის ინტერესებს საფრთხე შეუქმნა. ამიტომ იაპონიამ რუსეთის მხარეს მოთხოვა გაეყვანა ჯარი მანჯურიიდან, თუმცა რუსეთის იმპერიამ არ შეასრულა მოთხოვნა. 1904 წლის 10 თებერვალს იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადა და რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. ომი ფართო მასშტაბური გამოდგა, ორივე ქვეყნიდან 2 მილიონზე მეტი მეომარი ჩაება სისხლისმღვრელ ომში.[1] იაპონიის მთავარ სამხედრო ამოცანას წარმოადგენდა პორტ-არტურის ციხე-სიმაგრის აღება და იქიდან რუსული არმიის გაძევება. პირველი და მეორე წარუმატებელი შეტევის შემდეგ, 1904 წლის 26 ნოემბერს მესამე მძლავრი შეტევა წამოიწყო იაპონიამ, რის შედეგადაც პორტ-არტურის ციხე-სიმაგრე დანებდა.[2] თუმცა ომი ამით არ დასრულებულა. უკან დახეულ მტერს იაპონიის არმია ფეხდაფეხ დაედევნა. მუკდენის მიდამოებში იაპონიის არმიამ რუსეთის არმიას გამართულ გააფთრებულ ბრძოლებში კიდევ ერთხელ დიდი მარცხი აგემა. ომმა, რომელმაც ერთ წელზე მეტ ხანს გასტანა, ორივე მხარეს როგორც ფინანსური, ასევე სამხედრო და რაც მთავარია, ადამიანური რესურსები მკვეთრად შეუმცირა. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთის არმიას აღარ შესწევდა ძალა კონტრ-შეტევის წამოწყებისა, ხოლო საკუთრივ იაპონიის არმიას კი დამატებითი შეტევისა და დევნისა. ამ უკანასკნელის გაერთიანებულმა შტაბის უფროსმა იამაგატამ 1905 წლის 23 მარტს მინისტრთა კაბინეტს ომის პოლიტიკურად გადაჭრა მოსთხოვა.[3] საბოლოოდ, ომის ბედი 1905 წლის 27 მაისს მომხდარ ცუშიმას საზღვაო ბრძოლაში გადაწყდა, სადაც იაპონიის საზღვაო ესკადრამ შესანიშნავი ადმირალის ტოგოს მეთაურობით გაანადგურა რუსული ესკადრ.[4] ცუშიმას ბრძოლის ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების შუამდგომლობით მეომარ მხარეებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. 1905 წლის 5 სექტემბერს აშშ-ს ქალაქ პორტსმუთში სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა ომი და იაპონიამ მოახერხა რუსეთის იმპერიის განდევნა მანჯურიიდან.[5]

ომი მძიმე გამოდგა ადამიანი რესურსების დანაკარგის მიხედვით, მხოლოდ იაპონიამ დაჭრილ-დაღუპულების სახით 200 000-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა. არანაკლები მსხვერპლი ნახა რუსეთის იმპერიის არმიამაც. იმ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის მიერ იყო ანექსირებული და როგორც იმპერიის შემადგენელი ნაწილიდან, საქართველოდანაც, გაიწვიეს ჯარისკაცები შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ომში. ამგვარად, ამ კვლევის მიზანია რუსეთ-იაპონიის ომში მებრძოლი ქართველი მეომრების შესახებ ინფორმაციის მოძიება, მათ მიმართ იმ დროინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულის დადგენა.

იმჟამინდელი ქართული აზრის გაგების ერთ-ერთ მთავარი ინდიკატორი თანადროული ქართული პრესის გაცნობა იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოველდღიური გაზეთები ,,ივერია'' და ,,ცნობის ფურცელი'', სადაც პერიოდულად შორეულ აღმოსავლეთში მეომარ ქართველებზეც იბეჭდებოდა ცნობები. როგორც უკვე ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველო რუსეთის იმპერიის მიერ იყო ანექსირებული და ისევე, როგორც იმპერიაში შემავალი სხვა ერები, ქართველებიც ვალდებულნი იყვნენ თავისი წვლილი შეეტანათ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ რუსეთ-იაპონიის ომში, თუმცა კვლევის პერიოდში გაირკვა, რომ არამარტო

[1]宮地正人『国際政治下の近代日本』山川出版社、一九八七年、 一一四。მიაიჩი მასატო, საერთაშორისო ურთიერთობების ქვეშ მყოფი თანამედროვე იაპონია (ტოკიო, იამაგავა 1987) 114.

[2] მიაიჩი, საერთაშორისო ურთიერთობების ქვეშ მყოფი თანამედროვე იაპონია, 116.

[3] იქვე, 117.

[4] იქვე, 118.

[5] იქვე, 122.

ვალდებულები, არამედ იძულება განსაზღვრავდა მათ მონაწილეობას უცხო ომში. თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

პირველ რიგში, ქართველებს სამხედრო გაწვევა შეეხოთ და იუნკრების ნაწილი შორეულ აღმოსავლეთში გააგზავნეს საბრძოლველად. მათ გასაცილებლად 1904 წლის 2 თებერვალს შეიკრიბნენ იუნკრების სასწავლო მოედანზე და გამოსამშვიდობებელი ვახშამი გაუმართეს. რისთვისაც ქართველთა სათავადაზნაურო კრებამ, 1000 მანეთი გამოყო.[6] აღნიშნული ვახშმის ფოტოები დღესაც არის შემონახული. პირველ ეტაპზე ზუსტად რამდენი კაცი იქნა გაწვეული საქართველოდან გაურკვეველია, თუმცა ვვარაუდობ, რომ მათი რიცხვი არ იყო ბევრი, რადგან საზოგადოებასა და პრესაში არ მოჰყოლია დიდი გამოხმაურება. ზოგადად უნდა ითქვას, რომ საქართველოდან რამდენი ადამიანი იქნა გაწვეული რუსეთ-იაპონიის ომში, დაუდგენელია, რადგან არ არის შემონახული ცნობები ომში გაგზავნილთა შესახებ, მხოლოდ ალაგ-ალაგ გაბნეული მონაცემებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი რიცხვი დიდი არ იყო.

იმ დროინდელ ქართულ საზოგადოებას, როგორც ჩანს დიდად არ აღელვებდა რუსეთის ბედი შორეულ აღმოსავლეთში, შთაბეჭდილება რჩება, რომ ომის საწყისს ეტაპზე ქართველები არც ელოდნენ იაპონელების წარმატებას ომში. ეს კარგად ჩანს იმ პერიოდში მოღვაწე ქართველების მემუარებში, სადაც თითქმის არ საუბრობენ ამ ომის შესახებ. მართალია გიორგი ლასხიშვილი (ომის დროს გაზეთ ,,ცნობის ფურცელის რედაქტორი) საკუთარ მემუარებში იხსენებს ომის დაწყების მომენტს და წერს, რომ: ,,დიდი აღელვება გამოიწვია რედაქციაში (გაზეთ ,,ცნობის ფურცლის'' რედაქცია), თუმცა რუსეთი-იაპონიის დიპლომატიური მოლაპარაკება მეტად გამწვავებული იყო უკანსკნელ ხანებში, მაგრამ ომს მაინც არავინ მოელოდა.. ჩვენი გაზეთის საზღვარგარეთის განყოფილების გამგე შაქრო ბილანიშვილი ყველაზე მეტად ღელავდა, ის ომს წინასწარმეტყველებდა, მაგრამ როგორც ჩანს, არც მას სჯეროდა კატასტროფის აუცილებლობა.“[7] ლასხიშვილი თავის მემუარებში ნეგატიურად აფასებს ომის დაწყებას, თუმცა გაურკვეველია რას გულისხმობს ამ სიტყვაში, ვისთვის იყო იგი „კატასტროფა“, ქართველებისთვის, რუსებისთვის თუ იაპონელებისთვის, მაგრამ მემუარებში აშკარად იკვეთება მისი სიმპათიები იაპონიის მიმართ ამ ომში. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი კატასტროფას რუსებისთვის გულისხმობდა. სხვა მემუარებშიც თუ კი ნახსენებია ეს ომი, მხოლოდ იაპონიის მიმართ სიმპათიები იგრძნობა.

ასევე კარგად აისახა ქართველთა დამოკიდებულება პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებსა და პუბლიკაციებში. არანაირი წუხილი არ იგრძნობა ომთან დაკავშირებით, მთავარ განსახილველ თემებად საქართველოში მიმდინარე საკითხები იყო, ომზე მეტ მნიშვნელოვანი რომელიმე სოფელში წამოსული სეტყვა უფრო წარმოადგენდა. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ომთან დაკავშირებით არაფერი არ იბეჭდებოდა. გაზეთების პირველი და მეორე გვერდები შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ომს ეთმობოდა, მაგრამ ეს იყო უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან და სანკტ-პეტერბურგიდან მიღებული დეპეშების მოკლე თარგმანი, რომელსაც მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა და არ ახლდა ქართველი ჟურნალისტების კომენტარი ანდა შეფასება. ომის დაწყებას რამდენიმე მცირე სტატია მიუძღვნეს გაზეთ ,,ივერიაში'', თუმცა ეს მხოლოდ ომის საწყის პერიოდში იყო, შახეს ბრძოლაში იაპონელთა გამარჯვების შემდეგ ომის შესახებ ცნობებმა თანდათან პირველი გვერდიდან გაზეთის შუა ნაწილში გადაინაცვლა და რაოდენობრივად შემცირდა, ხოლო პორტ-არტურის დაცემისა და მუკდენში იაპონელთა გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო მკვეთრად შემცირდა სტატიები, ხოლო პირველი-მეორე გვერდები საქართველოს ავტონომიის მოპოვების საკითხების განხილვას ეთმობოდა.

იმ ქართველთა შესახებ ინფორმაცია, ვინც უშუალოდ ბრძოლებში მონაწილეობდა, ძალიან მწირია, თუმცა ომში მყოფი ქართველების შესახებ გარკვეული ცნობები მაინც არის შემონახული.

თავდაპირველი ცნობები ქართველი მეომრების შესახებ შორეულ აღმოსავლეთში 1904 წლის 28 მარტს აღდგომის დღესასწაულზე ჩნდება. მდინარე იალუს ნაპირებთან

---

[6] ცნობის ფურცელი, სურათებიანი დამატება N 190, 1-2.

[7] გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, (საქართველო, თბილისი, 1992), 147.

დაბანაკებულმა ქართველებმა დეპეშა გამოგზავნეს, სადაც ისინი მეგობრებს, ნაცნობებსა და ზოგადად ქართველებს აღდგომას ულოცავდნენ და იუწყებოდნენ, რომ ჯანმრთელად არიან. დეპეშას ხელს აწერენდენ გენ. კაშტალინსკი, მესხიშვილი, ბაქრაძე და მაჭუტაძე (სამწუხაროდ სახელები არ არის მითითებული). კაშტალინსკი იმ დროს სარდლობდა მდინარე იალუზე განლაგებულ ჯარებს, როგორც ჩანს მესხიშვილი, ბაქრაძე და მაჭუტაძე მასთან დაახლოებული პირები იყვნენ, რადგან ერთად გამოგზავნეს მისალოცი დეპეშა.[8] რაც შეეხება უშუალოდ მესხიშვილს, სავარაუდოდ იგი ცნობილი მსახიობის ლადო მესხიშვილის ძმა, აპოლონ მესხიშვილი იყო. იგი პოლკს მეთაურობდა და პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა, 1905 წელს კი მანჯურიაში დაიღუპა.[9] მსგავსი შინაარსის მოსალოცი დეპეშები გამოგზავნეს მიქაბერიძემ, ზედგინიძემ და კონჩოშვილმა.[10]

თუ როგორ იბრძოდნენ ქართველები ომში ძალიან მცირე ცნობები გვაქვს შემონახული. რამდენიმე მათგანი მაინც შემორჩა ისტორიას და კვლევაში იქნება მათზე საუბარი.

გენერალ სახაროვის მიერ 1904 წლის 20 ივნისის მთავარი შტაბისადმი გაგზავნილ მოხსენებაში საუბარია ლიაოიანის აღმ. უღელტეხილზე მომხდარი ბრძოლის შესახებ და იგი მოიხსენიებს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პორუჩუკ კუპრაშვილს.[11] როგორც ჩანს, კუპრაშვილი კარგი მებრძოლი იყო, რადგან გენერალმა სახაროვმა საჭიროდ ჩათვალა მისი ხსენება, რადგან გენერლები მხოლოდ გამორჩეულ ჯარისკაცებს იხსენიებდნენ.

თავად მთავარსარდალი გენერალი კუროპატკინი იმპერატორ ნიკოლოზ II-ისადმი გაგზავნილ მოხსენებაში საუბრობს კიდევ ერთი ქართველი პორუჩუკის განსაკუთრებულ გმირობაზე. კუროპატკინი იმპერატორს ატყობინებს, რომ პორუჩუკმა არეშიძემ, ასევე პორუჩუკ ზავინოვთან ერთად კუტიძის სამხრეთ მაღლობიდან განდევნა იაპონელთა როტა სტრატეგიული სოფლიდან.[12]

1904 წლის აგვისტოში შახესთან გამართულ ბრძოლაში თავი გამოიჩინა ესაულმა კონიაშვილმა, რომელიც დაღესტნელთა პოლკის ნახევარ სუტნას მეთაურობდა. მან ბენსიხეს და იანტაის შორის ხუნზუხთა კარგად შეიარაღებული 150 მეომრიანი რაზმი დაამარცხა, მეთაურიანად დახოცა და ნაწილი კი ტყვედ აიყვანა.[13] ქართველებმა ასევე თავი გამოჩინეს იმავე წლის ოქტომბერში მდ. იალუს და სინტიანტინის შორის გამართულ ბრძოლაში, სადაც კავკასიელთა სუტნამ უკან კი დაიხია, მაგრამ შესძლო იაპონელთა 4000 კაციანი, ორ ნაწილად გაყოფილი რაზმის იერიშის წარმატებით მოგერიება.[14]

იაპონელთა მთავარი სამიზნის, პორტ-არტურში მყოფი ქართველთა მეომრების შესახებ ცნობები გვხვდება გარნიზონის სარდლის გენერალ სტესელის ბოლო მოხსენებაში, რომელიც მან იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გაუგზავნა პორტ-არტურის დაცემის შემდეგ. სტესელი ბრძოლის პერიპეტიების გახსენებისას თან იხსენიებს ბრძოლის უკანასკნელ დღეებში დაღუპულ პოლკოვნიკ მაჩაბელს, ხაზს უსვამს მის გმირობასა და სანიმუშო ჯარისკაცობას. ასევე მოხსენებაში მოხვდნენ ვიცე-პოლკოვნიკი მესხიშვილი, პოლკოვნიკი ლაფერაშვილი და კაპიტანი ბენუა.[15] ცნობილია, რომ პორტ-არტურში გმირულად იომა პოლკოვნიკმა ალექსანდრე მიქელაძემ, თუმცა მის შესახებ გენერალ სტესელს არ უსაუბრია.

ომის დაწყებისას, ქართველები ჩინეთში, მანჯურიის პროვინციის ქალაქ ხარბინში ცხოვრობდნენ. მათ ომის დაწყებიდან ერთ თვეში გამოგზავნეს წერილი საქართველოში, სადაც თანამემამულეებს ომში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ და პირდებოდნენ თუ კი ისინი მათთან ჩავიდოდნენ სიხარულით მიიღებდნენ.[16] ,,ხარბინსკი ვესტნიკმა'' ხარბინში მებრძოლ

[8] ივერია N 77, 1904 წლის 28 მარტი, 2.
[9] ოთარ კასრაძე, კვალი ნათელი კაცისა, (ხელოვნება, თბილისი 1984), 36.
[10] ივერია N 77, 1904 წლის 28 მარტი, 2.
[11] ცნობის ფურცელი N 2730, 1905 წლის 1 თებერვალი, 2.
[12] ივერია N 161, 1904 წლის 13 ივლისი, 2.
[13] ცნობის ფურცელი N 2587, 1904 წლის 19 აგვისტო, 2.
[14] ცნობის ფურცელი N 2662, 1904 წლის 6 ნოემბერი, 3.
[15] ივერია N 292, 1904 წლის 22 დეკემბერი, 1.
[16] ივერია N 57, 1904 წლის 4 მარტი, 2.

ქართველთა რაზმს, საკმაოდ დიდი სტატია მიუძღვნა, საიდანაც ვგებულობთ, რომ იქ მცხოვრებ ქართველებს შეუქმნიათ მოხალისეთა რაზმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა მდ. ლიოხეს გაყოლებით თვალყური ედევნებინა ხუნხუზთა პარტიზანული რაზმებისთვის. ქართველთა რაზმს მეთაურობდა თავადი ნ. წულუკიძე, რომელსაც კორესპოდენტი წარმოსადეგ და ნამდვილ ქართველ ვაჟკაცად ახასიათებს. მას წარმატებით მიუღია მონაწილეობა ვაფანგოუსა და ლიაოიანის ბრძოლებში, ასევე რამდენიმე სადაზვერვო ოპერაციაში. ამ დამსახურებებისთვის გენერალ გენგროს ის წმიდა გიორგის ორდენზე წარუდგენია.[17] (1904 ასევე წმინდა გიორგის ორდენი აქვს მიღებული ოფიცერ ზურაბ კობიაშვილს, თუმცა რა დამსახურებისთვის დააჯილდოვეს, ამ ეტაპზე დაუდგენელია).[18]

გაზეთმა ივერიამ შემოგვინახა ცნობა მიჩმან როშიძეზე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საზღვაო ბრძოლაში. ის მსახურობდა კრაისერზე „რიურიკი'', რომელმაც 1904 წლის 7 ივლისის ბრძოლაში მოახერხა იაპონური გემის ,,კაშიმა-მარუს'' ჩაძირვა, ხოლო 1 აგვისტოს ,,ტაკაჩიბოს'' და ,,ნანირეს'' ზიანი მიაყენა. თუმცა, საჭის დაზიანების გამო ბრძოლაში მონაწილეობის გაგრძელება გონივრული ნაბიჯი არ იქნებოდა და აუცილებელი გახდა გემის თავად ჩაძირვა, თავად როშიძე კი მტერს ტყვედ ჩაბარდა.[19] მისი ისტორიით დაინტერესდა „ივერიის'' კორესპოდენტი ლადო ციმბირელი, რომელმაც 1905 წლის იანვარში ვლადივასტოკში ჩავიდა და დაადგინა, რომ იგი როშიძე კი არა, არამედ რაჟდენ ლუკას ძე არეშიძე იყო, ასევე ისიც გაარკვია, რომ იაპონიაში ტყვედ მყოფი არეშიძე ჯანმრთელად იმყოფებოდა. ლადო ციმბირელმა შემოგვინიხა ასევე ცნობები ქართველ არტილერისტების პოლკოვნიკ დუმბაძისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ, რომლებიც პორტ-არტურში იბრძოდნენ და მიუხედავად ციხე-სიმაგრის დაცემისა, როგორღაც მოახერხეს ვლადივასტოკში ჩაღწევა.[20]

კვლევის პროცესში მივაკვლიეთ საზღვაო სფეროში მოღვაწე კიდევ ერთ ქართველს. ქართველების ხმელეთზე სარდლობის ნიჭი და მაღალი ჩინის მიღწევა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ საზღვაო ძალებში იშვიათია. ერთ-ერთი ასეთი საზღვაო სტრატეგი მსახურობდა პორტ-არტურის დაცვის I ესკადრის მთავარ საფლაგმანო გემზე ჯავშნოსან ,,პეტრეპავლოსვკიზე''. მას საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. სამხედრო შტაბის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი აღაპიშვილი (სახელი უცნობია) ომის დაწყებიდან 2 თვეში, 1904 წლის 31 მარტს იაპონელთა ნასროლ ტორპედოს შეეწირა. მასთან ერთად დაიღუპა I ესკადრის მთელი შტაბი და სარდალი ადმირალი მაკაროვი, ხოლო ჯავშნოსანი ,,პეტროპავლოვსკი'' ჩაიძირა.[21] სხვათაშორის, კიდევ ერთი აღაპიშვილი აღმოჩნდა კვლევისას, იგი პორტ-არტურში წითელი ჯვრის ექიმად მსახურობდა.[22]

რუსეთ-იაპონიის ომში საკმაო რაოდენობის ქართველი გენერალი და ოფიცერი იბრძოდა, მათ შესახებ მოკლე ცნობები გვხდება, როგორც იმ პერიოდის პრესაში, ასევე ლევან დოლიძის ნაშრომში „გენერლები საქართველოდან'', სადაც მას ქართველი წარმოშობის გენერლებზე მოკლე სახის ინფორმაცია აქვს შეკრებილი. რადგან ოფიცრების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, ამიტომ მხოლოდ გენერლებზე ვისაუბრებ. დოლიძის მიერ თავმოყრილი მონაცემების დახარისხების შემდეგ გაირკვა, რომ რუსეთ-იაპონიის ომში სულ მცირე 10 ქართველი გენერალი იღებდა მონაწილეობას. ესენი იყვნენ გენერალ-ლეიტენანტები ნიკოლოზ და გიორგი თუმანიშვილები, ივანე ორბელიანი, დავით სუმბათაშვილი, ევგენი ფანჩულიძე. გენერალ-მაიორები ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი, პეტრე დონაური, გიორგი ორბელიანი, ესტატე ჩერქეზიშვილი, ვლადიმერ მაყაშვილი. მათ შორის გიორგი ორბელიანსა და ვლადიმერ მაყაშვილს უშუალოდ ომის პერიოდში მიუღწევიათ გენერლის ჩინისთვის, ხოლო ივანე ორბელიანს გენერალ-ლეიტენანტობისთვის. გარდა ამ პირებისა რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილე კიდევ 36 ოფიცერმა მიაღწია ომის დასრულების შემდეგ რუსეთის იმპერიაში

[17] ივერია N 241, 1904 წლის 21 ოქტომბერი, 1.
[18] დოლიძე, გენერლები საქართველოდან, 64.
[19] ივერია N 196, 1904 წლის 25 აგვისტო, 2.
[20] ივერია N 5, 1905 წლის 8 იანვარი, 2.
[21] ივერია N 281, 1904 წლის 9 დეკემბერი, 2
[22] ივერია N 81, 1904 წლის 4 აპრილი

გენერლის ჩინს, მათ შორის იყოს საქართველოს რესპუბლიკის მომავალი თავდაცვის მინისტრი გიორგი კვინიტაძე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გენერალი გიორგი ყაზბეგი, რომელიც 1840 წელს სოფელ სტეფანწმინდაში დაიბადა და თავისი ნიჭით გენერალ-ლეიტანტობას მიაღწია. გიორგი ყაზბეგი 1905 წლის 27 იანვარს ქ. ვლადივოსტოკში გენერალ ვორონეცის ნაცვლად დანიშნეს გარნიზონის კომენდანტად, მანამდე მას ვარშავის ციხის უფროსის თანამდებოდა ეკავა, როგორც ჩანს საკმაოდ უნარიანი და ნიჭიერი მმართველი გახლდა, რადგან ისეთ რთულ და მძიმე პერიოდში, როდესაც ვლადივოსტოკში ყოველდღე იყო მოსალოდნელი იაპონელთა შეტევის განხორციელება, ამხელა თანამდებობა ჩააბარეს. მან 1907 წლამდე იმუშავა ამ პოსტზე, რის შემდეგაც დაბრუნდა საქართველოში და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი გახდა.

როგორც ვხედავთ, ქართველი ოფიცრებისა და ასევე რიგითი ქართველი ჯარისკაცების რიცხვი ომში არ იყო ძალიან მცირე, მაგრამ საინტერესოა იმ დროინდელი პრესა როგორ განიხილვდა მათ. მიუხედვად იმისა, რომ ამ კვლევაში მოხვედრილი ბევრი ცნობა სწორედ პრესის მეშვეობით გახდა ისტორიაში შემონახული, სტატიების შინაარსით, თუ ვიმსჯელებთ საერთოდ არ ადარდებდათ მათი ბედი იმ დროინდელ საზოგადოებას, ნათელია, რომ მათ არ მიიჩნევდნენ საქართველოს ინტერესებისთვის მებრძოლებად. მათ შესახებ მხოლოდ მოკლე ცნობას აქვეყნებდნენ გაზეთში, ყოველგვარი კომენტარისა და შეფასების გარეშე. მაგ. რუსეთიდან მიღებული დეპეშების საფუძველზე იბეჭდებოდა გენერლების მოხსენებებში დაცული ცნობები, რომლებიც ეხებოდა ბრძოლებში თავგამოჩენილ ქართველებს. ეს მონაცემები მხოლოდ თარგმანი გახლდათ და არ იყო თუნდაც მცირე ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ ქართველი მეომარი მოხვდა მოხსენებაში. ქართველი ჟურნალისტების მცირე ყურადღება დაიმსახურა გიორგი ორბელიანმა, რომელიც კავკასიელთა II ბრიგადას მეთაურობდა მანჯურიაში. ორბელიანისა და მისი რაზმის შესახებ ინფორმატიული ხასიათის მქონე სტატია გამოქვეყნდა, თუმცა ყოველგვარი ქებისა და თანაგრძნობის გარეშე. მეორე ასეთი შემთხვევა იყო სამხედრო გემზე ,,რიურირკი'' მომსახურე მიჩმან არაშიძესთან დაკავშირებით, როდესაც გაზეთ „ივერიის'' ჟურნალისტი ლადო ციმბირელი მისი ბედით დაინტერესდა და მის შესახებ მცირე ინფორმაციული სტატია დაბეჭდა გაზეთში, თუმცა არც ამ შემთხვევაში არ იგრძნობოდა მისდამი პატივისცემა ან ქება.

ქართულ პრესაში ხანდახან ომში დაღუპულების, დაჭრილებისა და ტყვედ ჩავარდნილი ქართველების შესახებაც გვხვდებოდა მცირე სახის ცნობები, თუმცა ეს იყო მხოლოდ მშრალი მონაცემი, რომელსაც არ ახლდა არავითარი შეფასება ჟურნალისტის მხრიდან და არც წუხილის გამომხატველი კომენტარი არ ჰქონდა თანდართული. 1904 წლის 27 ივლისს ,,ცნობის ფურცელმა'' შემოიღო რუბრიკა ,,მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი'', ამის მიზეზად გაზეთმა დაასახელა, ის რომ რედაქციას ხშირად ეკითხებიან ,,ამა თუ ამ კაცის გვარი ხომ არ შეგხვედრიათ დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვშიო. ამ ნათესავთა და აგრეთვე საზოგადო ინტერესის დასაკმაყოფილებლად ჩვენ საჭიროდ ვცანით დღეიდან ვბეჭდოთ ომში დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სია, რომელსაც მთავარ შტაბის განსაკუთრებული კომისია აცხადებს ხოლმე ,,რუსსკი ინვალიდ''-ში და რომელსაც თითქმის ყველა რუსული გაზეთი ჰბეჭდავს''.[23] მართლაც ამ დღიდან გაზეთში ქართველი დაღუპული - დაჭრილი - დატყვევებული ქართველების შესახებ ცნობების რაოდენობა მცირედით გაიზარდა. მაგალითად, მისი მეშვეობით გავიგეთ, რომ 1904 წლის ოქტობერში მუკდენთან შრაპნელით დაჭრილა ბრიანსკის 35-ე პოლკის შტაბის-კაპიტანი ოტია მიქელაძე; შახესთან 7 სექტემბერს დაუჭრიათ დაღესტნის პოლკის მედროშე თავადი დავით ჭავჭავაძე; ასევე სახესთან დაჭრილა ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ ჩხეიძე; 215-ე პოლკის პოლკოვნიკი გიორგი ამილახვარი და კიდევ რამდენიმე ცნობა მივიღეთ ათეულ ქართველზე, თუმცა ეს იყო ისევ და ისევ მხოლოდ მოკლე მონაცემები. „რუსკი ინვალიდში'' გამოქვეყნებული დაჭრილ-დაღუპულების რიცხვში თუ ქართველი იქნა მოხსენიებული, მის გვარს შედარებით მუქი ასოებით ბეჭდავდნენ. ამ ინფორმაციას არ ახლდა

[23] ,,ცნობის ფურცელი'', N 2567, 1904 წლის 28 ივლისი, 2.

არც სამძიმარი და არც წუხილის გამომხატველი კომენტარი. ნათელია, რომ იმ დროინდელ ქართველ საზოგადოებას იაპონიასთან მებრძოლ ქართველებზე გული დიდად არ შესტკიოდათ. ეს ცნობებიც მხოლოდ და მხოლოდ ომში წასულების ნათესავებისთვის და ასევე ზოგიერთი ცნობისმოყვარესათვის ინფორმაციის მიწოდების ხასიათს ატარებდა.

სამაგიეროდ, ამის საპირისპიროდ გაზეთებში რამდენადაც იმ პერიოდის მკაცრი ცენზურა აძლევდა საშუალებას, საკმაო რაოდენების სტატიები იბეჭდებოდა იაპონიის არმიის სარდლობაზე, არმიაზე, კულტურაზე და ზოგადად იაპონიაზე. სტატიებში აშკარად იგრძნობა იაპონელთა მიმართ ქართველების სიმპათიები. ვერ შეხვდებით ვერანაირ კრიტიკას, პირიქით ხშირ შემთხვევაში ფარული აღფრთოვანებებიც კი იგრძნობა.

როგორც ავღნიშნე საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იძულებული იყო თავის წვლილი შეეტანა ომში. რის გამოც საქართველოდან შორეულ აღმოსავლეთში ჯარისკაცები გაიწვიეს. საინტერესოდ განვითარდა მოვლენები 1904 წლის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველოში რუსეთმა სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვევა გამოაცხადდა. თუ რამდენი კაცი უნდა გაეწვია რუსეთს საქართველოდან იმ დროს ზუსტი ოფიციალური მონაცემები არ არის შემორჩენილი, თუმცა გაზეთი „ივერიის'' 31 ივლისის ნომრის ცნობით სამხედრო ბეგარისთვის გასაწვევთა რიცხვი 8006 კაცი იყო...[24] ხოლო გაზეთ ,,საქართველოს'' 1 ოქტომბრის (N18) ვარაუდით რუსები 12 000 კაცის გაწვევას გეგმავდნენ.[25]

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ბეგარაზე გაწვევა არ ნიშნავდა პირდაპირ ომში წაყვანას, მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობდა, რომ მათ შორეულ აღმოსავლეთში უპირებდნენ გაშვებას. ქართველების დიდმა ნაწილმა სამხედრო ბეგარაზე უარი განაცხადა და არ გამოცხადდა გასაწვევ პუნქტებში. სიტუაცია თავდაპირველად გურიიაში გამწვავდა. გურულებმა ერთგვარ დევიზად აქციეს ფრაზა ,,უმჯობესია მოვკვდეთ ჩვენს გურიაში, ვინემ მანჯურიაში'', ჯარში წასვლის ნაცვლად რამდენიმე ასეული კაცი ტყეში ფირალად გავიდა და რუსულ ჯართან შეტაკებებში სისხლიც დაღვარა. გურიიდან მუხტი სამეგრელოსაც გადაედო და იქაც უარი განაცხადეს ბეგარის მოხდაზე, რუსეთის ჯარებს ძალის გამოყენება უწევდათ წვევამდელების შესაკრებად, თუმცა ვერც ძალით აღწევდნენ საწადელს. თითქმის იგივე მოხდა ქუთაისშიც, სადაც დიდი დემონსტრაცია გაიმართა და შეკრებილებმა გამოაცხადეს ,,სალდათად არ გავალთო'', მთავრობამ მათ წინააღდეგ ძალა გამოიყენა, პოლიციის მიერ გახსნილმა ცეცხლმა დემონსტრაცია გაფანტა, ნაწილი დაიჭრა, ხოლო ნაწილი დააპატიმრეს. ხევსურებმა კი თავის მხრივ განაცხადეს ,,რუსები იმიტომ მოვიყვანეთ ჩვენში, რომ მშვიდობა დაეცვათ, ამათ კი სულ ომი და დავიდარობა აქვთო'' და გაწვევაზე არავინ არ გამოცხადდა, რის საპასუხოდაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ბრმა შერჩევით ძალით წაეყვანათ წვევამდელები. მიუხედავად იმისა ისინი იყვნენ გასაწვევთა სიაში თუ არა. ხევსურებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ბოქაული თავისი ჩაფრებით გამოაძევეს ხევსურეთიდან. მთავრობამ დამატებითი ძალები გაგზავნა ხევსურების დასამორჩილებლად, თუმცა ვერც მათ მიაღწიეს შედეგს და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ 1904 წელს ერთი კაციც კი ვერ გაიყვანეს ხევსურეთიდან სამხედრო ბეგარაზე.[26]

საბოლოოდ, როგორც შემორჩენილი მასალებიდან ჩანს, რუსებმა ვერ მოახერხეს დაგეგმილი რიცხვის მოგროვება, რადგან თითქმის მთელ საქართველოში უწევდნენ მათ წინააღმდეგობას სამხედრო ბეგარის მოსახდელად წაყვანაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთ-იაპონიის დროს შორეულ აღმოსავლეთში მეომარი ქართველ ჯარისკაცებს საქართველოში არ ჰქონდათ საზოგადოებაში მხარდაჭერა და თანაგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამხედრო სფეროში მოღვაწეობა ყოველთვის დაფასებული იყო და იაპონიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მეომრების შესახებ ქართულ პრესაში თითქმის არაფერი არ იწერებოდა, არ ეძღვნებოდათ მათ სტატიები, არ წუხდნენ მათ ბედზე, არ საუბრობდნენ მათი გმირობების შესახებ, თუ ვინმე დაიჭრებოდა,

[24] ,,ივერია'', N 176, 1904 წლის 31 ივლისი, 2.

[25] საქართველო, N 18, 1904 წლის 1 ოქტომბერი, 2.

[26] საქართველო N 19, 1904 წლის 1 ნოემბერი, 5-6.

ტყვედ ჩავარდებოდა ან დაიღუპებოდა მხოლოდ მოკლე ცნობა იდებოდა, ისიც მხოლოდ მცირე ნაწილზე და არც თუ ისე ხშირად. ის, რომ ქართველებს არ სურდათ იაპონიის წინააღმდეგ საომრად წასვლა გამოჩნდა 1904 წლის საშემოდგომო გაწვევის დროსაც. ვერ ვიტყვით, რომ ეს შიშით იყო განპირობებული, რადგან თითქმის უიარაღოდ მყოფები, ძირითადად ბერდენებით შეიარაღებულები აქტიურად ებრძოდნენ მათ წინააღმდეგ გაგზავნილ რუსულ ჯარებს, სისხლსაც ღვრიდნენ და ეწირებოდნენ მათთან ბრძოლას.

ამ ფაქტებიდან კარგად ჩანს, რომ იმ დროინდელ ქართულ საზოგადეობაში იაპონიას არ თვლიდნენ მტრად და მის წინააღდმეგ ომში წასვლაც თითქმის არავის არ სურდა. იაპონია მათთვის მტერი კი არა, არამედ საერთო მტრის და დამპყრობელის რუსეთის იმპერიის მტერი და ერთგვარი მოკავშირე იყო. ეს კარგად გამოჩნდა არამარტო რუსეთის არმიაში მებრძოლ ჯარისკაცების შემთხვევაში, არამედ იმ პერიოდის გამოჩენილი ქართველების მიერ იაპონიის ფარულ მხარდაჭერაში, თუმცა ეს საკითხი ამ კვლევის საგანი არ არის და ამ საკითხზე საუბარი აუცილებლად გვექნება სხვა სტატიაში.

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

მოხსენებათა თეზისები

2017 21-23 დეკემბერს გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის აქტუალური პრობლემები“. კონფერენციაზე შეჯამდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის 2017 წლის სამეცნიერო მუშაობა და წარმოდგენილი იყო მოხსენებები საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიული და კულტურული ურთიერთობების, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის, ახლო აღმოსავლეთში ამჟამად მიმდინარე პროცესების სხვადასხვა ასპექტების შესახებ. ყოველწლიური კონფერენცია უკვე რამდენიმე წელი იქცა ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მთავარ ერთობლივ სამეცნიერო ფორუმად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელთა გარდა, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები.

მარინა მეფარიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ფერის სემანტიკის გადმოცემა უგარიტულში

მოხსენებაში განხილულია ფერის უნივერსალური მოდელების საკითხი II ათასწლეულის მკვდარი სემიტური ენის - უგარიტულის - ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილია ბაზისურ ფერთა ტერმინები და მათი შესატყვისი ბაზისურ ფერთა კატეგორიები. კვლევა ჩატარებულია ამ თვალსაზრისით შესწავლილი სხვა სემიტური ენების ფონზე.

გურამ ჩიქოვანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

qāl (qiltu) და gāl (gilit) არაბული დიალექტები

სათაურში მოცემულია არაბული დიალექტების კლასიფიკაციის ერთ–ერთი პრინციპი, რომელიც ჰაიმ ბლანკს ეკუთვნის. მეცნიერი 1969 წელს წერდა: „Two broad dialectal types, each with several subdivisions, may be distinguished. On the basis of their respective forms of the word for “I said”, these may be called the *qiltu*-dialects and the *gilit*-dialects (Haim, Blank, Iraqi Arabic Studies, Book Reviews, Reprinted from The Middle East Journal, Autumn, 1959). ჰაიმ ბლანკი ამ დასკვნამდე ერაყის არაბულ დიალექტებზე დაკვირვებამ მიიყვანა, სადაც მომთაბარე ბედუინებისა და ბინადარი არაბების მეტყველების მრავალფეროვნება კარგად იკვეთება. აქ ასევე გამოიყოფა ისეთი ენობრივი ჯგუფები, როგორიცაა მუსლიმი და ქრისტიანი არაბები, ებრაული თემი. ბაღდადისა და ბასრის არაბულიც მკვეთრად განსხვავებულია.

მოხსენებაში წარმოდგენილია ცენტრალური აზიის არაბული დიალექტების თავისებურებანი qāl–ისა და gāl–ის არაბული დიალექტების ენობრივი მახასიათებლების კუთხით.

მაია სახოკია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

–რა– თანდებულის ტრანსპოზიციური ინოვაციების ტიპოლოგიისათვის დღევანდელ სპარსულში

მოხსენება ასახავს ადრეული წლების კვლევათა გაგრძელების შედეგებს. საგანია რა–თანდებულის *ტრანსპოზიციური* ცვლილებები, გამოყენების სიახლეები, უახლესი მორფოსინტაქსური და სემანტიკური *ინოვაციები* თანამედროვე სპარსულში. აქ საქმე ეხება სასაუბრო ენასაც და დღევანდელ მწერლობასაც. რა აჩვენებს მრავალგვარ ახალ ვარიანტს წინადადებაში *გადაადგილებისა, მოძრაობისა* (პოზიცია), ასევე *პრაგმატულ–სემანტიკური* ფუნქციური დატვირთვისა. ეს ვარიანტები მრავალგვარია და ყურადღებას იქცევს ცვლილებათა საკმაოდ დინამიკური წინსვლით. ასე, კერძოდ მაგალითად, რა უკავშირდება სხვადასხვა წევრებს მარტივ წინადადებაში (სხვადასხვა ზმნებს) და ახლებურად აკავშირებს რთული წინადადების ნაწილებსაც (გარდამავალი/გარდაუვალი ზმნა შემასმენლებად; მთავარი/დამოკიდებული წინადადებები), გამოიყენება ერთ ფრაზაში რამდენჯერმე სხვადასხვა წევრებთან და სხვა შემთხვევები. ანალიზისას ვლინდება ფაქტები, შეფასებადი ნორმის ვარიანტებად. ყველა ეს ფაქტი განიყოფება გრამატიკულ–სემანტიკურ ჯგუფებად. მოვლენა ჯამურად მთლიანობაში მოითხოვს *ფართო ტიპოლოგიურ* შეფასებას. უპრიანია *თანამედროვე ლინგვისტური უნივერსალური ცნებების* მოშველიება, როგორიცაა: ტოპიკა და ფოკუსი, თემა და რემა, ინფორმაციული სტრუქტურა და საკომუნიკაციო ფუნქცია, აქტუალური დანაწევრება, გამოყოფა და სხვა; თავს იჩენს აგრეთვე *მთლიანი და ნაწილობრივი ტიპოლოგიის გათვალისწინებაც,* როცა აშკარა ხდება ნაწილობრივი ტიპოლოგიის დიდი მნიშვნელობა ენის აღწერისას. ასე რომ *მრავალსახა* რა-თანდ.-ის კოდიფიკაციისას გამოსაყენებელია *ფართო ტიპოლოგიის მეთოდები და ცნებები.*

ნუნუ გურგენიძე, ლუიზა რუხაძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ქართულ დიალექტებში დამკვიდრებულ არაბულ, სპარსულ და თურქულ ნასესხობათა ფონეტიკური თავისებურებანი

ქართული დიალექტების მასალები გვიჩვენებენ, რომ ყველა ნასესხები სიტყვა ერთნაირად არ ემორჩილება მსესხებელი ენის ფონეტიკურ თავისებურებებს და რჩება წყარო ენაში არსებული ფორმით. ამ მოვლენას მთელი რიგი მიზეზებისა აქვს. მათ შორის მთავარი კი სესხების გზები და წყარო ენის ფონეტიკური სისტემაა, რომლის გარკვევასაც ვცდილობთ მოცემულ სტატიაში.

შალვა გაბესკირია

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპი და რამდენიმე სიტყვის ბიბლიური პარალელები

ვეფხისტყაოსნის ამბავი ძირითადად ორი ქრონოლოგიური ჭრილის შენივთების საფუძველზე ჩანს შოთა რუსთაველის მიერ მხატვრულად დამუშავებული. ესენია: XII-XIII სს

საქართველოს ისტორიული მოვლენები და ბიბლიური ნარატივი მეფე დავით წინასწარმეტყველზე, რომელიც ტარიელისა და ავთანდილის წინასახე უნდა იყოს, ხოლო ფატმანის პროტოტიპი დავითის წინამორბედი მეძავი რაქაბი. პოემის სივრცული განზომილება ისტორიულ საქართველოსა და ტრაპიზონის სამეფოს მოიცავს. განიხილება ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სიტყვის ალეგორიულ-სიმბოლური მნიშვნელობა: კიდობანი, ფიცი, ქნარი, გაბაონი.

თამარ დემეტრაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

წყევლის შემცველი წარწერები ძველნაბეჭდ ქართულ წიგნებზე

ძველნაბეჭდი ქართული წიგნების კვლევა 1873 წლიდან იწყება, როდესაც დიმიტრი ბაქრაძემ ქუთაისში შემთხვევით ნახა ვახტანგ VI-ის სტამბის 1710 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“. მას შემდეგ ძველნაბეჭდი ქართული წიგნები მკვლევართა ყურადღებას არაერთი მიმართულებით იქცევს. ამ შემთხვევაში ინტერესს იწვევს ამ წიგნებზე წყევლის შემცველი წარწერები. მაგ.: „ქ.ესე დავითნი მოურავის შვილის, ადამისა არის, ვინც მოიპაროს ნათლისმცემელი გაუწყრეს; ადამი“ („დავითნი“, 1710 წელი, ტფილისი, ვახტანგ VI-ის სტამბა). ეს წარწერა ეკუთვნის ადამ ანდრონიკაშვილს (1774–1854), გიორგი XII–ის ამილახვარს. წყევლა სათავეს ძველი აღთქმიდან იღებს. ქართულ ფოლკლორში და ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით. წერილობით წყევლა შესულია უძველეს სიგელ–გუჯრებში - სამართლებრივი აქტები წყევლა-კრულვითაა გამაგრებული.

წყევლა-კრულვის, ლანძღვა-გინებისა და ბილწსიტყვაობის შემცველ ენობრივ მასალებს სწავლობს ენათმეცნიერების შედარებით ახალი მიმართულება მალედიქტოლოგია (ლათ.maledicere, male (= ‘ცუდი’) + dicere (= ‘თქმა’) + ბერძნ. lógia (= ‘შესწავლა’). ძველნაბეჭდ ქართულ სასულიერო და საერო ხასიათის წიგნებზე წყევლის შემცველი წარწერები საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის შესახებ ღირებულ ინფორმაციას იძლევა

ელენე გიუნაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

პართული ონომასტიკის კვლევისათვის ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში (ამასპო)

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ქრისტიანობამდელ საქართველოს ჰქონდა მჭიდრო კონტაქტები ისლამამდელ ირანთან.

საქართველოში “უძველესი დროიდან არსებობდა ირანული საკუთარი სახელების ფართოდ გავრცელებული ტრადიცია”(გ.წერეთელი). ირანული ანთროპონიმების თვალსაჩინო ნიმუშები უხვად გვხვდება ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში (V-XI სს.)

“სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების” ერთ-ერთ ფრაგმენტში მოხსენებულია ქალის საკუთარი სახელი ამასპო, რომელსაც მ. ანდრონიკაშვილი (ნარკვევები, I, 24, 422) პართულიდან შეთვისებული მამაკაცის საკუთარი სახელის, ამაზასპის ვულგარულ ფორმად თვლიდა (შდრ. ამ სახელის სხვა ნაირსახეობები _ ამზასპ, ამზასპან). ეს სახელი ფართოდ დამკვიდრებულია სომხურშიც. მისი ეტიმოლოგია მოცემული აქვს ფ.იუსტის, ჰ.ჰიუბშმანს და მ. ანდრონიკაშვილს. ეს საკუთარი სახელი დასტურდება საქართვლოში აღმოჩენილ ერთ-ერთ ბერძნულ წარწერაშიც.

1990 წელს, სინას მთაზე აღმოჩნდა მეათე საუკუნის ხელნაწერი N შინ 50, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე ისტორიული და აგიოგრაფიული თხზულება.

ხელნაწერში მოხსენებულია სივნიეთის დედოფალი ამასპო. ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სინას მთის ხელნაწერის ამასპო და სომეხი ავტორის, სტეფანოს ორბელიანის (XIII ს.) თხზულების, "სისაკანის ისტორიაში" დადასტურებული ჰამასპრუჰი/ჰამასპროჰი ერთი და იგივე პირია (ზ. ალექსიძე).

ქართული ამასპო მომდინარეობს სომხური ამასპრუჰი/ამასპროჰიდან, რომელიც თავის მხრივ, მიღებულია ფორმა (ჰ)ამაზასპ-უჰიდან (უჰ- სომხ. მდედრობითი სუფიქსია).

ფონეტიკურად ქართული ფორმა ყველაზე უფრო ახლოს დგას მცხეთის ვესპასიანეს ხანის ბერძნული წარწერის *Ἰαμασασποῖ* --თან, რომელიც ქალის საკუთარი სახელია და მომდინარეობს (H)amazaspuh < Hamazasp-uhi -დან (გ.წერეთელი, 1958, 17-20).

ამრიგად, ძველი ქართული აგიოგრაფიულ ძეგლებში გამოვლენილი ეს პართული სახელი,ქრისტიანობამდელი ხანის ირანულ-ქართული ენობრივი ინტერეფერენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია.

ნელი მახარაძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

სიწმინდის საფარებელი „პერექელი"
(ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი დანიშნულებისათვის)

სიწმინდის საფარებელი „პერექელი" დღეს საეკლესიო საღვთისმსახურო პრაქტიკაში „დაფარნის" სახელით მოიხსენიება. დაფარნა კი სამია; ამათგან ორი – ბარძიმისა და ფეშხუემის საფარებლები – „მცირე დაფარნებად" იწოდება, ხოლო მესამეა „დიდი დაფარნა", რომელიც წმიდა საიდუმლოს – ზიარების აღსრულების დროს ევქარისტული მსხვერპლის წმიდა ნაწილებს, პურსა და ღვინოს, ორივეს ერთად, ზემოდან ეფარვის, განმარტებით – როგორც „ცაჲ", როგორც „ჰაერი".

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „პერექელი" ბარძიმისა და ფეშხუმის საფარებლად გამოიყენებოდა, ანუ მცირე დაფარნების სახელია (გ. ბარათაშვილი); ამავე დროს, არის თვალსაზრისიც, რომ „პერექელი" დიდი დაფარნის აღმნიშვნელია და იგივეა, რაც „ცაჲ", „ჰაერის" მნიშვნელობით (ენ. გაბიძაშვილი).

დიდი დაფარნის სახელდება როგორც „ჰაერის", განსაზღვრაბერძნულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებულმა ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის, ასევე იაკობის ჟამისწირვათა ტექსტებიდან მომდინარე ტერმინმა ᾽Αήρ, ἀέρος (ჰაერი),რომელიც სხვა ენებზე უმთავრესად ითარგმნა თავისი პირველადი მნიშვნელობით, როგორც მაგ. რუსულში– დიდი დაფარნა არის Воздух. ქართულ სინამდვილეში ამან გავრცელება ვერ ჰპოვა.

დიდი დაფარნა, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, წმ. საბა განწმედილის შემოღებულია (V ს.), მაგრამ უცნობია საზოგადოდ რა ტერმინით მოიხსენიებოდა მცირე დაფარნები დიდი დაფარნის – ᾽Αήρ ტერმინის შემოღებამდე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება „პერექელის" ეტიმოლოგია და მისი თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენის ცდა.

მანანა გაბაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული შავი ზღვის კიდევ ერთი სახელწოდება

1590 წლის აბრაჰამ ორტელიუსის რუკაზე შავი ზღვაა გამოხატული აფრიანი ხომალდით. ევროპელი ავტორი შავ ზღვას მის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახელწოდებას ,,პონტოს

ევქსინოს” უწოდებს. რუკის მარჯვენა კუთხეში (საქართველოს ტერიტორიასთან ახლოს) ჩვენთვის დღემდე უცნობი სახელწოდება ,,ფასიანის ზღვა” დასტურდება. ქართული ტერიტორიის ზღვის სანაპირო ზოლს აბრაჰამ ორტელიუსი კოლხეთს უწოდებს. იბადება კითხვა. რას უნდა ნიშნავდეს „ფასიანის ზღვა“. ამ მხრივ საინტერსო აღმოჩნდა თ.მიქელაძის სტატია: „ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის.“ მეცნიერს „ფასისი“ ეთნიკურ-გეოგრაფიულ ტერმინად მიაჩნია. იგი მას კოლხურ სამყაროს უკავშირებს. აქედან გამომდინარე „ფასიანის ზღვა“ ცნობილ „კოლხთა ზღვას“ უნდა დავუკავშიროთ და კიდევ ერთი სახელით გავამდიდროთ ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული შავი ზღვის სახელწოდებები.

მარიამ ჩაჩიბაია

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არამეული თარგუმები და ახალი აღთქმა

ახალი აღთქმის არამეული საფუძვლების კვლევა უმეტესად მოიცავდა ფილოლოგიური ხასიათის საკითხებისა და გარკვეულწილად წყაროების კრიტიკულ შესწავლას. კვლევის შედეგებმა ცხადყო სახარებისა და საქმე მოციქულთას ტექსტების წყაროებისა და კომპოზიციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლისა და გადაჭრის გზები. თუმცა, უნდა აღინიშნოს,რომ ახალი აღთქმის არამეული საფუძვლების კვლევისას საგანგებოდ არ გამახვილებულა ყურადღება ქრისტიანობის პირველი საუკუნეებისებრაულ თემზე. აღნიშნული საკითხების სათანადოდ შესწავლა შუქს მოჰფენს როგორც სახარებისეულ ტრადიციას, ასევე ნაკლებად შესწავლილ ადრეული ხანის ეკლესიის ისტორიას. მოხსენების მიზანია ახალი აღთქმის ტექსტში დადასტურებული არამეიზმების კრიტიკული შესწავლა და მათი წარმოჩენა პირველი საუკუნის ებრაული თემის ცხოვრებასთან, აზროვნებასა და ისტორიასთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას იესოსა და მისი პირველი მიმდევრების შესახებ. არამეული თარგუმების მასალა სრულად უნდა იქნეს გამოყენებული. ახალი აღთქმის ვერსიაში დადასტურებული თარგუმების იკითხვისები მიუთითებს იმ უძველეს ტრადიციაზე, რომელიც დაცულია არამეულ თარგუმებში (ასე, მაგალითად, ეფ.4.8 ||თარგ. ფსალ.68.18)

დავით თინიკაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

აპოკატასტასისი: საყოველთაო აღდგენა ბიზანტიელ მამებთან

ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაში დამკვიდრებული სიტყვა ‘აპოკატასტასისით’ (“კვლავ აღდგენა”) აღინიშნებოდა სწავლება ყველა გონიერი არსების (ადამიანები, ანგელოზები) საბოლოოდ ხსნის, ცხონების შესახებ. აპოკატასტასისი (ძველქართულად “კუალად გებაი”) ანუ სწავლება საყოველთაო აღდგენის შესახებ ქრისტიანული თეოლოგიის განუყოფელი ნაწილია. ეს მოძღვრება ხშირად მიიჩნევა ეკლესიისგან უარყოფილად, მაგრამ წყაროების ობიექტური კვლევისას ცხადი ხდება, რომ ბიზანტიურ საქრისტიანოში დაიგმო ორიგენესეული და არა გრიგოლ ნოსელისეული აპოკატასტასური სწავლება. ამრიგად, დასაბამიერ პატივსა და დიდებაში მთელი ქმნილების დაბრუნება ქრისტიანული თეოლოგიის, კერძოდ, ესქატოლოგიის ლეგიტიმური ნაწილია.

ელისო ელიზბარაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ბუნებრივი კატასტროფები დასხვა უბედურებანი როგორც ღვთის რისხვა ადრეული პერიოდის ბიზანტიელი ისტორიოგრაფების თხზულებებში

ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის მწერლები ისტორიულად მომხდარ სტიქიურ კატასტროფებსა და უბედურებებს ხშირად უკავშირებდნენ ღმერთების რისხვას. თუმცა ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო, თითქმის გაქრა ინტერესი იმ ბუნებრივი პროცესებისა და კანონზომიერებებისადმი, რასაც ამგვარი მოვლენები შეიძლებოდა გამოეწვიადა ისტორიული თხრობა ღვთაებრივი განგებით განპირობებული გახდა.

ადრეული პერიოდის ბიზანტიელი ისტორიოგრაფები -ევსევი კესარიელი (263-340), ევნაპი სარდელი (დაახ.348-414), ფილოსტორგიუსი (368-დაახ.414), სოკრატე კონსტანტინოპოლელი (დაახ.380-დაახ.439), პროკოპი კესარიელი(დაახ.500-დაახ.554),აგათია მირინელი (დაახ.530-594)და სხვანი - სწორედ ამ ჭრილში განიხილავენ მოსახლეობას თავს დამტყდარ ისეთ უბედურებებს, როგორიცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, შიმშილი, ეპიდემია,დევნა და სხვ. თუმცა, რამდენადაც მათი რელიგიური კუთვნილება არაერთგვაროვანია, ისტორიკოსები წარმატებით ახდენენ ამგვარი ღვთაებრივი სასჯელის ინტერპრეტაციას საკუთარი მრწამსის უპირატესობის დემონსტრირებისათვის.

ზვიად ცხვედიანი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*al-ʔimāla*ძველ არაბულ დიალექტებში

შუა საუკუნეების არაბულ გრამტიკულ ლიტერატურაში ენობრივ მოვლენებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ხმოვნის პალატალიზაციის საკითხს ეხება. არაბულ გრამატიკულ ტრადიაციაში ეს მოვლენა აღნიშნულია ტერმინით *al-ʔimāla* (الإمالة – ‘გადახრა, გადაწევა’) და წინა რიგის მაღალი აწეულობის a / ā-ს i-სა და ī-სკენ გადახრას გულისხმობს.

არაბ გრამატიკოსებთან*al-ʔimālaal-ʾitbāʿ*-ის (الإتباع – ‘სინჰარმონიზმი’) რიგისაა, *al-ʔidġām*-ს(الإدغام – ‘კონსონანტების ასიმილაცია’) ჰგავს დაძირითდად ā>ā̄ / ē შემთხვევაა განხილული ინლაუტსა და აუსლაუტში.

al-ʔimāla-სა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ პირველი მსჯელობა მოცემულია Sibawayhi-სთან*“al-kitāb”*-ში. მომდევნო პერიოდის გრამატიკოსები ამ საკითხის განხილვისას სიბავაიჰის ეყრდნობიან. *al-ʔimāla*-სმიზეზად მიჩნეულია i-სთან ასიმილაცია. თუმცა ფორმები *an-nās >in-nēs* ‘ხალხი’, *al-bāb >il-bēb* ‘კარი’...ამ მტკიცების საშუალებას არ იძლევა.

წყაროების მიხედვით (*Sibawayhi*-ს*“al-kitāb”*, *ibn Yaʿīš*-ის*“šarḥu l-mufaṣṣal”*, *aS-Suyūṭiy*-ის “al-*ʔitqān fī ʿulūmi l-qurʔān, al-ʔaḫfaš*-ის *“maʿānīl-qurʔān”, ibnǦinniy-ს “sirru ṣināʿati l-ʔiʿrāb”…)al-ʔimāla* დასტურდება არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი და ცენტრალური (ნაჯდი) რაიონების ტომთა (თამიმი, კაისი, ასადი...)და ჰიჯაზის (სავარაუდოდ ბედუინების) მეტყველებაში.

ვახტანგ თევდორაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არაბული ქრისტიანული საზოგადოება გვიანანტიკურ ხანაში: იბადის ნესტორიანული თემი ალ-ჰირაში

ისლამური კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლაჰმიდებს, კერძოდ ქალაქ ალ-ჰირას, რომელიც ევფრატის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა და ბერძნულ და ირანული სახელმწიფოებსა და არაბეთის ნახევარკუნძულის არაბულ ტომებს ესაზღვრებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ალ-ჰირაში ანტიკური კულტურული ელემენტები ერწყმოდა ერთმანეთს.

ნეჯდთან და სამხრეთ არაბეთთან ერთად ის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არაბული ქალაქი და პოლიტიკური ცენტრი, სადაც მოდიოდნენ პოეტები და ვაჭრები მთელი ნახევარკუნძულიდან.

სტატიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ალ-ჰირაში მცხოვრებ ქრისტიანებზე. წყაროების მიხედვით, ისინი მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ და ღრმა კვალი დატოვეს ისლამური კულტურის საერთო ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

სოფიო იმედაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სულხან–საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“ ქართულად მიჩნეული არაბული წარმოშობის ლექსიკური ერთეულები (ალყა, ალვა, არიფანა, ხიბლი)

სულხან–საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ მნიშვნელოვანი ძეგლია აღმოსავლური ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით. ავტორი ლექსიკონში გარკვეულ ლექსემებს უთითებს წარმომავლობას (მაგ:. არაბულია, სპარსულია, თურქული, ბერძნული), თუკი მის წარმომავლობაში ეჭვი ეპარება, მიუთითებს – „სხვათაა ენაა“. თუმცა, გამოვლინდა აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკა, რომელთა წარმომავლობაზე ავტორი მითითებას არ იძლევა, ე. ი. მათ ქართულად მიიჩნევს.

სულხან–საბას მიერ მითითების გარეშე დატოვებული ლექსიკური ერთეულებიდან წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავთ **ალყა, ალვა, არიფანა, ხიბლი** ლექსემებს, მათ ეტიმოლოგიას, ფონეტიკურ და სემანტიკურ ტრანსფორმაციებს.

ლეილა ქველიძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ახალი პოეზია“ მეოცე საუკუნის არაბული ლიტერატურის განვითარების კონტექსტში

არაბულმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით პოეზიამ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში სიღრმისეული ცვლილებები განიცადა, რამაც შესაბამისად სრულიად ახალი მიმართულება მისცა მის შემდგომ განვითარებას. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან პოეზიის განვითარება ახალ არაბულ ლიტერატურაში ორი გზით წარიმართა:

ერთი მხრივ _ პოეზიის განახლება შინაარსის დონეზე და მეორე მხრივ _ მეტრისა და რითმის უარყოფა, რის შედეგადაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ ჩამოყალიბდა არაბული პოეზიისთვის სრულიად ახალი ორი მოვლენა: თავისუფალი ლექსი და ლექსი პროზად. ამრიგად, ყალიბდება რა „ახალი პოეზია“, იგი განვითარების რამდენიმე ეტაპს გადის. სტატიაში გაანალიზებულია ნაზიქ ალ-მალაიქას, ბადრ შაქირ ას-საიაბის, ადონისის კრიტიკულ-ლიტერატურული შეხედულებები ახალი არაბული პოეზიის განვითარების ეტაპების, სტილისა დამეთოდის ევოლუციის შესახებ.

ნათია სვინტრაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებასა და ოჯახში ქალის ადგილის განსაზღვრის საკითხი ზოია ფირზადის შემოქმედებაში

თანამედროვე ირანში ქალთა მწერლობა მეტად საინტერესოდ და დინამიკურად ვითარდება. ირანელი მწერალი ქალები თამამად და შეუნიღბავად წერენ ყველა იმ პრობლემასა და გამოწვევაზე, რაც მათთვის და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ბოლო წლებში არაერთი საინტერესო ქალი ავტორი გამოჩნდა ირანის ლიტერატურულ სივრცეში. მათ შორის არის ზოია ფირზადი, რომლიც თავის შემოქმედებაში ქალთა პრობლემებს დიდი ფსიქოლოგიური სიღრმით წარმოაჩენს.

მწერლის ქალ პერსონაჟთა გალერიას სხვადასხვა სოციალური ფენის, ასაკისა და კონფესიის პერსონაჟები ქმნიან. მისი გმირები ჩვეულებრივი, რიგითი, უბრალო ადამიანები არიან, ძირითადად ქალები, რომლებიც ეძებენ თავიანთ როლსა და ადგილს როგორც საკუთარ ოჯახში, ასევე საზოგადოებასა და ცხოვრებაში.

ზოია ფირზადი თავისი შემოქმედებით გვარწმუნებს, რომ ქალთა საკითხი ირანში დღესაც აქტუალურია და მისი გადაწყვეტა ძნელად მიმდინარეობს. პირველ რიგში, ქალებმა დაბრკოლება საკუთარ აზროვნებაში უნდა გადალახონ. აუცილებლად უნდა გათავისუფლდნენ ფსევდოტრადიციებისა და სტერეოტიპების ტყვეობისაგან, რომლთაც ღრმად აქვთ ფესვები გადგმული მათ აზროვნებასა და ცნობიერებაში, და რომლებიც ქალთა განვითარებისა და კეთილდღეობის მთავარ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენენ.

ლელა ავალიანი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიანის თვისებებთან (გულუხვობა, სულგრძელობა, სიძუნწე, გაუმაძღრობა) დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები არაბულში ქართულთან მიმართებით

ფრაზეოლოგია ნებისმიერი ხალხის ენაში ბოლომდე შეუსწავლელ მოვლენას წარმოადგენს. სულიერ საფუძვლებს, რომლებიც ეროვნულ მენტალიტეტს განსაზღვრავს, შეიძლება მივაკუთნოთ ადამიანის ბევრი პირადი თვისება: სულგრძელობა, ხელგაშლილობა, სტუმართმოყვარეობა, მოთმინება, სიმამაცე, პატიოსნება და სხვ. სტატიაში განვიხილავთ გულუხვობასთან, სულგრძელობასთან, სიძუნწესა და გაუმაძღრობასთან დაკავშირებულ გამოთქმებსა და ანდაზებს არაბულში ქართულთან მიმართებით.

არაბისთვის გულუხვობა და სულგრძელობა ადამიანის შემამკობელი თვისებებია, წმიდათაწმიდა მოვალეობაა. რამდენადაც შექებული და განდიდებულია ეს თვისებები, იმდენად დაკნინებული და გაკიცხულია ძუნწი და გაუმაძღარი ადამიანი. ნებისმიერ სიტუაციაში სტუმრის ღირსეული დახვედრა ტრადიციაა. სტუმრის დასაპატიჟებლად არ არის

საჭირო სავსე სუფრა;გულით მირთმეული ფინჯანი ყავაც სავსებით საკმარისია. შდრ. ქართ.:*ყველი და პურიო, კეთილი გულიო.*

არაბული ანდაზებისა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმების ნაწილი აბსოლუტურად თანხვედრია ქართულთან. ამასთან, არაბულ ენაში არის ჯგუფი ანდაზებისა და გამოთქმებისა, რომელთაც ქართულში ანალოგი არ ეძებნებათ, თუმცა აზრი შეიძლება გადმოიცეს აღწერილობით. არაბული ფრაზეოლოგიზმებისა თუ ანდაზების ერთ ნაწილს კი ქართულში აზრობრივი ანალოგიც არ გააჩნია.

გიორგი ნარიმანიშვილი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ბაღვაშთა სახლის ისტორიისთვის

ქართლის ცხოვრებაში ბაღვაშთა საგვარეულო პირველად მოხსენიებულია „მატიანე ქართლისას“ ავტორის მიერ, IX საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთის სამეფოში მომხდარი გადატრიალების კონტექტსტში. ავტორის თქმით, იმ დროს, როდესაც აფხაზეთის ტახტი, დროებით, დაიკავა შავლიანთა დინასტიამ, არგვეთის ერისთავთ-ერისთავმა ლიპარიტმა „შეიპყრნა ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“. ამ ქმედებით ლიპარიტ ბაღვაში აქტიურად ჩაერთოქართულ სამეფო დინასტიებს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში. თრიალეთის დაკავების შემდეგ, X-XI საუკუნეების მანძილზე, ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენლები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენსაქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. მოხსენებაში წარმოდგენილ იქნება ბაღვაშთა პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები და საგვარეულოს გენეალოგია.

ირაკლი თოფურიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

დაუდ ფაშას ურთიერთობა ერაყის ბაბანიანთა ქურთულ გვართან

XVIII-XIX საუკუნეებში ბაბანიანთა ძლიერ ქურთულ გვარს დიდი ზეგავლენა ჰქონდა ერაყის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. როგორც ერთ–ერთი უძლიერესი ქურთული გვარის წარმომადგენლები, ბაბანიანები ზოგჯერ მამლუქთა ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ზოგჯერ კი პირიქით, ამ საყრდენების მორყევას ცდილობდნენ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ბაბანიანთა და საერთოდ ქურთული ელემენტის გაძლიერება სხენებულ საუკუნეებში უნერგავდა მათ რწმენას საკუთარ ძალებში და ბაღდადისაგან მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევის სურვილს უღვივებდა. მიუხედავად ამისა, ერაყის მამლუქთა წრიდან გამოსული მმართველები, უკანასკნელი მამლუქი ფაშა დაუდი და მისი წინამორბედნი, ხან ხმლის ძალით, ხანაც პოლიტიკური ინტრიგების წყალობით, ახერხებდნენ შედარებით მორჩილებაში ჰყოლოდათ ქუღული ტომები და მათი ლიდერები ბაბანიანთა გვარის წარმომადგენლების სახით.

გიორგი მაჭარაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

დიდი ისტორიის მქონე „დაგვიანებული ერი“?

ერები წინამოდერნის ხანაშიც არსებობდა - ეს არის უმთავრესი, რითაც ეთნოსიმბოლისტური თეორია განსხვავდება მოდერნისტულისგან. მოდერნისტებთან, მართალია, ვხვდებით ტერმინს „პროტონაცია“, მაგრამ იგი შინაარსით არ ემთხვევა ეთნოსიმბოლისტების „პრემოდერნულ ნაციას“. მოდერნისტები პრემოდერნულ ხანაში ერების არსებობას გამორიცხავენ.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, ჩვენი ეთნოსიმბოლისტები სწორედ მოდერნისტების პოზიციაზე დგანან, როდესაც ქართველთა ერთობის ერად ჩამოყალიბების თარიღზე მსჯელობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ქართველი ერი მე-19 საუკუნეში წარმოიშვა.

ჩვენ არ ვეთანხმებით ამ აზრს. ეთნოსიმბოლიზმის თეორიის ფუძემდებელის ე.დ. სმითის მიერ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ვასაბუთებთ, რომ ქართველთა ერთობა ძველ ერთა რიცხვს მიეკუთვნება.

Tilmann Kulke

Ilia State University

“A cosmopolitan chronicler and a non-cosmopolitan king? Some reflections on Musta’idd Khan’s (d. 1724) conflicting duties while writing the Heroic Deeds of Aurangzeb Alamgir (d. 1707)”

Aurangzīb has generally been described as the Mughals’ 'bad guy', who, through his intolerant religious policy and temple destructions, ushered the empire’s later downfall. His image as a temple destroyer also stains MustaʿiddĦān (died 1723) and his chronicle, the Maʾāsīr-iʿĀlamgīrī (written between 1707-1710), which covers the whole reign of the once so mighty emperor.

Here, however, many important aspects are being overlooked: In his writing process, our cosmopolitan orientated chronicler and secretary (munšī) MustaʿiddĦān, critical against Aurangzīb’santi-Hindu decisions, had to collaborate withʿInāyatAllāhĦān b. Mīrzā Šukr (died 1726), among the most influential adviser and confidant of Aurangzīb and who now tried everything as to secure that his once so powerful patron did not come under any criticism. In addition, significant historical templates were available for MustaʿiddĦānto include into his text. For the first ten years of the Maʾāsīr-iʿĀlamgīrī, our author could rely on MuḥammadKāẓīm’s more than 1000-page ʿĀlamgīr-nāma („The Book of the World-Conqueror“), for the second half it was MuḥammadBaḫtāvar Han’s Mirʾātal-ʿālam ("The Mirror of the World").

Both works, as yet untranslated, exerted substantial influence on our authorʿs work. Previous research imputed MustaʿiddĦānsimple plagiarism but completely overlooked the fact that he, in a highly skilled way, rather compiled his own text from these well-known templates, and indeed also named his sources. In my presentation, I will discuss and demonstrate this process of compilation and will argue that MustaʿiddĦānmade a huge effort to create a cosmopolitan ruler. By doing so, he designed a chronicle not only reporting about the past, glorifying a temple-destroying king; it is also a future-oriented text that calls for new forms of government and should rather be described as an 'Agenda 1710' for Aurangzīb’s new successor ŠāhʿAlamBahādur.

ნინო ჯაველიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლები

გ. სააკაძის მოღვაწეობის არსი და მიზანდასახულობა მკვლევართა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მოურავის სიცოცხლის ბოლო წლებში მისი საქმიანობის ამსახველი ცნობები დაცულია სხვადასხვაენოვან (ქართული, ოსმალური, სპარსული, სომხური, დასავლეთევროპული და სხვ.) წყაროებში, რომლებიც საკითხის შესწავლისას სრულად გათვალისწინებული არ არის და რომელთა ურთიერთშედარების საფუძველზე ირკვევა, რომ გ. სააკაძე შაჰ-აბასის კარზე, საქართველოში ხანმოკლე დაბრუნების ჟამსა და ოსმალეთში გადახვეწის შემდგომაც ძალისხმევას არ იშურებდა, რათა გაემყარებინა პატივმოყვარეობა და ძალაუფლება. აღნიშნული მასალა არ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამულიშვილი იყო.

თამარ მესხი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-1672) და საქართველო

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III ორჯერ ეწვია საქართველოს. პირველად 1664 წელს, მეორედ _ 1669 წელს.

პირველი მოგზაურობის დროს მაკარიოს III საქართველოში 1665 წლის ნოემბრამდე დარჩა. საქართველოში მყოფი მაკარიოს III რუსეთის მეფემ ალექსი მიხეილის-ძემ მიიწვია მოსკოვში. ამით დაინტერესდა ქართლის მეფე ვახტანგ V, რომელსაც სურდა, მაკარიოსის მეშვეობით, რუსეთთან მოლაპარაკების გამართვა და ფარული ურთიერთობის დამყარება. მაკარიოს III დათანხმდა შეთავაზებას და მოსკოვში გაემგზავრა.

იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ შეასრულა მაკარიოს III-მ ქართლის მეფის მიერ დაკისრებული მისია, განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა:

1. მაკარიოს III-მ რუსეთის ხელმწიფეს გადასცა ვახტანგ V-ის თხოვნა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთს იმ დროსა და პირობებში არც შეეძლო და არც სურდა, საქართველოს საქმეებში ჩარევა.

2. გამოითქვა ვარაუდი, რომ იმ დროს მოსკოვში მყოფი ერეკლე ბატონიშვილი ეცდებოდა ხელი შეეშალა ქართლის სამეფო კარის მოსკოვთან დაკავშირებას. ერეკლეს გავლენით, მაკარიოს III-მ შეიძლება ისეთი გულმოდგინება აღარ გამოიჩინა იმ საქმის განხორციელებაში, რის იმედიც ქართლის მეფეს ჰქონდა.

კვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ მე-2 თვალსაზრისი უფრო სწორია. მეტიც; ერთ-ერთი საისტორიო წყაროს საფუძველზე, რომელიც პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაკარიოს III-მ არა მხოლოდ გულმოდგინება არ გამოიჩინა, არამედ ხელი შეუშალა ქართლის რუსეთთან დაახლოვებას. ეს გააკეთა არა მხოლოდ ერეკლე ბატონიშვილის გავლენით, არამედ საქართველოსადმი საკუთარი ინტერესების გამო.

ჯაბა მესხიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რუსეთ-იაპონიის ომი და საქველმოქმედო მოძრაობა საქართველოში

1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიის ომი გაიმართა, საქართველო იმ პერიოდში რუსეთის იმპერიის მიერ იყო დაპყრობილი და ამიტომ იძულებული იყო თავისი წვლილი შეეტანა ამ ომში რუსეთის სასარგებლოდ. ომის დაწყებისთანავე მთელ იმპერიაში დაიწყო ომის ხარჯებისა და ომში დაღუპულ-დაჭრილების დახმარების ფონდებისთვის საქველმოქმედო მოძრაობა, რომელშიც საქართველოც იძულებული გახდა ჩაბმულიყო. კონფერენციაზე ვისაუბრებ თუ როგორ მიმდინარეობდა აღნიშნული საქველმოქმედო მოძრაობა საქართველოში და მის შედეგებზე.

ნოდარ ხონელიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ერთი გამორჩეული ომი ისრაელ–არაბული დაპირისპირების უსასრულო ისტორიიდან

სტატიაში განხილულია 50 წლის წინ, 1967 წლის 5–10 ივნისს, ექვსდღიან ომად წოდებული მოვლენის გამოწვევი მიზეზები, მსვლელობა და შედეგები.

მხედველობაში გვქონდა რა კონფრონტაციულ მხარეებს შორის არსებული უკიდურესი პოლიტიკური დაძაბულობის, მწვავე პროპაგანდისტული დუელის და მისი შესაბამისი დიპლომატიური მანევრების გადაზრდა ფართომასშტაბურ საბრძოლო მოქმედებებში, ხოლო შეაიარაღებული შეტაკებების აქტიური ფაზის შემდეგ კვლავ პოლიტიკურ–დიპლომატიური ბატალიების ველზე დაბრუნება და საერთაშორისო სამართლისადმი აპელირება, განსახილველი თემის გასაშუქებლად და მის მაგალითზე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ორი ცნობილი, ერთმანეთისადმი ოპოზიციური (მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავი) დებულების შეპირისპირება. კერძოდ, რომ ***„ომი*** არის **პოლიტიკის** გაგრძელება სხვა საშუალებებით“. (კ.ფ. კლაუზევიცი) და რომ ... „სწორედ ***პოლიტიკაა*** **ომის** გაგრძელება სხვა საშუალებით“ (მ. ფუკო).

საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ, საშუალება მოგვცა წარმოდგენილ სტატიაში (მისი ფორმატის გათვალისწინებით) გვემსჯელა ექვსდღიანი ომის შესახებ, როგორც რეგიონული მასშტაბის მრავალმხრივი ურთერთობების, ასევე საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში და, რა თქმა უნდა, საკუთრივ საომარ მოქმედებათა თეატრში მომხდარზე. თუმცა ყოველივე ამის გადმოცემა ერთგვარი დისპროპორციით მოხდა. სტატიაში მეტი ადგილი ეთმობა მოვლენის საერთაშორისო პოლიტიკურ და დიპლომატიურ ასპექტებს. უფრო ზუსტად, ზესახელმწიფოების, აშშ–ის და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას და მიდგომას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კრიზისის, საკუთრივ ომისა და მისი შედეგებისადმი.

სტატიაში გამოყენებულია როგორც დოკუმენტური მასალა, ასევე დარგის წამყვან სპეციალისტთა შრომები. აგრეთვე, ინტერნეტში მიკვლეული ცნობები.

სტატიის დასასრულ ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ–რელიგიური რეალობისა და თავად თემის გასაშუქებლად აღებული საწყისი დებულების – ომისა და პოლიტიკის (და პირიქით) ურთიერთშერწყმის – გათვალისწინებით დასმულია შეკითხვა ტერორიზმის გამომდინარეობის, მისი როგორც გარკვეული პროცესების თავისთავადი გაგრძელებისა და პროვოცირების შესახებ, რასაც ზოგჯერ პირობითად, ზოგჯერ კი სავსებით მკაფიო დეფინიციით – ჰიბრიდულ ომს უწოდებენ.

ნიკო ქელბაქიანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

საბჭოთა-ირანული ურთიერთობები: თუდეს საქმე

მოხსენების მიზანია, გამოიკვლიოს საბჭოთა-ირანული ურთიერთობების ბუნება 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ, კერძოდ კი ამ ურთიერთობების ყველაზე დაძაბული მომენტი - თუდეს პარტიის საქმე.

1983 წლის თებერვალში ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ პროსაბჭოთა კომუნისტური პარტია - ირანის სახალხო პარტია (სპარს. თუდე - ხალხი, მასები) - საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შპიონაჟსა და სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში დაადანაშაულა. ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დააპატიმრა პარტიის ასობით წევრი და მხარდამჭერი, მათ შორის წარჩინებული სამხედრო პირები, ხოლო 18 საბჭოთა დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა. თუმცა პარტიის განადგურება ამით არ დასრულებულა.

ამავე წლის 1 მაისს პარტიის ლიდერები ტელევიზიით გამოვიდნენ და საბჭოთა აგენტობა და ქვეყნის ღალატი საჯაროდ აღიარეს. ერთი წლის განმავლობაში პარტიის გამოჩენილი ლიდერები, რომელთა შორისაც გამოჩენილი მწერლები, აკადემიკოსები და მარქსისტი თეორეტიკოსები იყვნენ, ტელევიზიით გამოდიოდნენ და მრგვალი მაგიდის დისკუსიის ფარგლებში არა მხოლოდ ღალატს აღიარებდნენ, არამედ საჯაროდ გმობდნენ მარქსიზმს და ირანელებს მოუწოდებდნენ, ისლამსა და აიათოლა ხომეინის ხაზს გაჰყოლოდნენ. გარდა ამისა, დაპატიმრებული სამხედრო პირებისთვის ასევე გაიმართა საჩვენებელი ტრიბუნალი, რომელსაც აიათოლა ხომეინის სიტყვები ამშვენებდა: „ამერიკა ბრიტანეთზე უარესია; ბრიტანეთი ამერიკაზე უარესია; საბჭოთა კავშირი კი ორივეზე უარესია!“

საგულისხმოა, რომ ამ მოვლენებმა საბჭოთა-ირანული ურთიერთობები კი გააცივა, მაგრამ არ გაუწყვეტია განსხვავებით ირანულ-ამერიკული ურთიერთობებისგან, რომლებიც განადგურდა ამერიკის საელჩოს მძევლების კრიზისის შედეგად. მეტიც, ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო კავშირები არ შეწყვეტილა და მალე პოლიტიკური ურთიერთობებიც უკეთესობისკენ შეიცვალა.

ეს კვლევა იყენებს როგორც ამ თემაზე მომუშავე ავტორების ნაშრომებს, ასევე ამ მოვლენებში მონაწილე საბჭოთა თუ ირანელი პირების ჩანაწერებს, რათა კარგად გამოჩნდეს თუდეს საქმის დეტალები და კონტექსტი, ასევე მხარეთა მოტივები და მიზნები. შეიძლება ითქვას, რომ ირანულმა მხარემ თუდეს საქმე ძალაუფლებისა და რევოლუციური იდეოლოგიის განმტკიცებისთვის გამოიყენა, ამისთვის კი ისეთი დრო შეარჩია, როდესაც საბჭოთა კავშირი ისლამურ რესპუბლიკას საფუძველს ვეღარ შეურყევდა. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირიც ისეთ პოზიციაში იმყოფებოდა, რომ ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ურთიერთობისთვის თუდეს პარტიის გაწირვა სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენდა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თუდეს საქმემ ამ ორ სახელმწიფოს შორის დროებით ურთიერთობები გააცივა, შემდგომ ამ პარტიის, როგორც გამაღიზიანებელი ფაქტორის, მოსპობამ ხელი შეუწყო საბჭოთა-ირანული ურთიერთობების განმტკიცებას.

დარეჯან გარდავაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბაჰა ტაჰირი - ეგვიპტელი მწერლების 60-იანელთა თაობის თვალსაჩინო სახე (რეცენზია ბაჰა ტაჰირის რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“ ქართულ თარგმანზე)

„ახალი ლიტერატურის შექმნა გვინდოდა. გამოთქმა „ახალი გამოცდილება“ პირზე გვეკერა ყოველი ახალი ნაწარმოების წარდგინებისას. ნაჯიბ მაჰფუზისა და იუსუფ იდრისის უკან ჩამოტოვებას ვცდილობდით... რიტორიკული წინადადებები, სიტყვათშეთანხმებები ან სტილური სინატიფე უმართებულოდ გვეჩვენებოდა...

არც მეტი, არც ნაკლები, ისეთი ლიტერატურის შექმნა გვინდოდა, რომელიც საზოგადოების აზრს შეცვლიდა... მთელი ჩვენი თაობა, მათ შორის მეც, ერთგულნი დავრჩით ჩვენი ოცნებებისა - ახალი ლიტერატურის შექმნა, უკეთესობის მომტანი ცვლილება გვსურდა; გვინდოდა, ჩვენი შემოქმედება ნამდვილ ლიტერატურად დარჩენილიყო, დაცლილი ყოველგვარი ბელეტრისტიკისა და გაცვეთილი მგრძნობელობისაგან.“ - წერს ბაჰა ტაჰირი რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“ შესავალ სიტყვაში.

მოხსენებაში შევეცდები, გავაანალიზო, რამდენად მოახერხეს მან და მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულმა მისმა თაობელმა და თანამოაზრე მწერლებმა ამ „ახალი გამოცდილების“ საფუძველზე პიროვნული და შემოქმედებითი განვითარება-ჩამოყალიბება; როგორ აისახა მის რომანში „დეიდა საფია და მონასტერი“ ეგვიპტური ლიტერატურის ახალი ტალღისა და ახალი ეპოქის სული.

მოხსენებაში ასევე ყურადღება დაეთმობა ბაჰა ტაჰირის რომანის „დეიდა საფია და მონასტერი“ ქართული თარგმანის ენობრივ და სტილურ ღირსებებს.

თეა შურღაია

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ვარ მარტო, მაგრამ არა ვარ ბუდა“ - აბას საფარის პოეტური ექსპერიმენტები

თანამედროვე ირანელი ემიგრანტი პოეტი, მთარგმნელი და მკვლევარი აბას საფარი (1951) რამდენიმე პოეტური კრებულის, სამეცნიერო პუბლიკაციისა და მემუარების ავტორია. თარგმნილი აქვს როგორც აღმოსავლური (კლასიკური იაპონური და ძველი ჩინური), ასევე დასავლური პოეზიის ნიმუშები. აბას საფარის ლექსები აღმოსავლური და დასავლური პოეტური ხელოვნების საინტერესო ნაზავია. მოხსენებაში საუბარია გამორჩეული ხელწერის მქონე ამ ავტორის პოეზიის თავისებურებებზე.

მზია ბურჯანაძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ირანული ჟურნალი „სოხან“ თბილისის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში

მეოცე საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისში თეირანში დაარსდა კულტურულ-ლიტერატურული ჟურნალი „სოხან“ („სიტყვა“), რომელიც, გარკვეული შეფერხებების მიუხედავად, ისლამურ რევოლუციამდე გამოდიოდა. ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, დაარსების პირველ წლებში. მასში იბეჭდებოდა როგორც ირანის კულტურულ-ლიტერატურული პროცესების ამსახველი მასალა,

ასევე, ევროპული ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი ნაწარმოებების თარგმანები.

საინტერესოა, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ჟურნალის არაერთი ნომერი ინახება თბილისში, ილიაუნის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მაგალი თოდუას სახელობისა და თსუ ირანისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკებში, რომელთა შესწავლა მეოცე საუკუნის ირანის მკვლევართა ინტერესის სფეროში შედის.

ელენე ჯაველიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ნაზიმ ჰიქმეთის რევოლუციურ-ფუტურისტული პოეზია

ნაზიმ ჰიქმეთი წარსული კულტურის მიღწევების უარყოფით ახალი რევოლუციური მხატვრული საშუალებების, ენობრივი ხერხების შექმნას ლამობდა. საბჭოთა კავშირში ჩამოსული ახალგაზრდა ნაზიმ ჰიქმეთი რევოლუციური აღტყინებით ჩაება ქვეყნის ლიტერატურულ პროცესებში. ამ პერიოდში მასზე დიდი გავლენა იქონია რუსულმა ფუტურიზმმა. ნაზიმ ჰიქმეთი კლასიკური ლიტერატურის მიღწევებს უარყოფდა, თვლიდა, რომ ადამიანი მანამ ვერ შეძლებდა ფუტურისტული ნაწარმოების გაგებას, სანამ მისი გონება კულტურული გადმონაშთისგან არ გათავისუფლდებოდა. ამავე დროს მისი პოეზია ივსება მარქსისტული შინაარსით, რევოლუციური პათოსით. ნაზიმ ჰიქმეთს სურდა ლიტერატურაში „მაქსიმალური არეულობის“ შემოტანა. ყველაფერი ლაკონური და „სტილის აჩქარებისკენ“ მიმართული, რათა შექმნილი ყოცოცხალი მეტყველება, რომელიც თავისთავადია, არ საჭიროებს იმ უაზრო პაუზებს, რომელიც მძიმეებით და წერტილებით გამოიხატება. ლიტერატურას „მატერიის ცხოვრება“ უნდა გამოეხატა, აღეწერა ის, რაც უჩინარი და მოუხელთებელია, რათა „ლიტერატურა უშუალოდ შესულიყო სამყაროში და მას შერწყმოდა“. ნაზიმ ჰიქმეთისხედვით, თანამედროვე ცხოვრებას მხოლოდ წერის ტელეგრაფული სტილი მიესადაგებოდა. სიტყვების გაგლეჯა, მრავალწერტილი, ყოველივე ეს დაძაბული, ნერვული მდგომარეობისა და დინამიზმის გამოვლენის საშუალებად ესახებოდა.

ნინო დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ებრაული გავლენა და ებრაელებთან დამოკიდებულების საკითხი მაჰმუდ დარვიშის პოეზიაში

მოხსენება შეეხება პალესტინელი პოეტის მაჰმუდ დარვიშის (1942-2008) შემოქმედების ერთ ასპექტს, კერძოდ იმას, თუ რა გავლენა მოახდინა მასზე ებრაულმა კულტურამ და როგორი იყო თავად პოეტის დამოკიდებულება ებრაელების მიმართ.

ლექსების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ დარვიშის შემოქმედებაში არის ბიბლიის (ძველი აღთქმის ტექსტების), პოლ ცელანის პოეზიისა და ვალტერ ბენჯამენის ფილოსოფიის გავლენა.

დარვიშის ხედვა ებრაელებთან მიმართებაში თავიდანვე არ ყოფილა ცალსახა, თუმცა ლექსებზე დიაქრონიაში დაკვირვება ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში პოეტს უფრო რბილი, შემწყნარებლური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა მათ მიმართ. მოხსენებაში ამ ცვლილების მიზეზებზე გავამახვილებ ყურადღებას.

ზოგადად, აღნიშნულ თემებზე მსჯელობას ნაკლებად ვხვდებით, განსაკუთრებით არაბულენოვან კვლევებში, სადაც დარვიში ძირითადად პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის სიმბოლოდ არის წარმოჩენილი.

თამარ მოსიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღადა ალ-ჰალავანი ნოველების კრებული „მსუბუქი ჩხვლეტა“: სამყარო რეალურისა და ირეალურის ზღვარზე

ახალგაზრდა მწერალმა ქალმა ღადა ალ-ჰალავანიმ ლიტერატურული კარიერა XX საუკუნის მიწურულს დაიწყო. მისი ნოველების პირველი კრებული „მსუბუქი ჩხვლეტა“ 1999 წელს დაიბეჭდა კაიროში. წიგნმა ლიტერატურული წრეების ყურადღება თამამი და განსხვავებული ხედვით მიიპყრო. ღადა ალ-ჰალავანის ნაწარმოებებში ბევრი საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა. ახალგაზრდა მწერალი გვიხატავს გმირების შინაგან სამყაროს, მათ სიზმრებს და იმ სახეებს, რომლებიც გმირების წარმოსახვასა და ხილვებში ჩნდება. არაცნობიერიდან მომავალი ნაკადი, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება მათ ცხოვრებაში, გმირების ცხოვრების რეალური ნაწილი ხდება. კრებულში შემავალი ნოველები ბევრი სიახლეს შესთავაზა მკითხველს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის თვალსაზრისით. ამბავი ხშირად არ წარმოადგენს მოვლენას ან შემთხვევას, რომელიც ფიზიკურად მოხდა მატერიალურ სამყაროში გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მისი, როგორც „ამბის“, მოყოლა არ არის მარტივი. ამ ნაწარმოებებში შინაარს უფრო ურთიერთობები და კავშირები ქმნის. ეს ნაწარმოებები ჩვენს ყურადღებას ადამიანის შინაგანი სამყაროს, ნამდვილი სურვილებისა და აზრების საინტერესო ფორმით წარმოჩენის გამო იპყრობს.

თოველებისთვის დამახასიათებელია ორ საპირისპირო მხარის, ერთმანეთის საწინააღმდეგო ელემენტების დაკავშირება. პირველი მხარე ხილულ რეალობაში არსებული ფიზიკური სცენის ან სახის ზედმეტად დეტალური აღწერა ან სხეულის მოძრაობის ლამის მიკროსკოპული დაკვირვებით გადმოცემაა, რაც შეეხება მეორე, საწინააღმდეგო მხარეს, ის სიზმრისა და კოშმარების სამყაროა, ფანტაზიის ფართო გაქანება. ორი საპირისპირო მხარის დასაკავშირებლად ავტორი ერთგვარ დიალექტიკურ მეთოდს იყენებს, რომელსაც განსაკუთრებულად ხშირად გონების კარნახის შესუსტებისას მიმართავს.

ღადა ალ-ჰალავანის ნაწარმოებებში იქნმება განსაკუთრებული სამყარო,რომელიც შინაგანისა და გარეგანის, რეალურისა და ირეალურის ზღვარზე მდებარეობს, რომელშიც ეს ორი საპირისპირო სამყარო ერთიანდება.

ლია ბაკურაძე, მარინე ბერიძე

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ფერეიდნული ისტორიები - სოფელ აფუსის ქართველები

ქართველი მკვლევრები ფერეიდანის ქართულ დასახლებათა შორის სოფელ აფუსს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, რაც განპირობებული იყო ამ სოფლის მკვიდრთა მიერ ქართული ენის დავიწყებით. 2017 წლის გაზაფხულზე ფერეიდანში ჩატარებული ექსპედიციის შედეგად ს.აფუსში მოპოვებული მასალები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, თუ რა ფაქტორებს და გარემოებებს ასახელებენ თავად აფუსელი ქართველები დედა-ენის დაკარგვის მთავარ მიზეზად.

თინათინ კუპატაძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ქალთა სახე ირანულ კინოში თუ ფემინისტური კინო?

1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ ძირეული გარდაქმნები გამოიწვია როგორც ირანის სახელმწიფო წყობაში, ისე ქვეყნის სოციალურ თუ კულტურულ სფეროში. ისლამური რეჟიმის დამყარება, შეიძლება ითქვას, ნეგატიურად აისახა ირანულ კინემატოგრაფიაზე, განსაკუთრებით, 1980-იან წლებში. თუმცა, 1990-იანი წლებიდან სახეზე მივიღეთ აღორძინებული და ტრანსფორმირებული ირანული კინო, რომელმაც თანამედროვე მსოფლიოში მასშტაბური აღიარება მოიპოვა.
1990-იანი წლები, ზოგადად, გარდამტეხ ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ ირანისთვის. სწორედ ეს ეპოქა ითვლება ირანში ე.წ. „ისლამური ფემინიზმის“ საწყის ეტაპად და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ირანულ კინემატოგრაფიაშიც ქალთა სახეების გამოჩენა ჯერ რეჟისორის, ხოლო შემდგომ უკვე მსახიობის ამპლუაშიც.
ჩვენს მოხსენებაში შევეცდებით მიმოვიხილოთ 1990-იანი წლების ირანული ქალთა კინო, რომელმაც, შესაძლოა, თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა იმ ფემინისტურ მოძრაობაში, რასაც დღეს სამეცნიერო თუ ინტელექტუალურ წრეებში „ისლამურ ფემინიზმად“ მოიხსენიებენ.

გიორგი სანიკიძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ვინ არის ჟან შარდენის „მოგზაურობის“ საქართველოსთან დაკავშირებული სურათების ავტორი?

ჟან შარდენის „მოგზაურობაში“ არის საქართველოსთან დაკავშირებული რამდენიმე ჩანახატი. ივარაუდება, რომ ამ ჩანახატების ავტორი უნდა ყოფილიყო გიიომ ჟოზეფ გრელო. ის კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა შარდენის იქ ვიზიტის დროს, რომელმაც მას შესთავაზა მისი მოგზაურობის დასურათება. საფრანგეთის საელჩოს მდივანმა კონსტანტიპოლში ანტუან გარლანმა ურჩია გრელოს დათანხმებულიყო შარდენის შემოთავაზებაზე. ისიც თავდაპირველად დათანხმდა, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა და 1672 წლის ივნისში გაყვა ერთ კარმელიტს ლიბანში. გალანი 28 ივნისს გრელოს შესახებ თავის დღიურში აღნიშნავს: „ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა, გატეხა რა სიტყვა, რომელიც როგორც ჩანს მიცემული ჰქონდა ბატონ შარდენისათვის სპარსეთში მასთან ერთად გამგზავრების შესახებ, მავან კარმელიტთან ერთად წავიდა ლიბანის მთაზე.“ ამგვარად, დასტურდება, რომ გრელო ლიბანიდან ალეპოსკენ გაეშურა და აქედან ჩავიდა თავრიზში, ექვსი თვის დაგვიანებით, რასაც არ შეიძლებოდა შარდენის გაღიზიანება არ გამოეწვია. შარდენი საერთოდ არ ახსენებს გრელოს სახელს თავრიზში. მხოლოდ რამდენჯერმე წერს - „ჩემი მხატვარი“ - სახელის გარეშე.

გრელო თავის ჩანაწერებში აღწერს აღმოსავლეთში გატარებულ ექვს წელიწადს (ძირითადი ადგილი ეთმობა კონსტანტინოპოლს), მაგრამ არც ერთხელ არ ახსენებს თავის პირველ დამქირავებელს სპარსეთში. გრელო არც საქართველოს ახსენებს და, შესაბამისად, დასტურდება, რომ მას არ უმოგზაურია ჩვენს ქვეყანაში. ბუნებრივად ისმის კითხვა: მაშინ ვინ არის თბილისისა და ერევნის რუკების, თოვლში მიმავალი მეგრელის, თბილისის წვეულების

გრავიურების ავტორი? ნახატები ისეთივე პროფესიონალის მიერაა შესრულებული, როგორიც გრელო იყო. ეს ჩანს ტავერნიეს წიგნში არსებულ ჩანახატებთან შედარებისაც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მსგავსი სტილისა და პროფესიონალიზმის ფრანგი მხატვარი, რომელმაც აღმოსავლეთში იმოგზაურა, არ ჩანს (ბუნებრივია, მხატვარი შეუძლებელია ყოფილიყო ოსმალეთის ან ირანის ქვეშევრდომი). აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ ეს სურათები მართლაც გრელოს შესრულებულია შარდენის მიერ ზეპირი აღწერილობის, ან გაუწაფავი ხელით შესრულებული მონახაზების მიხედვით. იმას, რომ „მოგზაურობის“ საქართველოსთან დაკავშირებული ჩანახატები თვითმხილველის (გრელოს) მიერ არაა შესრულებული, ადასტურებს საკუთრივ სურათების გარკვეული დეტალებიც. მაგ., „მეგრელი“ სრულად შეესატყვისება შარდენის აღწერილობას, მაგრამ ამ სურათზე არსებული მკვიდრად ნაგები შენობა კოშკით, რაც სხვა არაფერი შეიძლება იყოს, გარდა მინარეთისა და მეჩეთისა, აშკარად მხატვრის ფანტაზიია - ამ პერიოდში სამეგრელოს ზღვისპირეთში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი მუსლიმური საკულტო ნაგებობა. ამავე სურათზე გამოსახულია იალქნიანი გემები - ამ ტიპის გემების შემოსვლა ამ დროის სამეგრელოს ნავსადგურში სრულიად გამორიცხულია და ა.შ. გრელო კი ყოველთვის გამოირჩეოდა ცალკეული დეტალების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით.

ირინე ნაჭყებია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ფრანგ და ფრანკოფონ მოგზაურთა ცნობები თბილისის პირველი თეატრის შესახებ (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)

მოხსენებაში წარმოდგენილია ცნობები 1851 წელს მიხეილ ვორონცოვის თაოსნობით, ჯოვანი სკუდიერის პროქტით აშენებული და გროგორი გაგარინის დეკორაციით შექმნილი თბილისის პირველი თეატრის შესახებ. ეს მასალა დაცულია საფრანგეთის კონსულის, ედმონ დე ბარესის საგაზეთო წერილში (L'Illustration, Journal Universel), ფრანგი ხელოვნებათმცოდნეს – ფლორიან ჟილის (1858), ალექსანდრე დიუმასა და ჟან-პიერ მუანეს (1859), აგრეთვე ფრიზიელი არისტოკრატის, ტინკუს მარტუნუს ლიკლამა ა ნიეჰოლტის (1866), თხზულებებში.

ირაკლი ფაღავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ლალა მუსტაფა ფაშას შემოჭრის წელს თბილისში სეფიანური საფასის გამოშვება

ქართლის სამეფოს დედაქალაქ თბილისში მოჭრილ პირველ სეფიანურ მონეტად მიიჩნეოდა შაჰ-აბაზ I-ის სახელით ჰ. 1013 წლით (1604/5) დათარიღებული აბაზიანი. აღმოვაჩინეთ მეოთხედი საუკუნით უფრო ადრინდელი უნიკალური მონეტა, რომელიც თბილისში შაჰ-აბაზ I-ის მამის, მოჰამმად ხოდაბანდეს სახელით მოიჭრა, ჯერ კიდევ ჰ. 986 წელს (1578/9). ჰ. 986 წელი დაიწყო 1578 წლის 10 მარტს, ხოლო 24 აგვისტოს თბილისი ლალა მუსტაფა ფაშას მეთაურობით შემოჭრილმა ოსმალებმა აიღეს. მონეტა სწორედ ამ შუალედში უნდა იყოს მოჭრილი. ქართლისა და კახეთის სამეფოები სეფიანებმა ჯერ კიდევ ისმაილ I-ის ზეობაში დაიმორჩილეს, მაგრამ 1578 წელზე ადრინდელი მონეტები ჩვენთვის უცნობია (არ არსებობს?). გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ლალა მუსტაფა ფაშას შემოსევის წინარე თვეებში (ნომინალურად დაუდ-ხანისადმი დაქვემდებარებულ) ქართლის სამეფოში სეფიანური საფასის გამოშვება თბილისში ყიზილბაშური გარნიზონის გაძლიერებას მოყვა და / ან ომისთვის სამზადისს უკავშირდება.

ირაკლი ფაღავა
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ახალი ქართული ზარაფხანა – ოლთისი

ქართველი ერის ნუმიზმატიკური ისტორია ორ ათასწლეულზე მეტს მოითვლის. ამ დროის განმავლობაში საქართველოსა თუ ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მონეტის მოჭრის მრავალი ცენტრი ფუნქციონირებდა. ამასთან, ყველა მათგანი ჯერაც არ არის გამოვლენილი. ჩვენი ნაშრომის მიზანია – ილხანთა უზენაესობის პერიოდში მოქმედი კიდევ ერთხი ქართული ზარაფხანის – "ოლთუ"-ს (ოლთისის) გამოვლენაა და მისი სამონეტო ნაწარმის ანალიზია.

თამარ ლეკვეიშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

XVII საუკუნის ქართველ დიდგვაროვანთა ირანული ტანსაცმელი ქართული ეკლესიების ფრესკების მიხედვით

მოხსენებაში განხილული იქნება ირანულ-ქართული კულტურული ურთიერთობების კიდევ ერთი, ნაკლებად ცნობილი და გამოკვლეული ასპექტი, კერძოდ:

ქართული კოსტუმის ისტორიის შესწავლა დღემდე მეტად აქტუალურ თემად რჩება. ამ საკითხის გამოკვლევა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ჩაცმულობის შესახებ არსებული წყაროებისა და დოკუმენტების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია, რადგან საუკუნეების მანძილზე, ქართველებს, ამ ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

XVI-XVII საუკუნეებში ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიური იყო ირანთან, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ამ ხანის ქართველ მეფეთა და დიდგვაროვანთა ტანსაცმელი და მორთულობა,ძირითადად ირანული იყო.

ამ მნიშვნელოვანი საკითხის კვლევას, სხვა მეცნიერთა შორის, ხელი მიჰყო აგრეთვე ქართველმა ირანისტმა, მაგალი თოდუამ. მას სამწუხაროდ არ დასცალდა ნაშრომის გამოქვეყნება, რომელიც ეხებოდა XVII საუკუნის ქართველ დიდგვაროვანთა ჩაცმულობას.

ჩვენ განვაგრძეთ ამ საკითხის კვლევა (ძალიან მწირ, გარკვეულ ინერტულ მასალებზე დაყრდნობით მაგალი თოდუას არქივიდან). მივაკვლიეთ ასევე ახალ მასალებს, საქართველოში დაცულ რამდენიმე ფრესკას, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ XVI-XVII საუკუნეების ირანული და ქართული ჩაცმულობის და სამკაულების შესწავლის საქმეში.

მოხსენებაში წარმოგიდგენთ XVII საუკუნის ქართული ქრისტიანული ტაძრების კედლის მხატვრობის (ფრესკების) რამდენიმე ნიმუშს, რომლებზედაც ქტიტორთა,მეფეთა და დიდგვაროვანთა ოჯახებია გამოსახული. ასევე, მათ ამსახველ ვიზუალურ მასალას და მის ანალიზს.

გრიგოლ ბერაძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

„აღმოსავლეთის მიქელანჯელო“ (იმამყული ხან უნდილაძის ძეგლის შემქმნელი ირანელი მოქანდაკის შესახებ)

მოხსენებაში განხილულია XX საუკუნის ცნობილი ირანელი ხელოვანის, ირანში რეალისტური ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებლის აბოლჰასან ხან სადიყის (1894-1995) ბიოგრაფია და შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ მოქანდაკის სხვა მნიშვნელოვან ნამუშევრებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მის მიერ შესრულებულ სეფიანთა ირანის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, ქართული წარმომავლობის იმამყული ხან უნდილაძის (გ. 1633 წ.) უზარმაზარ და შთამბეჭდავ მონუმენტზე, რომელიც აღმართულია კუნძულ ყეშმზე, იმამყული ხანისავე სახელობის მოედნის ცენტრში. ამ ძეგლს, მის კონკრეტულ ისტორიულ-მემორიალურ და მხატვრულ ღირებულებასთან ერთად, მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს – ის სიმბოლურად განსახიერებს ირანის სამხედრო წარმატებას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ძეგლის ეს ზოგადი სიმბოლურობა უპირველესად ყოვლისა დაკავშირებულია კონკრეტულად სპარსეთის ყურის რეგიონთან – იგულისხმება 1622 წელს იმამყული ხანის სარდლობით ჰორმუზისა და ყეშმის განთავისუფლება პორტუგალიელებისაგან და მათი განდევნა სპარსეთის ყურიდან.

თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

„ისლამური სახელმწიფოს“ მომავალი: დასასრული თუ ბრძოლის ახალი ტაქტიკა?

თანამედროვე ტერორიზმის ისტორიაში ტერორისტული ორგანიზაციები აღმოცენდება, მოქმედებს და უმეტეს შემთხვევაში წყვეტს არსებობას. ორგანიზაციის დაშლა რამდენიმე მიზეზს უკავშირდება: ლიდერის დაპატიმრება ან ლიკვიდაცია, ხელისუფლებასთან მორატორიუმი, ბრძოლის ტაქტიკის შეცვლა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, პოლიციის რეიდები და ა.შ.

2017 წლის ოქტომბერში სირიის ქალაქი რაქა, რომელიც ე.წ. „ისლამური სახელმწიფომ“ 2014 წელს დედაქალაქად გამოცხადა, კოალიციურმა ძალებმა აიღეს. რაქას დაცემით ისლამური სახალიფოს იდეა დასასრულს მიუახლოვდა. „ისლამური სახელმწიფო“ ნელ-ნელა კარგავს პოზიციებს სიარიასა და ერაყში. დაჯგუფების წევრები, რომელთა რაოდენობა სირიასა და ერაყში 3500-5000 მერყეობს, ძირითადად რამდენიმე ქალაქსა და ერაყი სირიის საზღვართან დარჩა.

მოვლენების ასეთი განვითარება კითხვებს ბადებს: როგორი იქნება „ისლამურ სახელმწიფოს“ მომავალი? ტერორისტული დაჯგუფება დაიშლება სხვა დაჯგუფებების მსგავსად თუ მოქმედების ახალ ტაქტიკას და იდეოლოგიას აირჩევს? უფუნქციოდ დარჩენილი მებრძოლები იარაღს დაყრიან თუ საკუთარ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ულიდერო ჯიჰადის ბრძოლის ფორმას მიმართავენ, რაც უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნის მსოფლიოს?

ემზარ მაკარაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკური კრიზისი თანამედროვე თურქეთში (2016 წლის მოვლენები)

თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა (1881-1938) სეკულარიზმისა და ევროპეიზმის პრინციპებზე დააფუძნა ახალი თურქეთი.

XXI საუკუნის დასაწყისში კი თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება მნიშვნელოვანწილად იქცა ამ პრინციპებსა და რელიგიური ხასიათის მქონე ე.წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის ბრძოლის მიზეზად.

„ლაიციზმად“ წოდებულმა ათათურქის სეკულარიზმის ტრადიციამ სერიოზულად დაიმკვიდრა ადგილი თურქულ საზოგადოებაში, მაგრამ თურქეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით პროვინციული მოსახლეობა, დღემდე უფრო „ტრადიციონალიზმის“ ზნე-ჩვეულებების მატარებელია.

აღნიშნული საკითხი, სწორედ 2016 წლის 15 ივნისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის მახასიათებელიც შეიძლება იყოს. რამდენად დადებითია თუ უარყოფითი ეს ქვეყნის წინსვლისთვის ეს სხვა საკითხია.

2016 წელს თურქეთში მიმდინარე მოვლენები, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. ბოლო პერიოდში, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ქარიზმატული ლიდერისა და ისლამური ფასეულობის მქონე სამართლიანობისა და განვითარების პარტიის საქმიანობას.

თურქეთის სტაბილურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ზოგადად, მეზობელი ქვეყნებისთვის. თურქეთის წარმატება დადებითად აისახება საქართველოზე, ნებისმიერი ცუდი განვითარება კი უარყოფითად. იგი ჩვენს უშუალო სამეზობლოში ნატო-ს წევრი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ამავე დროს წლების განმავლობაში საქართველოსთვის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორიცაა.

საქართველოსთვის თურქეთი ევროპასთან დამაკავშირებელი ხიდიცაა. ამასთან, ჩვენს სახმელეთო მეზობელთაგან მხოლოდ თურქეთს აქვს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ამდენად, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტაბილურობა თურქეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოებში.

მირანდა ბაშელეიშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ირანის ახალი მთავრობა და მისი პრიორიტეტები

საპრეზიდენტო არჩევნები ირანში 2017 წლის მთავარ პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს. 19 მაისს ჰასან რუჰანიმ ამომრჩეველთა 57%-იანი მხარდაჭერა მოიპოვა და მეორე ვადით გახდა პრეზიდენტი. რუჰანის მიერ წარდგენილი „ახალი მინისტრთა კაბინეტის“ შემადგენლობიდან ირკვევა, რომ თანამდებობი შეინარჩუნეს საგარეო, შინაგან საქმეთა, დაზვევრვის, ნავთობის მინისტრებმა... აღნიშნული ტენდენცია იმაზე მიანიშნებს, რომ ისლამური რესპუბლიკა საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლას მნიშვნელოვნად არ გეგმავს. თეირანისთვის მთავარი გამოწვევა პოლიტიკურ-ეკონომიკური დეიზოლაციის წარმატებით გაგრძელება იქნება, რაშიც მთავარი როლი 2015 წელს „ექვსეულთან“ გაფორმებული „ბირთვული შეთანხმების“ შენარჩუნებასა და შესრულებას მიენიჭება. საგარეო პოლიტიკის მიღწევებთანაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება და ნაწილობრივ, დასაქმების პრობლემის მოგვარებაც, რაც ახალი მთავრობის პრიორიტეტად

სულიერმა ლიდერმა დაასახელა. პრეზიდენტობის მეორე ვადაშიც, ჰასან რუჰანის მხარდამჭერები ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით გარკვეული ღონისძიებების გატარებას მოთხოვენ. ამ მხრივ რეფორმატორთა ბანაკის წარმომადგენლებიდან უკვე გაჟღერდა მოწოდებები

თამთა ბოკუჩავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და თურქეთის რეგიონული პოლიტიკა

2017წ. 25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის მიზანი ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა. XXIს-ის დასაწყისიდან ერაყის ქურთისტანის რეგიონული ხელისუფლება (KRG) ნახევრად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულ წარმოადგენს. იგი დამოუკიდებელია ბაღდადისაგან, ყავს საკუთარი პარლამენტი, არჩევნები ერაყის საპარლამენტო არჩევნებისაგან განცალკევებით ტარდება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას ყავს დამოუკიდებელი სამხედრო და პოლიციის შენაერთები. ყველაფერ ზემოთაღნიშნულის მიუხედავად, KRG აქტიურად მიისწრაფვის საერთაშორისო აღიარებისაკენ. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ რეფერენდუმით გათვალისწინებული საზღვარი არ შემოიფარგლება ერაყის ქურთისტანის რეგიონული ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებით: დაჰუკი, ირბილი და სულეიმანიე. იგი ასევე მოიცავს ნავთობით მდიდარ და ქურთებით მჭიდროდ დასახლებულ ისეთ პროვინციებსაც, როგორიცაა: ნაინავა, სალაჰ-ედ-დინი, კირკუკი და დიიალი.

ერაყის ხელისუფლება აქტიურად გამოდიოდა აღნიშნული რეფერენდუმის წინააღმდეგ. 25 სექტემბერსვე, ერაყმა, ირანმა და თურქეთმა ერთობლივი განცხადებით დაგმეს ერაყის ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი. მიმდინარე მოვლენები ირანსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებების გააქტიურების საწინდარი გახდა. თურქეთისთვის მის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთული ეროვნული უმცირესობა და მასთან აქტიურად დაკავშირებული PKK-ს ტერორისტული ორგანიზაცია ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ბოლო პერიოდში, ევროკავშირთან და აშშ-სთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე, თურქეთი აქტიურად ცდილობს წინა პლანზე წამოწიოს რეგიონული პოლიტიკა და განსაკუთრებით საკუთარი როლი ახლო აღმოსავლეთის შემდგომი განვითარების საქმეში.

სიმონ გურეშიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

„ძმები მუსლიმები“ და სალაფიტები ეგვიპტეში ხალხის არჩევანი თუ სამხედროების პოლტიტიკური თამაში

მოხსენებაში განხილულია თუ რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ეგვიპტეში „არაბული გაზაფხულის“ შედეგ არჩევნებში ისლამისტების გამარჯვებას. დასაწყისში მოკლედ იქნება განხილული ის წინა პირობები, რომლებიც წინუძღვოდა ქვეყანაში მომხდარ რევოლუციას. შემდგომ კიგავაშუქებთ პროცესში ჩართული ყველა მხარის ინტერესებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამხედროებს, ვინაიდან მათ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში.

სამეცნიერო ლიტერატურის, მსოფლიოს წამყვანი ანალიტიკური ცენტრებისა და უნივერსიტეტების ელექტრონულ გვერდებზე მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით,

ისტორიული მაგალითების მოყვანითა და პარალელების გავლებით, ასევე განხილულია ქვეყნის მმართველი უმაღლესი სამხედრო საბჭოს მიერ, უშუალოდ საარჩევნო პროცესისთვის შემუშავებული ის მრავალსვლიანი კომბინაციები და მანიპულაციები, რომლებმაც განაპირობეს პოსტმუბარაქის პერიოდის ეგვიპტეში, გარეგნულად თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებში ისლამისტების გამარჯვება. ცალ-ცალკე იქნება განხილული „ძმები მუსლიმების“, სალაფიტებისა და ასევე „ძმების“ კანდიდატის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების დეტალები.

კონკრეტულად რომელ მუჰაფაზებში შეძლეს ისლამისტებმა ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობის მოპოვება და რა ფაქტორებმა იმოქმედა სინამდვილეში. გამომდინარე იქიდან, რომ ისლამისტები არ მდგარან რევოლუციის ავანგარდში, თავდაპირველად არც აპირებდნენ პროცესებში ჩართვას და არც რაიმე სახის სამოქმედო პროგრამა გააჩნდათ, მათი არჩევნებში გამარჯვება თავიდანვე აჩენდა მრვალა კითხვას, რომელსაც კიდევ უფრო მეტი აზრთასხვადასხვაობამოჰყვა, როდესაც სამხედროებმა მათ გამარჯვება ხელიდან გამოაცალეს და როგორც „ძმები“ ასევე ეგვიპტელი ხალხის უმრავლესობა აღნიშნულ ფაქტს სიმშვიდითა და მინიმალური პროტესტი გამოხატვით შეხვდა. სწორედ ამ საკითხებზე ჩატარებული კვლევა თავის მხრივ ნათელს მოჰფენს, იყვნენ თუ არაისლამისტები და მათი იდეოლოგია ეგვიპტელი ხალხის უმრავლესობის არჩევანი სინამდვილეში.

ბექა მაკარაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ და თურქეთის ურთიერთობები ჯ. ბუშის ადმინისტრაციის მმართველობის დროს (1989-1993)

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობას, ძირითადად უსაფრთხოებაზე ზრუნვა განსაზღვრავდა. ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დროდადრო საერთო, ზოგჯერ კი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიზნები იკვეთებოდა. სწორედ უსაფრთხოების პოლიტიკა წარმართავდა თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის. „ცივი ომის“ პერიოდში აშშ-ის გვერდით იდგა თურქეთი, რეგიონში მნიშვნელოვანი, მაგრამ აშშ-ზე მეტად დამოკიდებული ქვეყანა.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, კერძოდ 1989 წლის 20 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში (1989-1993), მან თურქეთს არამარტო შეუნარჩუნა უკანასკნელ წლებში გაცემული ფინანსური დახმარება, არამედ გარკვეულწილად გაზარდა კიდეც. პრეზიდენტი ასევე არ დაეთანხმა წარმომადგენელთა პალატის უცხოეთის საქმეთა კომიტეტის ინიციატივას თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ფრიად არასახარბიელო მდგომარეობის გამო თურქეთისათვის ფინანსური დახმარების შემცირებას.

ჯ. ბუში - უფროსის პრეზიდენტობის დროს, ჩამოაყალიბდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკა თურქეთის მიმართ.

პრიორიტეტების ფუნდამენტური ცვლილების მიუხედავად, რაც დაკავშირებული იყო „ცივი ომის“ მდგომარეობიდან „ერთპოლარულ სამყაროზე“ გადასვლის პროცესთან, ჯ. ბუშის ადმინისტრაცია შეეცადა შეენარჩუნებინა თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა აშშ-ის საგარეო პოლიტიკისათვის.

ანკარა მოიაზრებოდა როგორც მოკავშირე ახლო აღმოსავლეთსა და კასპიისპირეთში ამერიკული გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის. ამასთან თურქეთისათვის შეთავაზებული წინადადება შეესრულებინა „ხიდის“ როლი დასავლეთის, კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, ასევე ყოფილიყო რუსეთისა და ირანის გავლენის საპირწონე რეგიონში.